# საქართველოს რესპუბლიკა

პარასკევი, 21 იანვარი, 2005 წელი. №15 (5048) * გაზეთი დაარსებულია 1918 წელს, * ფასი 50 თეთრი




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

◎ მეცნიერება

## აკადემიას მეხუთე პრეზიდენტი ჰყავს – თამაზ გამყრელიძე

**გუშინ შედგა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება (მკითხველს შევახსენებთ – აკადემიის უმაღლესი ორგანოსი). აკადემიის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა, აკადემიკოსმა ოთარ ნათიშვილმა, თავმჯდომარის როლში, ფორუმს ორსაკითხიანი დღის წესრიგი შესთავაზა: 1. აკადემიკოს ალბერტ (ალეკო) თავხელიძის განცხადების განხილვა აკადემიის პრეზიდენტის პოსტიდან გადადგომის თაობაზე (ჩვენი მკითხველი უკვე იცნობს ბატონი ალეკოს წერილს) და 2. აკადემიის პრეზიდენტის არჩევნები.**

კრებამ ერთხმად დაამტკიცა დღის წესრიგი (აკადემიის 130 ნამდვილი წევრისა და წევრ-კორესპონდენტიდან ესწრებოდა 108).

წინა დღეებში აკადემიის პრეზიდიუმისა და ცხრა განყოფილების სხდომებზე უკვე იყო მსჯელობა პრეზიდენტობის კანდიდატებზე. ყველას პოზიცია ერთსულოვანი აზრით გამოიხატა – პრეზიდენტობის კანდიდატად დასახელდა თანამედროვეობის გამოჩენილი ენათმეცნიერი, საქართველოსა და რუსეთის მეცნიერებათა აკადემიების ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე. კრებამ ასევე ერთსულოვნად დაუჭირა მხარი ამ კანდიდატურის შეყვანას საარჩევნო ბიულეტენში.

სიტყვა ეძლევა პრეზიდენტობის კანდიდატს, აკადემიკოს თამაზ გამყრელიძეს (ბატონი თამაზის გამოსვლას აქვე გთავაზობთ):

იხ. მე-3 გვ.



◎ სულიერება

## მართლმადიდებლური სამყარო დღეს წმინდა მოწამის აბო თბილელის ხსენების დღეს აღნიშნავს

**მეშვიდე** საუკუნეში მოღვაწე აბო თბილელი წარმოშობით არაბი, სარწმუნოებით კი მაჰმადიანი იყო, თუმცა უცხოტომელმა შეიცვალა მრწამსი და მართლმადიდებლურ რჯულზე მოექცა, რის გამოც იგი არაბებმა წამებით მოკლეს.

როგორც „ინტერ-პრესს" საქართველოს საპატრიარქოში განუცხადეს, აბო თბილელის ხსენებასთან დაკავშირებით, მართლმადიდებლურ ტაძრებში საზეიმო წირვა-ლოცვა აღევლინება.

წმინდანის სახელობის ეკლესია თბილისში, მეტეხის ტაძრის მახლობლად შენდება. მშენებლობა უახლოეს ხანში დასრულდება.

◎ ქველმოქმედება

## ყველამ ერთად რომ გადავარჩინოთ მომავალი

**მსოფლიოს პირველი ბანის პაატა ბურჭულაძის კეთილშობილური თაოსნობა ნელნელა, შეიძლება ითქვას, მომავალი თაობის გადარჩენისკენ მიმართული მოძრაობის სახეს იძენს. ექვსი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც იგი უდედმამო და მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა ფონდს „იავნანას" ჩაუდგა სათავეში და ამ მცირე დროის მიუხედავად ბევრი მხარდამჭერი გამოუჩნდა. მოწოდებას „ერთად გადავარჩინოთ მომავალი" თითქმის ყოველდღე უერთდებიან ახალი ადამიანები და ორგანიზაციები, უცხოელი თუ ქართველი ბიზნესმენები, რომლებიც ფონდს სთავაზობენ თავიანთ დახმარებას. აკი თავად მომღერალიც ასე ამბობს:**

იხ. მე-4 გვ.



## ბუბამ ტრადიციას არ უღალატა

**ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში ცნობილი ქართველი მომღერლის ვახტანგ კიკაბიძის შემოქმედებითი საღამო რევაზ ლაღიძის ცნობილი სიმღერით „თბილისო" გაიხსნა.**

შემოქმედმა კონცერტისთვის სიმღერები პოპულარობისა და საკუთარი გემოვნების მიხედვით შეარჩია. რეპერტუარში ბევრია მოსკოვში მის ბოლო კონცერტზე შესრულებული სიმღერები, მათ შორის – „ახალი მუხამბაზი", „ყვავილების მიწა", „ჩიტო გვრიტო" და სხვა.

ვახტანგ კიკაბიძემ ტრადიციას არ უღალატა და დარბაზში განწყობის შესაქმნელად ანეკდოტიც მოჰყვა.

საღამოს საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია, ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები და საზოგადოების ცნობილი სახეები დაესწრნენ.

კონცერტიდან შემოსული თანხა საქველმოქმედო ფონდ „იავნანას" გადაეცემა, რომელსაც ცნობილი საოპერო ბანი პაატა ბურჭულაძე ხელმძღვანელობს. ფონდის ინიციატივით გასულ წელს ოპერის თეატრში ნანი ბრეგვაძის კონცერტი, გუშინწინ კი სოფიკო ჭიაურელის შემოქმედებითი საღამო მოეწყო. შემოსული თანხები მთლიანად მზრუნველობას მოკლებულ ბავშვებს მოხმარდება.

◎ პრეზიდენტი

## თბილისი ოპტიმიზმის ცენტრია მთელი საქართველოსთვის

***როგორც ვიუწყებოდით, 18 იანვარს საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი სახელმწიფო კანცელარიაში შეხვდა დედაქალაქის ხელმძღვანელობას. ქვეყნის პირველმა პირმა ისაუბრა თბილისის მომავალზე, ახალმშენებლობებზე, ისტორიულ ცენტრებზე, განიხილა რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი, რომელთა განხორციელების შემდეგ თბილისი კიდევ უფრო კეთილმოწყობილი და ლამაზი გახდება.***

***შეხვედრაზე საქართველოს პრეზიდენტმა, კერძოდ, თქვა:***

– გაზაფხულამდე ჩვენ შეგვიძლია ყველგან დავიწყოთ შენობათა ფასადების გადაღებვა. თბილისი ძალიან ლამაზი ქალაქია, მაგრამ მრავალი წელია თითქმის არაფერი შეღებილა და არაფერი გაკეთებულა. წელს დავიწყოთ. ახლა მასობრივად ცენტრი ყველგან უნდა გაკეთდეს, განსაკუთრებით, ისტორიული ცენტრი – მარჯანიშვილი, რუსთაველი, ჭავჭავაძე, გამსახურდია, ვაჟა-ფშაველა, სანაპიროები, ბევრი სხვა ადგილი. შენობათა ფასადები, ყველგან ლამაზად უნდა შეიღებოს.

ასფალტის დაგება უნდა დავიწყოთ აპრილში, როცა დათბება. მანამდე კი ყველამ უნდა მოითმინოს, მაგრამ მერე თბილისელებმა უნდა ისიც გაგვიგონ, რომ გზები გადაკეტილი გვექნება. ჩვენ ვუბრუნდებით ვარაზისხევის თავზე ძველი, კომუნისტების დროინდელი პროექტის განხორციელებას... „სამკუთხედმა" არ გაამართლა, მაგრამ მის ნაცვლად მალე იქნება გვირაბი კეკელიძის ქუჩიდან ქვემოთ, ვარაზისხევზე. ეს ძალიან მნიშვნელოვანი პროექტია, ძვირიც დაგვიჯდება, მაგრამ ფული გვაქვს და უნდა დავიწყოთ ამ და სხვა სერიოზული პროექტების განხორციელება. ჩვენ ამას აუცილებლად გავაკეთებთ.

თბილისში შენდება ახალი საერთაშორისო აეროპორტი, პირდაპირი მისადგამებით, ექვსი ტრაპით. თვითმფრინავიდან პირდაპირ შეხვალთ შენობაში. დღევანდელ აეროპორტს იგი სიდიდით ორჯერ აღემატება. შიგნით იქნება ხელოვნური ჩანჩქერები, სპეციალური განათების სისტემა, ესკალატორები. დღეს რომ ადამიანი ქუჩაში ელოდება აეროპორტში ჩამოსულს, ახალი პროექტის მიხედვით, ყველაფერი შიგნით განთავსდება. ნოემბრამდე, იმედია, აშენდება შენობის კარკასი და რამდენიმე თვეში მთლიანად მოეწყობა. იგი შეძლებს რამდენიმე მილიონი მგზავრის მომსახურებას, მისი წარმადობა 4-5-ჯერ აღემატება დღევანდელისას.

ამას გარდა, რესპუბლიკის მოედანზე იქმნება ახალი ულტრათანამედროვე ცენტრი. სასტუმრო „ივერია" იშლება. არის მოთხოვნა, რომ ვაკეში, ასევე, აშენდეს ულტრათანამედროვე ბიზნესცენტრი. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ეკონომიკა კიდევ უფრო გამოცოცხლდება. გაჩნდა ოპტიმიზმი – ხალხს, უცხოელებს უნდათ, რომ ფული ჩადონ საქართველოში და გრძელვადიანი ინვესტიცია დააბანდონ. ამას ჩვენ ყველანაირად ხელი უნდა შევუწყოთ.

იხ. მე-2 გვ.

◎ გუშინ მთავრობის სხდომაზე

## დამატებით 250-300 მილიონ დოლარს გეგმავს

**2005 წელს საქართველოს მთავრობა პრივატიზაციიდან დაგეგმილი 150-200 მილიონი დოლარის გარდა, დამატებით 250-300 მილიონი დოლარის მობილიზებას გეგმავს.**

როგორც მთავრობის სხდომაზე გუშინ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ განაცხადა, ქვეყანაში განხორციელებული პრივატიზაციის პროცესი იმის საშუალებას იძლევა, რომ შემოსავლები 250-300 მილიონი დოლარით გაიზარდოს.

პრემიერ-მინისტრი ეკონომიკური პროფილის უწყებებს 5 თებერვლამდე აძლევს ვადას დამატებითი ფინანსური რესურსების განკარგვის გეგმის შესადგენად.

„უნდა გავთვალოთ და განვსაზღვროთ, როგორ უნდა აისახოს დამატებით მიღებული თითოეული კაპიკი გზების მშენებლობაზე, განათლებაზე, თავდაცვისუნარიანობის ამაღლებაზე და ენერგეტიკული პრობლემების საბოლოოდ გადაწყვეტაზე", – განაცხადა პრემიერმა.

ზურაბ ჟვანია გუშინდელ სხდომაზე აცხადებს, რომ კმაყოფილია სს „ჭიათურმანგანუმისა" და „ვარციხეჰესის" პრივატიზაციით და მადლობას უხდის ყველა იმ უწყებას, ვინც აღნიშნულ პროცესში მიიღო მონაწილეობა. „ჭიათურმანგანუმი" და „ვარციხეჰესი" რუსულმა „ევრაზჰოლდინგმა" 132 მილიონ დოლარად შეისყიდა.

რაც შეეხება შპს „საქართველოს საოკეანოს" გასხვისებას, პრემიერის განცხადებით, ეს საკითხი დღეს ან ხვალ აუცილებლად გადაწყდება.

## თბილისიდან – რეგიონებში

**საქართველოს ეროვნული ბანკი, ზოგიერთი მარეგულირებელი კომისია და კიდევ რიგი სახელმწიფო უწყებები შესაძლოა ქუთაისში გადაიტანონ.**

მთავრობის გუშინდელ სხდომაზე საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ ეკონომიკური განვითარების მინისტრს ალექსი ალექსიშვილს სპეციალური ჯგუფის შექმნა დაავალა, რომელიც აღნიშნულ საკითხს შეისწავლის და სამი კვირის ვადაში საბოლოო დასკვნას მოამზადებს.

„ჩვენ გვინდა განვითარების შანსი მივცეთ არა მხოლოდ თბილისს, არამედ რეგიონებსაც. ქუთაისი დღეს დეპრესიული ქალაქია – იქ უმუშევრობის დონე ძალზე მაღალია. ამიტომ მას სტიმულირება სჭირდება", – განაცხადა ჟვანიამ.

გუშინვე განათლების მინისტრს ალექსანდრე ლომაიას პრემიერმა უმაღლესი სასწავლებლების თბილისის გარეთ გატანაზე მუშაობა დაავალა.

„ჩვენ ამის ფინანსური შესაძლებლობები გვაქვს და ეს რაც შეიძლება სწრაფად უნდა განხორციელდეს", – განაცხადა ჟვანიამ.

ინტერ-პრესი.

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

## მიხეილ სააკაშვილი.
## რაზე ფიქრობს საქართველო?

ინა ობრაზცოვა, თბილისი-მოსკოვი. „არგუმენტი ი ფაქტი".




***საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, შეიძლება ითქვას, ღამის ცხოვრებას ეწევა. ღამის პირველ საათზე აქვს თათბირი „ძალოვანებთან", სამ საათზე – რეიდი თბილისის აეროპორტში. პრეზიდენტს სურს პირადად შეამოწმოს, თუ როგორ ხორციელდება საპასპორტო კონტროლი. დილით კი – კვლავ სამუშაოზეა... მაგრამ ამის მიუხედავად, რეიტინგი ეცემა, სეპარატისტები კვლავ ურჩობენ, პენსიონერები შიმშილობენ, დივერსანტები ახორციელებენ თავდასხმებს ენერგეტიკულ ობიექტებზე, რუსეთი პანკისის ხეობის დაბომბვით იმუქრება.***

**– ბატონო პრეზიდენტო, კვლავ ხელმოუწერელია ძირითადი ხელშეკრულება საქართველოსა და რუსეთს შორის. მთავარი მიზეზი კი ის არის, რომ საქართველოს მხარე უარს აცხადებს შეიტანოს დოკუმენტში პუნქტი იმის შესახებ, რომ არ განალაგებს უცხო ქვეყნის სამხედრო ბაზებს თავის ტერიტორიაზე. თუ პრეზიდენტი სააკაშვილი გამუდმებით აცხადებს, რომ საქართველოში უცხო ბაზები არ იქნება, მაშ, რა უშლის ხელს ამის დაფიქსირებას ხელშეკრულებაში?**

– მართლაც, ჩვენ ვაცხადებთ, რომ უცხო ქვეყნის ბაზებს არ განვალაგებთ საქართველოში, მაგრამ, სამართლებრივი თვალსაზრისით, ამის შეტანა რთულია ხელშეკრულებაში. ძნელია, გამოინახოს ფორმულირება იმისთვის, რომ ასეთი მოთხოვნა დაისვას, მაგრამ იგი არ ზღუდავდეს სუვერენიტეტს.

იხ. მე-2 გვ.

◎ ინაუგურაცია

## ჯორჯ ბუში მეორე ვადით იპრეზიდენტებს

გუშინ ვაშინგტონში თუმცა უჩვეულოდ ცივი ამინდი დაიჭირა (ჰაერის ტემპერატურა დაახლოებით 0 გრადუსი იყო), მაგრამ კაპიტოლიუმის დასავლეთის კედელთან, სადაც ჯორჯ ბუშის მეორე ინაუგურაციის – პრეზიდენტად კურთხევის ოფიციალური ცერემონია გაიმართა, თითქმის 100 ათასმა კაცმა მოიყარა თავი. საოჯახო ბიბლიაზე მარცხენახელდადებულმა ბუშმა საზეიმოდ წარმოთქვა საპრეზიდენტო ფიცის სიტყვები **(დაწვრილებით ჩვენი გაზეთის ხვალინდელ ნომერში).**





◎ ინფორმაცია

### პარამეტრები შესაძლოა მნიშვნელოვნად შეიკვეცოს

**დედაქალაქის მუნიციპალური ბიუჯეტის პროექტის პარამეტრები მნიშვნელოვნად იცვლება. კოოპერატიული ბინათმშენებლობებით დაზარალებულებისთვის საკომპენსაციოდ გათვალისწინებული მილიონ 250 ათასი ლარი მთლიანად მოიხსნება, „თბილტრანსის" მძღოლებისთვის ასევე გამოყოფილი მილიონ 250 ათასი ლარი კი ნახევარი მილიონით შემცირდება.**

**ამის შესახებ „ინტერ-პრესს" თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ახალი მემარჯვენეების" თავმჯდომარემ გიორგი მოსიძემ აცნობა, რომლის მონაცემებითაც, ცენტრალური ხელისუფლების მითითებით, საკომპენსაციოდ გამოყოფილი თანხები საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ობიექტების რემონტის ხარჯებში გადაინაცვლებს.**

### პარიზიდან ოფიციალური რწმუნება მიიღო

**საქართველოს პარლამენტის ჩეჩნეთთან მეგობრობის ჯგუფმა რუსულჩეჩნურ პოლიტიკურ დიალოგში საშუამავლო მისიაზე ოფიციალური თანხმობა და რწმუნება მიიღო საფრანგეთში დევნილობაში მყოფი ჩეჩნეთის ხელისუფლებისგან.**

**როგორც „ინტერ-პრესს" ოპოზიციონერმა დეპუტატმა, ჩეჩნეთთან მეგობრობის ჯგუფისა და საქართველოს კონსერვატიული პარტიის წარმომადგენელმა კახა კუკავამ განუცხადა, მათ ზემოხსენებული რწმუნება ჩეჩნეთის დევნილი უზენაესი საბჭოს და ასლან მასხადოვის წარმომადგენელმა პხიად იდიგოვმა გადასცა.**

**უახლოეს დღეებში, საპარლამენტო ჯგუფი რუსეთის მხარეს სამშვიდობო წინადადებებს გადასცემს. „ეს წინადადებები დაახლოებით ისეთივე იქნება, როგორსაც საქართველო სთავაზობს აფხაზეთს", – განაცხადა კუკავამ.**

**ჩეჩნეთთან მეგობრობის საპარლამენტო ჯგუფი რამდენიმე კვირის წინ შეიქმნა და მასში ათამდე დეპუტატია გაწევრიანებული.**

ინტერ-პრესი.

## ინტერპანორამა

**ამერიკელმა ცოლ-ქმარმა ლატარეაში 130 მილიონი დოლარი მოიგო**

**ამერიკის ჯორჯიის შტატის მკვიდრმა ცოლ-ქმარმა ლატარეაში 130 მილიონი დოლარი მოიგო. შტატის ისტორიაში, ეს ლატარეაში მოგებული სიდიდით მეორე პრიზია.**



**ისრაელელმა მეცნიერებმა ალტრუიზმის გენი აღმოაჩინეს**

**სისხლი 354 მრავალშვილიანი ოჯახის წევრებს აუღეს. მეცნიერებმა გაარკვიეს, რომ გამოკვლეულთა ორ მესამედს ახასიათებს ალტრუიზმი. ამასთანავე, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს სქესს, თუმცა ქალები უფრო მეტად ავლენენ სხვათა მიმართ ზრუნვას.**



**მინსკში დააკავეს ჩეხი დიპლომატი, რომელიც მოწაფესთან ერთად სვამდა სასმელს**

**დაკავება მინსკის ცენტრში მდებარე ერთ-ერთ კაფეში მაშინ მოხდა, როცა ჩეხი დიპლომატი 1988 წელს დაბადებულ მინსკელ მოსწავლესთან არაყს სვამდა.**

CYAN MAGENTA YELOOW BLACK

◉ პრეზიდენტი

# თბილისი ოპტიმიზმის ცენტრია მთელი საქართველოსთვის

(პირველი გვერდიდან)

უნდა მივხედოთ სკოლებს. გვსურს თბილისში ავაშენოთ რამდენიმე ევროსტანდარტის დონის სკოლა, რომელშიც ყველაფერი ისე იქნება, როგორც ნებისმიერ გერმანულ, ფრანგულ, ინგლისურ სკოლებში... ჩვენ მარტო ყაზარმებს კი არ ვაშენებთ, უპირველეს ყოვლისა, სკოლები უნდა ავაშენოთ, განსაკუთრებით თბილისის გარეუბნებში, ვთქვათ, გლდანში, ვარკეთილში. პირველ ეტაპზე უნდა შევქმნათ რამდენიმე სამოდელო სკოლა და მომავალ წელს ბევრი ასეთი ახალი სკოლა ავაგოთ. ცნობილია, რომ პირველკლასელებს უფასოდ ვაძლევთ წიგნებს, ჩვენ გვინდა, აგრეთვე, ყველა ხუთოსანს, ვისაც ამის მატერიალური საშუალება არა აქვს, უფასოდ დავურიგოთ წიგნები, რვეულები და ჩანთა. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, უნდა წავახალისოთ ახალგაზრდობა, რომ კარგად ისწავლოს. შევეცდები, რომ ეს ყველგან გავაკეთო.

როცა მატერიალურ მხარეზე ვლაპარაკობთ, ისიც უნდა გითხრათ, რომ საპატრულო პოლიციას ხელფასი ეზრდება 450 ლარამდე, მათ ეს დაიმსახურეს, რადგან კარგად მუშაობენ თბილისშიც და, საერთოდ, ქვეყანაში. ისინი ხალხს უყვარს. მერიასა და საკრებულოში არ უნდა დარჩეს არც ერთი თანამშრომელი, რომელსაც ხელფასი 200 ლარზე ნაკლები ექნება, რადგან კაცი, რომელიც განკარგავს ათობით და ასობით ათასს, არ შეიძლება მშიერი იყოს. ეს არის მარტივი სისტემა და ვფიქრობ, ამის ფული ჩვენ გვექნება. ისევე როგორც სახელმწიფო სექტორში, ჩვენ წლის განმავლობაში არსად არ დაგვრჩება ხალხი, რომელსაც 115 ლარზე – საარსებო მინიმუმზე ნაკლები ანაზღაურება ექნება. როცა ლაპარაკობენ, რომ ხელფასებს უსწრებს ინფლაციაო, შარშან საქართველოში ინფლაცია 5 პროცენტი იყო. საპენსიო დავალიანების გასტუმრებასთან და ხელფასების ზრდასთან ერთად, მთელ რიგ სახელმწიფო სექტორებში ხელფასების ზრდამ 100-დან 400 პროცენტამდე შეადგინა. აი, ეს არის ინფლაციისა და ხელფასების ზრდის რეალური შეფასება. თუ ამის დანახვა არ შეგვიძლია, უბრალოდ, ალბათ, ზოგიერთებს არაფრის დანახვა არ ძალუძთ.

ძალიან საინტერესოა თბილისში მეეზოვეთა სისტემა. ჩვენ წელს გადავუხდით მათ ფულს, რომ დაგავონ ეზოები და ქუჩები. მაგრამ მეეზოვეებმა უნდა იცოდნენ (ეს ხალხი 100 ლარს იღებს), რომ წელს მათ გადაუხდის მერია, მაგრამ თუ თბილისელებს მათი ნახელავი არ მოეწონა, მომავალ წელს არავინაც არ გადაუხდის, რადგანაც მომავალი წლიდან ორმოცდაათ-ორმოცდაათი თეთრი უნდა შეკრიბოს მოსახლეობამ მათი შრომის ანაზღაურებისთვის. ყველა წინასწარ გააფრთხილეთ, რომ თუ კარგად არ იმუშავებენ, მერე არავის არ ექნება სურვილი, თუნდაც 50 თეთრი გადაუხადონ...

ჩვენ უნდა შევქმნათ ამხანაგობები და დავეხმაროთ ფულით სპეციალისტებს ლიფტების, სახურავების შესაკეთებლად. ყველაფერს ჩვენ ვერ გავაკეთებთ, რადგან ძვირია, მაგრამ თუ გაჩნდება თანადაფინანსების წყარო, ამის გაკეთება შესაძლებელია. მიწისძვრით დაზარალებულებისთვის ჩადებულია გარკვეული თანხა, რა თქმა უნდა, ბევრად მეტია საჭირო, მაგრამ, რაც არის, ისიც მისასალმებელია.

ერთი სიტყვით, თბილისი თანდათანობით სხვა ქალაქი გახდება და ამას გააკეთებთ თქვენ.

შარშან, როცა ვნიშნავდი ჭიაბერაშვილს, ვთქვი, რომ გააკეთებთ შუქნიშნებს, დაიწყებთ გზების მშენებლობას, ექვს თვეს გაძლევთ ვადას... შუქნიშნები მართლაც ყველგან ჩამოკიდეს, გზების მშენებლობა ნამდვილად დაიწყო. ახლა მერის ბრალი არ არის, რომ ჩვენმა მეგზევეებმა გზის დაგება არ იციან. აეროპორტის გზას ჩავანთხიეთ მთელი ძალისხმევა და ბოლომდე ისიც არ არის ის, რაც უნდა იყოს. მაგრამ ამის მიზეზი ის არის, რომ ტექნიკაც არა გვაქვს. ახლა შემოგვყავს თურქები, ისრაელის ფირმები და სხვები. ჩვენებმა უნდა იყიდონ ტექნიკა და ისწავლონ ევროპულად მუშაობა. ჩვენ აღარა ვართ რაღაც წუმპე, უფრო სწორად, უნდა ამოვძვრეთ ამ მდგომარეობიდან, მაგრამ თუ მერია მოახერხებს და წლის დამლევამდე ჩაგვაბარებს სანაპიროს, ძირითადად, გასასვლელ გზებს ევროპულ დონეზე და გადაჭრის სხვა პრობლემებსაც, რომლებიც ეხება ტრანსპორტის გასამართავებას, იგი არა მხოლოდ დარჩება მერად, არამედ ძალიან დიდ მადლობასაც დაიმსახურებს ჩემგან.

თუ თბილისში გზები ევროპულ დონეზე არ გაკეთდება, მაშინ მერი თავის ადგილს ვერ შეინარჩუნებს. ეს ეხება გზებს, ტრანსპორტს, ფასადებს, სოციალური პროგრამების განხორციელებას, მაშინ მერი თანამდებობას ვერ შეინარჩუნებს... იმედი მაქვს, რომ ყველაფერი ეს გაკეთდება.

თუ აეროპორტის მშენებლობა სამ თვეში დაიწყება, აეროპორტის უფროსს ვეტყვით გულწრფელ მადლობას და შემდეგ შეიძლება დავაწინაუროთ კიდეც. თუ დავინახე, რომ არაფერიც არ შენდება, ისიც მოიხსნება... ყველას აქვს თავისი პასუხისმგებლობა. არავის თანამდებობა არ რგებია. თქვენ ხართ ის ხალხი, ვინც ჩვენთან ერთად ეს უნდა გააკონტროლოს. თუ კარგად ვერ გააკონტროლებთ, შემდეგ არც ხალხი აღარ აგირჩევთ და ეს ბუნებრივი დასჯა იქნება თითოეული ჩვენგანისთვის, რადგან ჩვენ ერთი გუნდი ვართ.

ბოლოს ისიც მინდა გითხრათ, რომ ჩვენ დღეს ძალიან კარგი პერსპექტივები გვაქვს. ის, რომ ქუჩები განათდა, ყველამ დაინახა, ის, რომ გზების მშენებლობა დაიწყო, მხოლოდ დაიწყო, ყველამ დაინახა. ის, რომ სამგზავრო ავტობუსები შემოვიდა, ყველამ დაინახა. შუქნიშნებიც ყველამ დაინახა, დენი რომ 24 საათია და, კიდევ ერთხელ ვამბობ, ეს ბოლო ორი წლის მიღწევაა, ესეც ყველამ დაინახა, ძალიან იშვიათი გამონაკლისის გარდა...

თბილისი არის სტიმული, მაგალითი დანარჩენი საქართველოსთვის. მე საქართველოს პრეზიდენტი ვარ და ბევრ რამეს ვაპირებ, თბილისში უშუალოდ თქვენი იმედი მაქვს. მთავარი ოპტიმიზმის ცენტრი საქართველოში სწორედ თბილისში, ჩვენს დედაქალაქში უნდა გაჩნდეს...

◉ ვითარება

# სროლები ნათლისღების დღეს

**სანაძლეოს ჩამოვალ, რომ ბოლო დრომდე სოფელ ვახტანგისის სახელი არათუ საქართველოში, არამედ შიდა ქართლშიც ბევრმა არ იცოდა. სოფელი ზედ საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე, თავისებურ „ჩიხში“ მდებარეობს, რომელსაც ორ მეზობელ სახელმწიფოს შორის ტერიტორიების გამყოფი უხილავი ხაზი ქმნის. ახლა კი ამ სოფლიდან მოსული ამბები ფრონტის მოწინავედან მიღებულ არცთუ იმედიან ცნობებს ჰგავს. საქმე ის გახლავთ, რომ აქაური, პრაქტიკულად ერთიანად აზერბაიჯანელი ეროვნების მოსახლეობის ძირითადი საქმიანობა, ასე თუ ისე, კონტრაბანდასთანაა დაკავშირებული. სამართალდამცველთაგან „ყურის წაყრუებასა“ და საჭირო დროს „გვერდზე გახედვას“ ადგილობრივი მცხოვრებლები ისე მიეჩვივნენ, რომ ახლა კანონდარღვევათა წინააღმდეგ მიმართულ ყოველ ღონისძიებას პირად შეურაცხყოფად და საკუთარ ინტერესთა შელახვად იღებენ, რაც სამართალდამცველთა (ამ შემთხვევაში ფინანსური პოლიციის თანამშრომელთა) მიმართ უკიდურესად აგრესიულ მოქმედებაში გამოიხატება.**

**ასე მოხდა 19 იანვარსაც, რის თაობაზეც ჩვენს კორესპონდენტს ესაუბრა ფინანსური პოლიციის ოპერატიული დეპარტამენტის პირველი სამმართველოს უფროსი დავით ქარსელაძე.**

– 19 იანვარს, გამთენიისას, მივიღეთ ოპერატიული ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ სოფელ ვახტანგისის საბაჟო-გამტარი პუნქტის გავლით აზერბაიჯანის ტერიტორიიდან კონტრაბანდული ტვირთი, კერძოდ, საყოფაცხოვრებო ტექნიკა და სხვადასხვა სახის საქონელი უნდა შემოეტანათ, – განაცხადა დავით ქარსელაძემ, – მიღებული მონაცემები ოპერატიულად დავამუშავეთ, შემდეგ კი ინფორმაციის რეალიზაციის მიზნით მიკროავტობუსს ჩვენი სამმართველოს მცირე რაზმთან ერთად სოფელში დავხვდით. საქმე ის გახლავთ, რომ საბაჟო-გამტარი პუნქტი, ფაქტობრივად, შიგ სოფელშია განთავსებული. ეს ჩვენთვის, ოპერატიული თანამშრომლებისთვის, გარკვეულ სირთულეებს ქმნის.

საგანგებოდ მინდა აღვნიშნო, რომ კონტრაბანდული საქონლით დატვირთული მიკროავტობუსი ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე გამოატარეს როგორც ქართველმა მესაზღვრეებმა, ისე საბაჟოს თანამშრომლებმა.

ყოველივე დილის 10 საათზე მოხდა. მიკროავტობუსის მძღოლმა დაინახა, რომ მისკენ ფინანსური პოლიციის თანამშრომლები მოემართებოდნენ (ისინი თავიანთი მანქანებიდან გადმოვიდნენ), მან თავისი ავტომანქანა ჯერ შეაჩერა, შემდეგ მაინც დაქოქა, სასწრაფოდ მოაბრუნა და უკანვე წავიდა. ხაზი მინდა გავუსვა იმ გარემოებას, რომ ქართველმა მესაზღვრეებმა კონტრაბანდული საქონლით დატვირთულ მიკროავტობუსს... შლაგბაუმი, ასევე აზერბაიჯანში გასასვლელი ჭიშკარი ღიად დაახვედრეს (?), ხოლო მის მდევარ ფინანსური პოლიციის თანამშრომლებს იგივე ჭიშკარი ცხვირწინ მოუხურეს. ყველაფერი ეს, ცხადია, იმიტომ გაკეთდა, რათა სამართალდამცველთათვის ხელი შეეშალათ კონტრაბანდისტის დაკავებაში, მაგრამ ფინანსური პოლიციის თანამშრომლებმა კარს მანქანა დააჯახეს, იგი გაანგრიეს და უკვე შიგნით დააკავეს მიკროავტობუსის მძღოლი. შემდეგ ნეიტრალური ზონიდან ეს მანქანა ბაგირით გადმოიყვანეს სოფელში. ვახტანგისელებმა ეს ამბავი რომ შეიტყვეს, ყველანი ერთიანად, დიდიან-პატარიანად – მამაკაცები, ქალები, ბავშვები, ბებრები და ახალგაზრდები – დაახლოებით 300 კაცი, გარეთ გამოვიდნენ, შემოეხვივნენ მცირერიცხოვან პოლიციელებს (ოპერატიულ რაზმში სულ 13 კაცი იყო) და მუქარით ცდილობდნენ აეძულებინათ ისინი, რომ კონტრაბანდული ტვირთი გაეთავისუფლებიანთ. ამასთან ერთად, ისინი მარტო სიტყვიერი მუქარით არ შემოფარგლულან – დაიწყეს ქვებისა და ცეცხლმოკიდებული ბენზინიანი ბოთლების სროლა. ამ ყაჩაღური გამოხდომის შედეგად განადგურებულია (დაიწვა) ფინანსური პოლიციის ოპერატიული სამსახურის ერთი მანქანა, დანარჩენი ორიც ერთიანად დალეწილია.

თავდაცვის მიზნით ჩვენ რამდენჯერმე ჰაერში გავისროლეთ, მაგრამ, მინდა გითხრათ, რომ მაინც ჩაქოლვას ძლივს გადავურჩით, თანაც ბრბო პროვოკაციულად გვიტევდა – წინ ბავშვები და ქალები მოდიოდნენ, მამაკაცები კი მათ ზურგებს ეფარებოდნენ.

ყოველივე ამის შემდეგ, ფინანსური პოლიციის ხელმძღვანელობამ, რომელთანაც, ცხადია, ოპერატიული კავშირი გვქონდა, გამოიძახა გარდაბნის რაიონული პოლიცია და უშიშროების სამინისტროს სპეცრაზმი, რომლებმაც სამშვიდობოს გაგვიყვანეს. გაგვიყვანეს კი გაგვიყვანეს, მაგრამ შემოტევის შედეგად, ფინანსური პოლიციის ერთი თანამშრომელი მაინც დაშავდა, მას თავში ნასროლი ქვა მოხვდა და ახლა ტვინის შერყევით საავადმყოფოში წევს. გავრცელდა ცნობა, თითქოს დაშავებულია ასევე რამდენიმე პირი სოფელ ვახტანგისის მცხოვრებთაგან, მაგრამ მე ამის თაობაზე რაიმე მონაცემები არა მაქვს.

საერთოდ კი მინდა აღვნიშნო, რომ 19 იანვარს ფინანსური პოლიციის თანამშრომლები სოფელ ვახტანგისში თავის პროფესიულ მოვალეობას ასრულებდნენ. იქაურებს კონტრაბანდისტობა და სხვა კანონის საწინააღმდეგო მოქმედებები, რომლებსაც მათთვის დიდი შემოსავალი მოაქვს, როგორც ჩანს, „ძვალ-რბილში“ გაუჯდათ, მაგრამ სრული კატეგორიულობით ვაცხადებ, რომ **ჩვენ ერთი ნაბიჯითაც არ ვაპირებთ უკან დახევას, ამიტომ კანონდარღვევის მსურველებს ნურაფრის იმედი ნუ ექნებათ.**

რაც შეეხება ამ საქმეში ქართველ მესაზღვრეთა და მებაჟეთა სავარაუდო მონაწილეობას, ყოველივეს, ცხადია, გამოძიება დაადგენს. მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ უკვე აღძრა სისხლის სამართლის საქმე.

ბოლოს მინდა აღვნიშნო ისიც, რომ კონტრაბანდული საქონლით დატვირთული მიკროავტობუსი ამჟამად ტერმინალშია შეყვანილი, უკანონოდ შემოტანილი ტვირთის საორიენტაციო ღირებულება კი 20 ათასი ლარია.

**ოთარ ტურაბელიძე.**

◉ უმაღლესი განათლება

# ინსტიტუციური აკრედიტაცია გაიარა 78 უმაღლესმა სასწავლებელმა

**გუშინ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში უმაღლესი სასწავლებლების საკრედიტაციო საბჭოზე გაიმართა ბრიფინგი თემაზე: „საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინსტიტუციური აკრედიტაციის შუალედური შედეგები“.**

ინსტიტუციური აკრედიტაციის გასავლელად განაცხადი დადგენილ ვადებში – 2004 წლის 24 ნოემბრამდე გააკეთა 227 სასწავლებელმა. მოცემული მომენტისთვის დამუშავებული 178 სასწავლებლის მონაცემების საფუძველზე, საკრედიტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, ინსტიტუციური აკრედიტაცია გაიარა 78 უმაღლესმა სასწავლებელმა, ანუ 44 პროცენტმა. შესამოწმებელია კიდევ 49 სასწავლებელი.

მხოლოდ აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებლებს ეძლევათ უფლება მიმდინარე წელს გამოაცხადონ სტუდენტთა მიღება.

აკრედიტებულ 78 უმაღლეს სასწავლებელს 2005 წელს შეუძლიათ მიიღონ არაუმეტეს 14625 სტუდენტისა, როგორც სახელმწიფო დაფინანსებით, აგრეთვე თვითდაფინანსებით. აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლები განლაგებულნი არიან: თბილისში – 62, ბათუმში – 6, ქუთაისში – 2, მარნეულში – 2, რუსთავში – 1, სიღნაღში – 1, ახალციხეში – 1, ახალქალაქში – 1, თელავში – 1, ფოთში – 1.

ინსტიტუციური აკრედიტაციისთვის გამოყენებული ძირითადი კრიტერიუმებია: პროფესორ-მასწავლებელთა შორის სამეცნიერო ხარისხის მქონეთა რიცხვი, სტუდენტთა რაოდენობასთან სააუდიტორიო ფართის, ბიბლიოთეკის სიმძლავრის, პერსონალური კომპიუტერების რაოდენობის შეფარდება.

საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 27 ოქტომბრის № 470 ბრძანებულებით შეიქმნა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის საბჭო, მომზადდა თვითშეფასების კითხვარი, რომელიც დაეგზავნა ყველა ლიცენზირებულ უმაღლეს სასწავლებელს, კონკურსის წესით შერჩეულმა 113 ექსპერტმა უმაღლეს სასწავლებლებში გასვლებით შეამოწმა წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორე.

იმ უმაღლეს სასწავლებლებს, რომლებმაც ვერ გაიარეს ინსტიტუციური აკრედიტაცია, კანონის თანახმად, ეძლევათ შესაძლებლობა 2 წლის განმავლობაში გაიარონ აკრედიტაცია.

ინსტიტუციური აკრედიტაციის საბოლოო შედეგები გამოქვეყნდა 2005 წლის 10 თებერვლამდე.

◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

## მიხეილ სააკაშვილი.

# რაზე ფიქრობს საქართველო?

(პირველი გვერდიდან)

**ინა ობრაზცოვა,**
**თბილისი-მოსკოვი.**
**„არგუმენტი ი ფაქტი“.**

სხვა ქვეყნების სამხედრო ბაზები ნიშნავს დამოკიდებულებას ამ სახელმწიფოებზე. მე კი დარწმუნებული ვარ, რომ საქართველო შეძლებს ისეთი არმიის შექმნას, რომ არავისზე აღარ იყოს დამოკიდებული. ეს პროგრამა-მინიმუმი და ჩემი ოცნებაა.

**– ახლა გასაგებია, თუ მთავრობის ბოლო რეორგანიზაცია რატომ ისახავდა მიზნად ძალოვან სამინისტროთა გაძლიერებას. და ეს მოხდა მას შემდეგვე, რაც შეერთებულმა შტატებმა განაცხადა, რომ შეუწყობს ხელს 2006 წლისთვის ნატოში საქართველოს მიღებას. ეს უბრალოდ დამთხვევაა?**

– 2006 წლისთვის საქართველომ შეიძლება მიიღოს მხოლოდ გეგმა, ანუ ჩვენ წამოგვიყენებენ კონკრეტულ პირობებს ნატოში გაწევრიანებისთვის. და თუ ჩვენ მოვისურვებთ, დროთა განმავლობაში შევძლებთ ამის გაკეთებას. ძალოვან სტრუქტურათა რეორგანიზაცია მხოლოდ ჩვენს საშინაო ამოცანებს უკავშირდება. ჩვენ გავხდით პირველი ქვეყანა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში, რომელმაც გააუქმა სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო. საქართველოში უშიშროებისთვის პასუხისმგებლობა დაეკისრება კონტრდაზვერვასა და დაზვერვის მცირერიცხოვან დეპარტამენტს, რომელშიც სულ 40 კაცი მუშაობს. მათი ამოცანა, ძირითადში, იქნება ანალიტიკა ღია წყაროების საფუძველზე, კერძოდ, პრესის მონიტორინგი.

**– თავდაცვის მინისტრად დაინიშნა ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი, რომელიც უკვე გამოთქვამდა წინადადებას გამოყოფილი რეგიონების ძალის გამოყენებით დაბრუნების შესახებ. ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ მოლაპარაკებების პროცესმა ამოწურა თავისი შესაძლებლობები და საქართველო უფრო ქმედითი ნაბიჯის გადადგმას აპირებს? მით უმეტეს, რომ ნატოში არ იღებენ იმ ქვეყნებს, რომლებსაც ტერიტორიული პრობლემები აქვთ.**

– ნატოს გენერალურმა მდივანმა, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ იმყოფებოდა საქართველოში, პირდაპირ განაცხადა, რომ ჩვენს შემთხვევაში ტერიტორიული პრობლემა არ არის დაბრკოლება ამ ორგანიზაციასთან თანამშრომლობისთვის. მაგრამ საქართველოს არსად ოფიციალურად არ განუცხადებია, რომ სურს ნატოში შესვლა. ჩვენ დავადექით ჩრდილო-ატლანტიკურ ბლოკთან ინტეგრაციის გზას. ამავე გზას ადგას რუსეთიც.



ირაკლი თავდაცვის მინისტრად დავნიშნე, რადგან იგი კარგი ორგანიზატორი და სამეურნეო მუშაკია. მსურს, რომ ყოველმა თეთრმა მიაღწიოს ყოველ ჯარისკაცამდე. გაითვალისწინეთ, რომ ქართული არმია 15-ათასიანზე დიდი არასდროს არ იქნება.

**– ამიტომ, „ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის“ გარდა, ახალი თავდაცვის მინისტრის ამოცანებში ისიც შედის, რომ მან მტკიცედ მოკიდოს ხელი რეზერვისტების მომზადებას...**

– რეზერვისტები, ალბათ, ვერ მიიღებენ მონაწილეობას შეტევით ოპერაციებში. მათი გაწვრთნის ვადა სულ სამი კვირაა. ეს ის ძალაა, რომელიც ამოქმედდება მაშინ, თუ, ვინმე ეცდება რაღაც შეტაკებების გადმოტანას ჩვენს ტერიტორიაზე, ღმერთმა ნუ ქნას ეს. მაგრამ ეს იქნება არაორგანიზებული წინააღმდეგობა.

**– რომელიც შეტევაში გადაიზრდება...**

– ეს გამორიცხულია. ჩვენთვის ეს არის ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ადამიანების მონაწილეობის ერთ-ერთი ფორმა. ძალზე სასიამოვნო სიურპრიზი იყო ის, რომ საქართველოში აღმოჩნდა ამდენი ნამდვილი პატრიოტი, რომლებსაც სურთ, რომ ქვეყანას სარგებლობა მოუტანონ!

**– თქვენ ახლა ლაპარაკობთ როგორც დამწყები ფიურერი. მაშინაც ყველაფერი იწყებოდა პატრიოტიზმით და საზოგადოების მილიტარიზმით.**

– ასეთი შედარებებიღა მაკლდა! იცით, კაცთმოძულეობის გარდა, რა იყო მთავარი დამახასიათებელი ნიშანი ჰიტლერისთვის? მას სრულიად არ ჰქონდა იუმორის გრძნობა! ამასთან დაკავშირებით, მე ყველაფერი წესრიგში მაქვს. საქართველოში ნაციზმი ვერასდროს ვერ მოიკიდებს ფეხს. ქართველები ამისთვის მეტისმეტად მხიარული და კეთილმოსურნე ხალხია.

**– საქართველოში ახლა არ არსებობს ძლიერი ოპოზიცია, მაგრამ შემცირებების შედეგად ძალზე ბევრი ადამიანი ჩამოაშორეს საქმეს. არ გაქვთ იმის შიში, რომ უკმაყოფილო ადამიანები, შესაძლოა, გაერთიანდნენ და თქვენც ისევე მოგექცნენ, როგორც თქვენ თავის დროზე შევარდნაძეს მოექეცით?**

– ჩვენ შევამცირეთ თანამდებობების 40 პროცენტი, მაგრამ დარჩენილი თანამდებობების ნახევარზე მოვიდნენ ახალი ადამიანები. ასე რომ, რეალურად ჩვენ დავითხოვეთ ძველი თანამშრომლების 70 პროცენტი. ეს ის ხარკია, რომელსაც ჩვენ ვუხდით რეფორმებს. ახლა სულ მოსახლეზე გაანგარიშებით, ბიუროკრატია ჩვენთან ერთიორად უფრო ნაკლებია, ვიდრე რუსეთში. ადამიანები გაგებით ეკიდებიან შემცირებებს, რადგან ხედავენ შედეგს – კორუფციის დონემ იკლო.

**– თუ ვიმსჯელებთ იმით, რომ კორუფციონერთა დაპატიმრებების დროს ხშირად მოქმედებენ სპეციალური დანიშნულების რაზმები და ვერტმფრენები, ეს ბრძოლა კი არა ნამდვილი ომია. როგორია ნადავლი?**

– ეკონომიკური დანაშაულის ჩამდენ პირს ეკონომიკური სასჯელიც უნდა დაეკისროს. ასეთია ჩემი პოზიცია. როგორც მომახსენეს, 200 მილიონ დოლარზე მეტი დაუბრუნდა სახელმწიფო ხაზინას. მაგალითად, შევარდნაძის სიძემ ისეთი დავალიანება დააბრუნა, რომელიც გვეყო იმისთვის, რომ ორი თვის განმავლობაში ყველა პენსიონერისთვის დაგვერიგებინა პენსიები მთელი საქართველოს მასშტაბით. ის ფული, რომელიც რკინიგზის ხელმძღვანელმა გადაიხადა, მთლიანად მოხმარდა ხუთი სარკინიგზო სადგურის აღდგენას. საქართველოს საგზაო სამმართველოს უფროსის „შენატანი“ საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ შეგვეკეთებინა ყველა გზა თბილისის ცენტრში.

**– მაგრამ ამ ფულის ჩარიცხვა ბიუჯეტში არ შეიძლება. ვინ ანაწილებს და აკონტროლებს ამ „შავ სალაროს“?**

– არსებობენ სხვადასხვა საბიუჯეტო ფონდები. ყველაფერი გამჭვირვალეა. ხარჯებს აკონტროლებს მთავრობა. მაგალითად, ჩვენთან არიან პროკურორები, რომლებიც თვეში პრემიებისა და დანამატების სახით 10-10 ათას დოლარს იღებენ. წინათ ეს ადამიანები თვითონვე იხდიდნენ თავიანთი მივლინების ხარჯებს, ბენზინის ფულს. შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ სხვა ქვეყნებში პარტიზანული მოძრაობების მხარდასაჭერად ეს ფული არ იხარჯება.

**– სად არის იმის გარანტია, რომ ამ ნიადაგზე არ აღმოცენდებიან „ახალი ტალღის“ კორუფციონერები?**

– ხალხში არ დადის ხმები იმის თაობაზე, თითქოს ახალი მთავრობა კორუმპირებული იყოს.

**– როგორია პრეზიდენტის ხელფასი?**

– ჩემი წინამორბედი ოფიციალურად იღებდა 115 დოლარს. ჩემი ხელფასი 1,5 ათასი დოლარია. მაგრამ გაითვალისწინეთ, რომ მე სახელმწიფო უზრუნველყოფაზე ვარ.

**– თქვენ ეს საკმარისად მიგაჩნიათ საიმისოდ, რომ არ გაგიჩნდეთ სახელმწიფო ხაზინით სარგებლობის სურვილი?**

– ახლა მე არ მჭირდება სიბერისთვის ფულის დაგროვება. როგორც იურისტი, გაცილებით მეტ თანხებს გამოვიმუშავებ მაშინ, როცა ამოიწურება ჩემი საპრეზიდენტო ვადა.

**– რამდენ ხანს აპირებთ პრეზიდენტობას?**

– 2009 წლამდე. თეორიულად ათი წელიც არის შესაძლებელი, მაგრამ ტექნიკურად ეს ძალზე რთულია. უნდა გითხრათ, რომ პრეზიდენტობა არ არის ყველაზე მხიარული პროფესია. პრეზიდენტობის ვადას განვსაზღვრავ პროექტების მიხედვით. ჩემი ოცნებაა, გავალამაზო და კეთილმოვაწყო თბილისის ცენტრი. ამას დაახლოებით სამი წელი მაინც დასჭირდება. მსურს აგრეთვე ავტოსტრადის გაყვანა თბილისიდან ბათუმამდე.

**– წინათ გითქვამთ, რომ პრეზიდენტის პოსტს არ დატოვებდით მანამ, სანამ საქართველოს დროშა არ აფრიალდებოდა სოხუმსა და ცხინვალში...**

– ჩვენ არ ვაპირებთ შევურიგდეთ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას. მაგრამ ყველაფერი მოხდება ძალადობის გარეშე, ბუნებრივი გზით. აღდგება ნდობა ეთნიკურ ჯგუფებს შორის, რუსეთსა და საქართველოს შორის. მე შევთავაზე საქართველოს, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის არასამთავრობო ორგანიზაციებს, ერთობლივად მოემზადებინათ ფედერალური ურთიერთობის გეგმა. 21 იანვარს ვაპირებ მივმართო სამხრეთ ოსეთის ხალხს. არ მსურს ყველაფრის წინასწარ თქმა, მაგრამ ეს იქნება ვითარების მშვიდობიანი მოწესრიგების შესახებ გამოთქმული უპრეცედენტო წინადადება, რომელზეც, იმედი მაქვს, უარს არ იტყვიან.

**– როგორი ურთიერთობა გაქვთ პუტინთან?**

– როცა პირველად ჩავედი მასთან, გარკვეული სიფრთხილე და დაძაბულობა შეინიშნებოდა. მაგრამ საუბარი გაგრძელდა დაახლოებით ოთხ საათს, და თავი ძალზე კომფორტულად ვიგრძენი. ურთიერთობა დაიძაბა აჭარის მოვლენების შემდეგ. ვლადიმერ პუტინი ოქტომბერში რომ გვწვეოდა და ერთად რომ ჩავსულიყავით კახეთში რთველზე, ჩვენი ურთიერთობა გაცილებით უფრო თბილი იქნებოდა. როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სხვა ქვეყნების პრეზიდენტებმა მირჩიეს, საჭიროა კონტაქტების გამოძებნა მის გარემომცველ პირებთანაც, სასურველია უფრო ხშირი საუბარი ტელეფონით, მეგობრული ურთიერთობის დამყარება. მაგრამ არ ვაპირებ ვინმეს ძალით მოვახვიო თავს მეგობრობა. კულუარული თამაშების როლი ჩემთვის შესაფერისი არ არის. ვფიქრობ, რომ ჩვენს ურთიერთობას რუსეთთან შეიძლება მოჰყვეს საკმაოდ მძიმე შედეგები, თუ ყველაფერი არ გაკეთდა ამ ურთიერთობის გაუმჯობესებისთვის.

აშკარად შეინიშნება, რომ ჩვენს საზოგადოებაში რუსული ენა აღარ არის პოპულარული. თანდათანობით მცირდება რუსული სკოლების რიცხვი. ქართველი ბავშვები არ მიდიან იქ სასწავლებლად. რატომ? იმიტომ, რომ ახლა გაცილებით უფრო რთულია ჩვენთვის მოხვედრა რუსეთში, ვიდრე, ვთქვათ, საფრანგეთში. მეგობრებისა და ნათესავებისთვის ტელეფონით დარეკვაც ძვირი ჯდება. ამით ჩვენი ქვეყანა ღარიბდება. მაგრამ არა იმ თვალსაზრისით, რომ ჩვენ უნდა ვიფაჭროთ რუსეთის ბაზარზე. ეს ძალზე გამარტივებული მიდგომა იქნებოდა, თუმცა, არც უამისობაა. მთავარი ის არის, რომ ჩვენი სასიცოცხლო სივრცე ნელ-ნელა მცირდება.

**– კარპატების დეკლარაციაში, რომელსაც ვიქტორ იუშჩენკოსთან ერთად მოაწერეთ ხელი, აღნიშნულია, რომ ევროპას ელის გათავისუფლების ახალი ტალღა. თქვენი აზრით, ევროპის კონტინენტზე რომელ ქვეყნებს სჭირდება „გათავისუფლება“?**

– ვფიქრობ, რომ დემოკრატიზაციის პროცესი არასდროს არ არის სრულყოფილი და ყველა ქვეყანა, მათ შორის, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიც, ივლიან დემოკრატიული რეფორმების გზით. ეს პროცესი არ არის დაკავშირებული რა-

◉ ინფორმაცია

### წყალტუბო და ბათუმი შესაძლოა, კაზინოების ქალაქებად იქცნენ

**წყალტუბო და ბათუმი შესაძლოა, კაზინოების ქალაქებად იქცნენ. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ პარლამენტი „ლატარიების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშების მოწყობის შესახებ“ კანონში მთავრობის მიერ მომზადებულ ცვლილებებს მიიღებს.**

**როგორც საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ რომან გოცირიძემ გუშინ კომიტეტის სხდომაზე განაცხადა, მთავრობამ საკანონმდებლო ორგანოში ეს კანონპროექტი თვენახევრის წინ წარადგინა.**

**კანონპროექტის თანახმად, თბილისში კაზინოების და სამორინეების საქმიანობისთვის ლიცენზიის ღირებულება 3 მილიონი ლარით განისაზღვრება. ბათუმში ანალოგიური გადასახადი 500 ათასი ლარია, წყალტუბოში კი ლიცენზია უფასო იქნება.**

**მთავრობა წყალტუბოში შეღავათიანი რეჟიმის მიზეზად იმერეთის რეგიონში არსებულ მძიმე სოციალურ ფონს ასახელებს. ამასთანავე, წყალტუბოსთან ახლოს არსებული კოპიტნარის აეროპორტი სათამაშო ბიზნესის განვითარებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს. გარდა ამისა, წყალტუბო საკურორტო ზონაა.**

**კანონპროექტი კრძალავს სათამაშო დაწესებულებებში 18-წლამდე ასაკის მოზარდების თამაშში მონაწილეობას.**

**ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელთა განცხადებით, მთავრობა ცალსახად არ კრძალავს კაზინოებს, თუმცა მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ ეკონომიკური ბერკეტების გამოყენებით, კაზინოების თავმოყრა წყალტუბოში მოხდეს.**

### ახალი ლას-ვეგასის გახსნის ინიციატივით

**საქართველოს პარლამენტის ფრაქცია „მემარჯვენე ოპოზიცია – მრეწველები, ახლების“ წარმომადგენელი ზურაბ ტყემალაძე საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის გუშინდელ სხდომაზე ახალი ინიციატივით გამოვიდა.**

**მისი განცხადებით, კაზინოების ქალაქი საგარეჯოს რაიონის სოფელ უდაბნოში უნდა აშენდეს, სადაც მეზობელი სომხეთისა და აზერბაიჯანის მოქალაქეებისთვისაც მოსახერხებელი იქნება ჩასვლა.**

**დეპუტატის თქმით, უდაბნოში სათამაშო ბიზნესის განვითარებისთვის საუკეთესო პირობებია. „ამერიკელებმა ლას-ვეგასის აშენება სწორედ უდაბნოში გადაწყვიტეს და წალკოტადაც აქციეს იგი“, – აღნიშნა ტყემალაძემ.**

**მისი თქმით, თბილისში კაზინოებზე ლიცენზიის ღირებულების 3 მილიონამდე გაზრდა მათ დახურვას გამოიწვევს.**

**„არსებობს კიდევ ერთი საშიშროება, რომელზეც დღეს არავინ საუბრობს – დაიწყება თბილისში არალეგალური პოკერ-კლუბების, სამორინეებისა და კაზინოების გახსნა, როგორც ეს ჩვენი ახალგაზრდობის დროს იყო. მართალია, მაშინ პოლიცია აღნიშნული ბიზნესის მწარმოებლებს დასდევდა, მაგრამ ისინი საკმაოდ წარმატებულად ახორციელებდნენ საკუთარ საქმიანობას“, – განაცხადა ტყემალაძემ.**

**„ინტერ-პრესი“**

⊙ გზად მომავლისკენ

**თამაზ გამყრელიძე,**
**საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი**

# საქართველოს მეცნიერებათა აკადემია როგორც ფუნდამენტურ მეცნიერულ კვლევათა ეროვნული ცენტრი

1. თანამედროვე საზოგადოების განვითარება, ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკის შექმნა, როგორც ცნობილია, მთლიანად დამოკიდებულია ქვეყანაში არსებული მეცნიერებისა და განათლების დონეზე. ქვეყნის ეკონომიკური და კულტურული პროგრესი და, საზოგადოდ, ქვეყნის უსაფრთხოება პირდაპირ კავშირშია მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარებასთან და მეცნიერული ცოდნის ადეკვატურ გამოყენებასთან. ცივილიზებული ქვეყნის უსაფრთხოების კონცეფცია უნდა გულისხმობდეს არა მხოლოდ მძლავრ ეკონომიკას, ძლიერ ჯარსა და ქმედითუნარიან სამართალდამცავ ორგანოებს, არამედ აგრეთვე (და შესაძლებელია არანაკლებ) — მძლავრ მეცნიერებას, ფართო განათლებასა და საზოგადოების მაღალ კულტურულ დონეს. ამასთანავე, მეცნიერების განვითარებაში განსაკუთრებულ როლს თამაშობენ ფუნდამენტური მეცნიერებანი, ფუნდამენტური კვლევები და ამგვარი კვლევების შედეგად აღმოცენებული ახალი მეცნიერული იდეები, რომელთა განხორციელება და ცხოვრებაში გატარება შესაძლებელს ხდის ავამაღლოთ საზოგადოების ეკონომიკური და სოციალური განვითარების დონე.

სწორედ მეცნიერებათა და ხელოვნებათა აკადემიები და უმაღლესი განათლების სათანადო დაწესებულებები არის თანამედროვე ცივილიზებულ სამყაროში ის მირითადი კერები, სადაც ხდება ამგვარი მეცნიერული იდეების ჩასახვა და განვითარება. ალბათ არ არსებობს თანამედროვე სამყაროში ცივილიზებული სახელმწიფო, რომელშიც არ იყოს წარმოდგენილი ამა თუ იმ სახით მეცნიერებათა აკადემია და რომელიც ხელს არ უწყობდეს ამგვარი აკადემიების საშუალებით მეცნიერებისა და კულტურის განვითარებას.

საქართველოში სწორედ ამ ტიპის დაწესებულებებს წარმოადგენდნენ ცნობილი მველი აკადემიები, მათ შორის **დავით აღმაშენებლის** მიერ დაფუძნებული „გელათის აკადემია". ამ ტიპის დაწესებულება იყო აგრეთვე 1918 წელს დიდი **ივანე ჯავახიშვილის** მიერ დაფუძნებული ქართული უნივერსიტეტი და 1941 წელს დაარსებული საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, რომლის ჩამოყალიბებას დიდი ღვაწლი იმავე **ივანე ჯავახიშვილმა** დასდო; სწორედ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წიაღში ჩამოყალიბდა საბოლოოდ ისეთი საქვეყნოდ ცნობილი ქართული სამეცნიერო სკოლები, როგორიცაა ქართული მათემატიკური სკოლა, ქართული ფიზიოლოგიური სკოლა, ქართული ფსიქოლოგიური სკოლა, ქართული გეოლოგიური სკოლა, ქართული ფილოსოფიური და საისტორიო სკოლები, ქართული საენათმეცნიერო სკოლა, ქართული საარმოსავლეთმცოდნეო სკოლა და სხვ.; სწორედ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან ასოცირდება ქართული და საერთაშორისო მეცნიერების ისეთი კორიფეები, როგორიცაა **ნიკო მუსხელიშვილი, ივანე ბერიტაშვილი, დიმიტრი უზნაძე, ალექსანდრე ჯანელიძე, შალვა ნუცუბიძე, აკაკი შანიძე, გიორგი ახვლედიანი, არნოლდ ჩიქობავა, გიორგი წერეთელი...** ქართული მეცნიერება, ქართული კულტურა, მთელი ქართველი ხალხი ამაყობს ამ სახელებით, რომლებიც განუყოფლადაა დაკავშირებული საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან.

2. ყველასათვის გასაგებია, რომ დღევანდელ ვითარებაში ჩვენს ქვეყანაში გასატარებელია მირეული რეფორმები განათლებისა და მეცნიერების ორგანიზაციის სფეროში, მათ შორის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში, რათა შევინარჩუნოთ და კიდევ უფრო ავამაღლოთ საქართველოში ტრადიციულად არსებული მაღალი აკადემიური დონე, გავაღრმავოთ და გავაფართოოთ საერთაშორისო თანამშრომლობა და კავშირები მსოფლიოს წამყვან სამეცნიერო ცენტრებთან.

დადგა ჩვენი ქვეყნის, ჩვენი მეცნიერებისა და კულტურის შემდგომი განვითარებისათვის ფრიად კრიტიკული პერიოდი და ჩვენი მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეთა წინაშე ისმის უმნიშვნელოვანესი ამოცანა — გადავარჩინოთ, შევინარჩუნოთ და სათანადოდ განვავითაროთ ქართული მეცნიერება და კულტურა: მეცნიერება და კულტურა როგორც საზოგადოებრივი ფენომენი ხომ თანამედროვე ცივილიზაციის საფუძველია, ჩვენი და მომავალი საზოგადოება ხომ მეცნიერულ ცოდნაზე დამყარებული საზოგადოება უნდა იყოს და ქვეყნის საერთო უსაფრთხოების ერთერთ მძლავრ და არსებითად განმსაზღვრელ ფაქტორს ხომ სწორედ მეცნიერება წარმოადგენს, განსაკუთრებით მისი ფუნდამენტური დარგები.

სავსებით ცხადია, რომ თანამედროვე ქართული მეცნიერებისა და უმაღლესი განათლების შემდგომი განვითარება წარმოუდგენელია საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემაში ორგანული ჩართვის გარეშე, მაგრამ საბაზრო ურთიერთობათა უკრიტიკო და მექანიკური გადატანა მეცნიერებისა და განათლების სფეროში საშიშროებას უქმნის სწორედ ფუნდამენტურ მეცნიერებათა განვითარების პერსპექტივებს; ფუნდამენტური მეცნიერებანი კი, როგორც ცნობილია, საწინდარია საერთოდ მეცნიერების (მათ შორის მეცნიერების გამოყენებითი დარგების) და კულტურის განვითარებისა, რაც, თავის მხრივ, საფუძველია ქვეყნის წინსვლის, ქვეყნის ეკონომიკისა და მთელი საზოგა-დოებრივი ცხოვრების დონის ამაღლებისა.



3. ზემოთ მოყვანილი მოსაზრებების გათვალისწინებით, აუცილებლად მიგვაჩნია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან დაკავშირებით განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებები:

ა) სათანადოდ უნდა გარდაიქმნას მეცნიერებათა აკადემიის არსებული სტრუქტურა და შეიქმნას „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია", როგორც საბაზო დაფინანსებაზე დამყარებული ფუნდამენტურ კვლევათა ეროვნული ცენტრი, რომლის კურატორი უნდა იყოს საქართველოს პრეზიდენტი (რიგი დასავლური აკადემიების ანალოგიით). აკადემიის პრეზიდენტს ირჩევს აკადემიის „საერთო კრება" — მეცნიერებათა აკადემიის მართვის უმაღლესი ორგანო, რომელიც შედგება აკადემიის ნამდვილი წევრების, წევრ-კორესპონდენტებისა და აკადემიური ინსტიტუტების უფლებამოსილი წარმომადგენლებისაგან; „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის" განსაზღვრული ვადით არჩეულ პრეზიდენტს ამტკიცებს ქვეყნის პრეზიდენტი.

ბ) საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია უნდა წარმოადგენდეს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების და/ან ცალკეული სამეცნიერო ცენტრების დამოუკიდებელ, თვითმართვად ერთობლიობას, როგორც ეს ამჟამად არა მარტო რუსეთისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკათა უმეტესობის შემთხვევაში გვაქვს, არამედ ასევე ევროპის არაერთი წამყვანი ქვეყნის მეცნიერებათა აკადემიების შემთხვევაში (ავსტრია, უნგრეთი, გერმანია...).

მეცნიერებათა აკადემია მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული (შესაძლებელია, ორგანიზაციული და სტრუქტურული კავშირებითაც) საგანმანათლებლო და კულტურულ კერებთან (შდრ. ამ თვალსაზრისით **ჯონ ადამსის** — ამერიკის შეერთებული შტატების რიგით მეორე პრეზიდენტის მიერ დაარსებული „ხელოვნებათა და მეცნიერებათა ამერიკული აკადემიის" სტრუქტურა).

მეცნიერებათა აკადემიის სტრუქტურული რეფორმირების პროცესში მისი არქიტექტონიკისა და ინსტიტუციონალური შედგენილობის კონკრეტული სურათი საბოლოოდ უნდა ჩამოყალიბდეს აკადემიაში შექმნილი სპეციალური კომისიების მიერ და შეთანხმდეს სათანადო სამთავრობო სტრუქტურებთან.

გ) აკადემიის სისტემაში ამჟამად მიმდინარე ატესტაციის პროცესი, ბუნებრივია, გარკვეულწილად შეცვლის აკადემიის ინსტიტუტებში მეცნიერ მუშაკთა შემადგენლობას და, შესაბამისად, მათ რაოდენობას, მაგრამ ეს პროცესი უნდა განხორციელდეს მხოლოდ მეცნიერ მუშაკთა მაქსიმალური სოციალური დაცვის პირობებში.

დ) ჩვენი ქვეყნის ამჟამინდელი სოციალური ვითარების გათვალისწინებით, მეცნიერებისა და განათლების სფეროში გამოყენებული უნდა იქნეს არა ევროპული (კერძოდ, გერმანული) მოდელი მკაცრი ასაკობრივი ცენზით (ეს ერთბაშად დასცემდა ჩვენს დღევანდელ აკადემიურ დონეს), არამედ ამერიკული მოდელი, რომელიც აკადემიურ სფეროში მოღვაწეთათვის არ ითვალისწინებს აუცილებლობით გარკვეულ ასაკობრივ ცენზს (ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმა კარგა ხანია მიიღო კანონი, რომელიც აკადემიურ სფეროში აუქმებს ასაკობრივ ცენზს, როგორც „ასაკობრივ დისკრიმინაციას" და ადამიანის უფლებების დარღვევას).

ამასთან ერთად, აუცილებელია ახალგაზრდობის მეცნიერებაში ფართოდ მოზიდვა, მათთვის აკადემიურ სტრუქტურებში თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი მატერიალური პირობების შექმნითა და უზრუნველყოფით; ქართული მეცნიერების გადარჩენა და შემდგომი განვითარება ხომ სწორედ პერსპექტიული ახალგაზრდა კადრების მეცნიერებაში მოსვლასთან არის დაკავშირებული.

ე) საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მფლობელობაში ამჟამად არსებული უძრავი ქონება უნდა დარჩეს რეორგანიზებული აკადემიის სისტემაში, როგორც მეცნიერებათა აკადემიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება-მოდერნიზაციისა და, შესაბამისად, ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების გაფართოებისათვის აუცილებელი საფუძველი და წინაპირობა.

უნდა გამოვთქვათ რწმენა, რომ საქართველოში მიმდინარე გარდაქმნებისა და აღმშენებლობის საერთო კონტექსტში მეცნიერებათა აკადემიის სისტემის თანმიმდევრული რეორგანიზაცია და მოდერნიზაცია მკვეთრად გაზრდის ფუნდამენტურ კვლევათა წვლილსა და მნიშვნელობას ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში და მისი საერთო უსაფრთხოების განმტკიცებაში.

⊙ ინფორმაცია

**თბილისი ცხინვალთან მოლაპარაკებებს გამართავს**

გუშინწინ, გვიან ღამით, ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონის ერგნეთის საგუშაგოს მიმდებარე ტერიტორიიდან შეიარაღებული ოსების მიერ გატაცებული ქართველი პოლიციელების გასათავისუფლებლად, საქართველოს ხელისუფლება ოსურ მხარესთან მოლაპარაკებების გამართვას გეგმავს. ამის შესახებ გუშინ საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანმა გელა ბეჟუაშვილმა განაცხადა.

„ჩვენ ვაპირებთ გავმართოთ მოლაპარაკებები ოსურ მხარესთან, რის შემდეგაც მივიღებთ შესაბამის გადაწყვეტილებებს," — განუცხადა ჟურნალისტებს ბეჟუაშვილმა.

ცხინვალის რეგიონში დისლოცირებული შერეული სამშვიდობო ძალების ქართული ბატალიონის ახლად დანიშნული სარდლის კობა ლაჭყებიანის ინფორმაციით, სავარაუდოდ, კონფლიქტის ზონაში გატაცებული ქართველი პოლიციელები სეპარატისტული მთავრობის თავდაცვის სამინისტროს იზოლატორში არიან მოთავსებულნი.

**გელა ბეჟუაშვილი რაიონების გამგებლებს ინსტრუქტაჟს უტარებს**



საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი გელა ბეჟუაშვილი სახელმწიფო კანცელარიაში რაიონების გამგებლებს შეხვდა. შეხვედრის მიზანი სამხედრო გაწვევასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა იყო.

როგორც შეხვედრის დაწყების წინ გელა ბეჟუაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, გუშინ საგაზაფხულო გაწვევა დაიწყო.

„გვინდა გამგებლებს მითითებები მივცეთ, რათა პროცესი მაქსიმალურად სწორად ჩატარდეს", — განაცხადა ბეჟუაშვილმა, რომლის თქმით, 2005 წლიდან სამხედრო გაწვევა განახლებული პროცედურით წარიმართება.

სხდომა, რომელსაც 30 გამგებელი ესწრებოდა, დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა.

**მეწარმეებს გადასახადების გადახდას ასწავლიან**

საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაციის ინიციატივით, გუშინ ქვეყანაში მოქმედ ბიზნესმენებს ტრეინინგი ჩაუტარდათ თემაზე „როგორ გადავიხადოთ გადასახადები".

როგორც ფედერაციის აღმასრულებელმა დირექტორმა გიორგი ისაკაძემ „ინტერ-პრესს" განუცხადა, ახალი საგადასახადო კოდექსის დაგვიანებით მიღებამ სერიოზული პრობლემები შეუქმნა როგორც მეწარმეებს, ასევე გადასახადების მობილიზებაზე მომუშავე სახელმწიფო სტრუქტურებს.

მისი განმარტებით, მეწარმეებმა და საგადასახადო სტრუქტურების წარმომადგენლებმა ადაპტაციის პერიოდი ვერ გაიარეს.

„გადავწყვიტეთ, სახელმწიფო უწყებათა წარმომადგენლები მეწარმეებთან და ექსპერტებთან ერთად მოგვეწვია და ერთობლივი ტრეინინგები ჩაგვეტარებინა", — განაცხადა ისაკაძემ, რომელმაც მსგავსი ღონისძიების ორგანიზება მომავალშიც არ გამორიცხა.

**ინტერ-პრესი.**

⊙ ინფორმაცია

**3000 დევნილს საცხოვრებელ პირობებს გაუუმჯობესებენ**



გუშინ საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრმა ეთერ ასტემიროვამ და საქართველოში წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის (წჯსკ) დელეგაციის ხელმძღვანელმა პოლ კასტელმა ურთიერთგაგების მემორანდუმს მოაწერეს ხელი.

მემორანდუმის თანახმად, წჯსკ და ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო, 2005 წლის განმავლობაში, დასავლეთ საქართველოში დევნილთა კომპაქტურად ჩასახლების ობიექტებში სარეაბილიტაციო სამუშაოებს ჩაატარებენ. სარემონტო სამუშაოები თებერვლის პირველივე რიცხვებიდან დაიწყება.

პოლ კასტელის ინფორმაციით, წჯსკ დევნილთა კომპაქტურად ჩასახლების 29 ობიექტში შეაკეთებს სახურავებს, ელექტრო და წყალგაყვანილობის სისტემებს და წესრიგში მოიყვანს სველ წერტილებს. მისივე თქმით, 29-დან 4 ობიექტზე სარეაბილიტაციო სამუშაოებს წჯსკ და საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო ერთობლივად განახორციელებენ. ჩატარებული სამუშაოების შედეგად, საცხოვრებელ პირობებს სულ 3000 დევნილი გაიუმჯობესებს.

**პრეზიდენტს მხარდაჭერას სთხოვენ**

აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა ერთმა ჯგუფმა გუშინ საქართველოს პრეზიდენტისადმი მიმართვის ტექსტი მიიღო.

ისინი მიხეილ სააკაშვილს უნივერსიტეტის რექტორის პოსტზე ქუთაისის სამეცნიერო წრეებში ყველაზე ახალგაზრდა პროფესორის, 31 წლის გიორგი ონიანის მხარდაჭერას სთხოვენ.

ონიანს პროფესორის წოდება 1998 წელს, 24 წლის ასაკში მიენიჭა. დოცენტი კი ის 22 წლისა გახდა.

როგორც უნივერსიტეტის სხდომათა დარბაზში გამართულ შეხვედრაზე პროფესორ-მასწავლებლებმა აღნიშნეს, გიორგი ონიანი, რომელმაც განათლება უცხოეთში მიიღო და უნივერსიტეტში 9 წელია მუშაობს, რექტორობის ღირსეული კანდიდატია.

**ინტერ-პრესი.**

⊙ მეცნიერება

# აკადემიას მეხუთე პრეზიდენტი ჰყავს — თამაზ გამყრელიძე

(პირველი გვერდიდან)

ბატონი ოთარის წინადადებით, ამომრჩეველთა სიიდან ამოიღეს საქართველოში სხვადასხვა მიზეზით არმყოფი აკადემიის წევრები, რომელთა ვინაობა დასახელდა. ასევე დასახელდნენ ის წევრები, რომლებიც, ავადმყოფობის მიზეზით, შინ მისცემენ ხმას (რაც არ არღვევს საარჩევნო წესს).

კენჭისყრის შედეგების გამოცხადებამდე, აკადემიის რამდენიმე წევრს ვთხოვეთ იმდღევანდელი მოვლენის გარშემო აზრის გამოთქმა.

ორმა აკადემიკოსმა, ქალბატონებმა — ნინო ჯავახიშვილმა და ეთერ ქემერტელიძემ მოკლედ მომიგეს: ორივე ხელით მივემხრობით ბატონი თამაზის არჩევასო...

**ვახტანგ შამილაძე, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი:**

— რამდენადაც მე ვიცი, აკადემიური წრეების საერთო განწყობა ისეთია, რომ ბატონი თამაზი არჩეული იქნება პრეზიდენტად.

თამაზ გამყრელიძე სახელგანთქმული მკვლევარია, რომლის სახელი ფართოდაა ცნობილი მსოფლიოს სამეცნიერო საზოგადოებრიობისთვის. იგი ხომ უცხოეთის მრავალი აკადემიის ნამდვილი ან საპატიო წევრია, აგრეთვე არაერთი პრესტიჟული პრემიის ლაურეატი. დღეს ჩვენი აკადემიის წინაშე რთული პრობლემები დგას. იმედია, ბატონი თამაზი ხელს შეუწყობს იმ რეფორმების გატარებას, რომლებიც ორიენტირებულია საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებთან მეცნიერული კვლევების შერწყმაზე და საერთოდ, ქართული მეცნიერების გადარჩენაზე.

ამასთან, თავისი მაღალი ავტორიტეტით მან უნდა უზრუნველყოს ეროვნული აკადემიის არსებული პოტენციალის შენარჩუნება და ამაღლება, ახალგაზრდა კადრების მოზიდვა და საერთოდ, საიმედო მომავალი ჩვენს მეცნიერულ ცხოვრებაში. გულით ვუსურვებ ამ მისიაში წარმატებას.

**თენგიზ სანაძე, აკადემიკოსი:**

— ყველაფრის ქვაკუთხედი არის აკადემიის ინსტიტუტებისა და აკადემიის კორპუსის ერთიანობა. მათი გახლეჩა, რაც, სხვათა შორის, ზოგიერთს მიზნად დაუსახავს, დამღუპველია არა მარტო მეცნიერებისათვის, არამედ ქვეყნისათვის.

მე გავეცანი პრეზიდენტობის კანდიდატის კონცეფციას და მომწონს. მთავარი აზრი სათაურშივეა გამოხატული — საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია როგორც ფუნდამენტურ მეცნიერულ კვლევათა ცენტრი!



**მალხაზ ზაალიშვილი, აკადემიკოსი:**

— ყოველთვის უნდა ვითვალისწინებდეთ მსოფლიოში არსებულ ტენდენციას — მეცნიერება არის ქვეყნის სტრატეგიული მიმართულება. თუ ციფრები სწორად მახსოვს, ევროპაში, საშუალოდ, 1000 კაცზე 6 მეცნიერი მოდის (კერძოდ, შვეიცარიაში, 1000 კაცზე — 13), აშშ-ში — 8, იაპონიაში — 9. საქართველოში, ამჟამად, მხოლოდ 2,4. ყოველმხრივ უნდა ვეცადოთ საზღვარგარეთ მყოფი ქართველი ახალგაზრდა მკვლევარების დაბრუნება, ხოლო ქვეყნის შიგნით ახალი კადრების მომზადება, რომ ევროპის სტანდარტებს მაინც მივუახლოვდეთ.

მეორე ჩემი მოსაზრება: ზოგიერთ შემთხვევაში არათუ ინსტიტუტების შემცირებაზე უნდა ვიფიქროთ, არამედ, პირიქით, როცა საქმე მოითხოვს, ახალი დარგებისათვის ფართო გზის მიცემაზე დარგებისათვის, რომლებიც ბოლო ხანებში აღმოცენდა: ნანოტექნოლოგიები (ფიზიკა!), მოლეკულური ბიოლოგია, ბიოფიზიკა და სხვა. ამიტომ ახალი მძლავრი ერთეულების შექმნას ვისურვებდი როგორც ბუნებისმეტყველი.

... ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარე, აკადემიკოსი მინდია სალუქვაძე აცხადებს კენჭისყრის შედეგებს: სიით 113 ამომრჩევლიდან აკადემიკოს თამაზ გამყრელიძეს ხმა მისცა 111-მა (შესანიშნავი შედეგი, ალბათ 99,99 პროცენტი...), ერთი ხმა წინააღმდეგი იყო, ერთი ბიულეტენიც გაუქმდა. ამრიგად, 20 იანვრის 15 საათიდან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას (მალე ალბათ სახელშეცვლილს — საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას) მეხუთე პრეზიდენტი ჰყავს — აკადემიკოსების ნიკო მუსხელიშვილის, ილია ვეკუას, ევგენი ხარაძისა და ალეკო თავხელიძის შემდეგ.

ბატონმა თამაზმა მხურვალე მადლობა გადაიხადა ასეთი მაღალი პატივისა და ნდობისათვის და იმედი გამოთქვა, რომ ერთობლივი ძალისხმევით გადაწყდება ყველას წინაშე მდგარი ძნელი ამოცანები...

**თამაზ ებანოიძე.**

ProCredit Bank
პირველად საქართველოს საბანკო სივრცეში

⊙ თავსატეხი

# გეომეტრიული სამკუთხედი — არითმეტიკის სამსახურში

დღეს „თბილისის სამკუთხედზე" ბევრი ლაპარაკია. მან ვერ გაამართლა და პრეზიდენტმაც განკარგულება გასცა, რომ კოსტავას, მელიქიშვილისა და ვარაზისხევის ქუჩებზე სტატუს კვო აღდგეს. ამ თემას ეხება ეს წერილიც.

განათლებული საზოგადოებისათვის ჯერ კიდევ ისააკ ნიუტონის დროიდან იყო ცნობილი, რომ ნებისმიერი სამკუთხედის შიდა კუთხეების ჯამი ($180^0$) მყარი და უცვლელი იყო, მაგრამ მის გარშემო მოძრაობის ინტენსიურობის განსაზღვრაში, თუ ჩვენ ასეთ ელემენტარულ შეცდომას დავუშვებდით, არ გვეგონა.

აი სამკუთხედი: კოსტავას, ვარაზისხევის და მელიქიშვილის ქუჩები, რომელთა გარშემო ცალმხრივი მოძრაობის წყალობით, სატრანსპორტო საცობებისაგან თავის დაღწევას ვვარაუდობდით. რეალურად კი ელემენტარულ არითმეტიკაში ჩავიჭერით.

იმისათვის, რომ დაწყებით ანგარიშში გავერკვეთ, მოდით, კოსტავას ქუჩას მივაკუთნოთ ორი ბალი, რადგან აქ მოძარობა ორი მხრიდან იყო, — ფილარმონიიდან და გმირთა მოედნიდან. რადგან ამ უკანასკნელიდან მოძრაობა მოიხსნა, სათვალავად დავიტოვოთ ერთი ბალი. აქვე ისიც აღვნიშნოთ, რომ ქუჩას დაემატა ორი სრულიად ახალი მიმართულება: მელიქიშვილიდან გმირთა მოედნისკენ და ცენტრიდან ვაკისკენ. ისე რომ ორბალიანი კოსტავას ქუჩა სამბალიანად გადაიქცა. ასეთივე ბედი ეწიათ დანარჩენ ქუჩებსაც: ვარაზისხევს დაემატა გმირთა მოედნიდან ცენტრისკენ და ცენტრიდან ვაკისკენ, ხოლო მელიქიშვილს, გმირთა მოედნიდან ცენტრისკენ და ვაკიდან გმირთა მოედნისკენ მოძრაობა. ასე და ამრიგად თითოეულ ქუჩას ორ-ორის ნაცვლად — სამ-სამი ბალი დაუგროვდა. შექმნილ პირობებში, რაღა თქმა უნდა, ტრანსპორტის მოძრაობა გაიზარდა, ჩახერგვებმაც იმატა.

აქ საპატრულო პოლიციას ვერაფერში დავემდურებით, პირიქით, ისინი ყველაფერს აკეთებენ, რათა ქალაქში ყოველგვარი პრობლემა აღიკვეთოს.

ამ ასპექტში სასურველი იქნება, თუ მიკროავტობუსების მძღოლები გაჩერებებს სამამდე შეამცირებენ. რესპუბლიკის მოედნიდან გმირთა მოედნის დასაწყისამდე. შესაბამისად, იქნებ აიკრძალოს ყოველგვარი ტრანსპორტის შეჩერება ამ მონაკვეთზე, საგზაო ნიშნებით. რა თქმა უნდა, გარდა იმ ადგილებისა, სადაც ქუჩა შეწეულია და პირობები დგომის საშუალებას იძლევა. დაბოლოს, დაუყოვნებლივ უნდა გაიხსნას რ. თაბუკაშვილის (ყოფ. ძნელაძის) ქუჩა, რათა შეღავათი მიეცეს რუსთაველის პროსპექტს.

**თარხან არჩვაძე.**

ქველმოქმედება

# ყველამ ერთად რომ გადავარჩინოთ მომავალი

(პირველი გვერდიდან)

**„თავიდან მეგონა, რომ ეს ნება მხოლოდ ჩემში იყო და ვერ წარმოვიდგენდი თუ ასე განვითარდებოდა და ასეთ მასშტაბს მიიღებდა. დღეს ისეთი სიტუაცია შეიქმნა, რომ ხალხის ძებნა აღარ გვჭირდება, თვითონ გვირეკავენ და დახმარების სურვილს გამოთქვამენ. თუ თავიდან მხოლოდ „მომავლის სახლის“ ბინადრებზე ვფიქრობდით, ახლა ფონდს შეუძლია სხვა მსგავს სახლებსაც გასწვდეს. ქალაქში აღრიცხულია 70-ზე მეტი მაწანწალა მოზარდი, რომლებიც ქუჩაში ათევენ ღამეს. ისინი მიჰყავთ საბავშვო სახლებში, მაგრამ იმის გამო, რომ სათანადო პირობა არა აქვთ, უკანვე გარბიან“.**

„იავნანა“ მზრუნველობას მოკლებული ბავშვებისთვის მართლაც საიმედო თავშესაფარი ხდება. დონორ ორგანიზაციებთან ერთად მთელ ქვეყანაში დაგეგმილი აქვს უდედმამო და მშობლების მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა აღრიცხვა, მათი სოციალური მდგომარეობის სრული მონაცემების დადგენა და ასეთ ბავშვთა ინტეგრირება საზოგადოებრიობასთან. ამ მიზნით ორ ახლადდაქორწინებულ ოჯახს „იავნანას“ გამგეობამ საცხოვრებელი ბინები შეუძინა. სახლი შეუძინა აგრეთვე მიტოვებულ ვაგონში მცხოვრებ მამით ობოლ ნოზაძეების ოჯახს, რომელთაგან ერთ-ერთი მძიმე ავადმყოფია.

ფონდს მეტადრე ხელოვანთა წრეებში მოჰყვა დიდი თანადგომა. პირველი შემოწირულობა ზურაბ წერთლისგან მიიღო, მას მოჰყვნენ სხვა ბიზნესმენებიც. საკონცერტო საღამოების მარათონს კი თავად პაატა ბურჭულაძე ჩაუდგა სათავეში, მას მოჰყვა ნანი ბრეგვაძე „სამი თაობის“ საღამოთი. ამავე ეგიდით თეატრში ორი დღის წინათ სოფიკო ჭიაურელის ბენეფისი ვიხილეთ, წუხელ კი ბუბა კიკაბიძე წარსდგა მსმენელთა წინაშე.

შემწეობა „იავნანას“ ლამის მთელი წლის მანძილზე გაჰყვება. მომავალი საღამოების შესახებ პაატა ბურჭულაძემ და ბუბა კიკაბიძემ ჟურნალისტებისთვის გამართულ საგანგებო პრესკონფერენციაზე გაგვიმხილეს. ბატონმა პაატამ თანაც გვთხოვა: **„ვხედავ რომ მასმედია ერთიან პოზიციაზეა. ჩემი სურვილია, თანადგომა ჟურნალისტების მხრიდანაც არ შეწყდეს, რადგან ერთი კარგი ტკბილი სიტყვა ბევრ ობოლ ბავშვს მიეხმარება და ფეხზე დააყენებს“.**

ქველმოქმედება ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გასცდა. ფონდის მხარდამჭერი პირველი აქცია გაიმართება გერმანიაში. საქართველოს საელჩოს თაოსნობით ბერლინში, 1 აპრილს, მოეწყობა ევროპაში პოპულარული ქართველი მომღერლის ქეთი მელუას კონცერტი, მას ფონად თამუნა ინგოროყვას მოდელების ჩვენება დაერთვება. 27 აპრილს თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრს მოსკოვის დიდი თეატრის სოლისტები ეწვევიან. ამ აქციას სათავეში უდგას ამავე თეატრის სოლისტი ბადრი მაისურაძე.

მაისში ერთ საღამოს გვპირდებიან „სუხიშვილები“, ცოტა მოგვიანებით კი ქეთი მელუა უკვე თბილისური კონცერტის ჩუქებას ფიქრობს.

მნიშვნელოვანი აქციებით არის მდიდარი სექტემბრის თვე. დიდი მომღერლის აზრით, მას ერთგვარად ფესტივალის დატვირთვა ექნება. თბილისს ეწვევიან ამერიკელი მომღერლები — სოპრანო დოლორეს ზაიჩი და ბანი რენე პაპე. რუსთაველ მსმენელთა წინაშე ჩვენს მომღერლებთან ერთად წარსდგება თავად პაატა ბურჭულაძე. როგორც ცნობილია, ჩილეს სანტ-იაგოს საოპერო თეატრმა ფონდს აჩუქა „ფაუსტის“ ულამაზესი დადგმა, მისი პრემიერაც სწორედ ამ პერიოდს დაემთხვევა.

ერთობლივ კონცერტს ფიქრობენ ლექსო თორაძე და პაატა ბურჭულაძე, რომელზეც მხოლოდ ქართველ კომპოზიტორთა ქმნილებები შესრულდება.

„იავნანას“ ეგიდით კიდევ არაერთი საღამო გაიმართება და საზოგადოებრიობა ალბათ კიდევ ბევრჯერ გაერთიანდება სასიკეთოდ, რაც უთუოდ გამოიღებს სამომავლო ნაყოფს. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ თავის მხრივ ყურადღებას არ მოაკლებს ამ კეთილ საქმეს. კარგი იქნება, მკითხველო, თუ თითოეული თქვენგანიც ჩაებმება ამ დიდ საქველმოქმედო მოძრაობაში, რადგან ამით საქართველოს მომავალს ერთად გადავარჩენთ. აკი ქალბატონმა სოფიკო ჭიაურელმაც მოგვიწოდა თავის საღამოზე, ყველამ რომ თითო ლარი გავიმეტოთ, ესეც საქმეაო.

**რუსუდან მუხიგულაშვილი.**

თარიღი

# საბჭოეთის მთავარი კუბო

## ვ. ლენინის სიკვდილის ახალი ვერსია

რაღა არ დაიწერა, რაღა არ შეითხზა, ტაბუდადებულ არქივებში რა დოკუმენტებს აღარ მიაკვლიეს, და მაინც, რისგან მოკვდა ლენინი? კაპლანის ტყვიდან მოყოლებული სიფილისისგან გამოწვეული დამბლით დამთავრებული, სიკვდილის გამომწვევი ყველა მიზეზია შესწავლილ-გაანალიზებული. ახლა კიდევ — თვითმკვლელობა, რომელიც რუსულ და რუსულენოვან ამერიკულ პრესაში დიდად „მოდაშია“.

მაშ, რით გარდაიცვალა ლენინი? დღემდე აქ ბევრი რამ ბურუსითაა მოცული.

მაგალითად, გაკვირვებას იწვევს ის, რომ ვ. ი. ლენინის „ბიოგრაფიულ ქრონიკებში- 1924 წლის 21 იანვრის დღე იწყება ბელადის საწოლთან პროფესორების ზედიზედ სამი კონსულტაციით (75 წუთის განმავლობაში!). თვალში საცემია ისიც, რომ ლენინის ჯანმრთელობის მკვეთრი გაუარესება დაიწყო სწორედ ამ კონსულტაციების შემდეგ. არადა, პირიქით უნდა მომხდარიყო.

მაინც რა მოხდა იმ დღეს? მოდით, გავერკვეთ ამაში.

ვერსია ლენინის თვითმკვლელობის შესახებ, როგორც ჩანს, ჯერჯერობით არავის შეუსწავლია. არადა, ეს აზრი უცხო არ იყო ლენინისთვის.

1911 წელს თვითმკვლელობით დაამთავრეს სიცოცხლე ცოლ-ქმარმა ლაფარგებმა. პოლ ლაფარგი მსოფლიო სოციალისტური მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწე იყო. ამის თაობაზე კრუპსკაიასთანაც უსაუბრია. „თუ პარტიისთვის მეტის გაკეთება აღარ შეგიძლია, სიმართლეს უნდა შეხედო თვალებში და მოკვდე ისე, როგორც ლაფარგი“. ლენინისთვის ეს „სიმართლისათვის თვალებში შეხედვის“ ჟამი დადგა 1921 წლის ზაფხულში, როდესაც მან პირველად იგრძნო (ეტყობა, ექიმების დახმარებით) რომ პროგრესირებადი დამბლით იყო ავად.

ამ დროიდან იგი უფრო ხშირად, ვიდრე სხვა დროს, მიემგზავრება დასასვენებლად გორკაში. მას, ავადმყოფობის გაღრმავებასთან ერთად არ ასვენებს „ლაფარგის იდეა“, მაგრამ როგორ იშოვნოს საწამლავი? ამ საკითხთან დაკავშირებით არსებობენ მოწმეები. პოლიტბიუროს წევრთა თათბირზე სტალინმა განაცხადა (ტროცკის დამოწმებით), რომ ლენინმა მას საწამლავის შეძენა დაავალა. გადაწყდა, საწამლავი არ შეეძინათ. მეორე მოწმე ვ. ლენინის პირადი მდივანი ლ. ფოტიევაა. აი, მისი ჩანაწერი: „1922 წლის 22 დეკემბერს ვლადიმერ ილიჩმა გამომიძახა და მიკარნახა შემდეგი: „არ დამავიწყდეს ყველა ზომა ვიხმარო, რომ შევიძინო და მოვიტანო... და იმ შემთხვევაში, თუ დამბლა მეტყველებაზეც გადავა, კალიუმციანიდით დავამთავრო სიცოცხლე, როგორც ეს ლაფარგებმა გააკეთეს“.

1921 წლის დეკემბრიდან მომდევნო წლის მაისამდე ლენინი ხანგრძლივად ისვენებდა, თუმცა აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობას ეწეოდა. მაგრამ 1922 წლის 25 მაისს ბელადს პირველად ემართება პროგრესირებადი დამბლის მწვავე შეტევა. უღუნდება მარჯვენა ხელისა და მარჯვენა ფეხის მოძრაობა, ამას ემატება მეტყველების ნაწილობრივი მოშლაც.

ერთი კვირის შემდეგ ლენინი სტალინმა მოინახულა და ეტყობა, კიდევაც ჰქონდა საუბარი კალიუმციანიდის შესახებ. სტალინი მას საწამლავის შოვნას შეპირდა. თანდათანობით ლენინის ჯანმრთელობა უკეთესდება.

1922 წლის 11 ივნისს სტალინი კვლავ ნახულობს ლენინს. მთელი საათის მანძილზე ისინი განიხილავენ პარტიულ და სახელმწიფოებრივ საკითხებს. 18 ივლისს, პროფესორი ო. ფერსტერი ლენინს გაზეთების კითხვის ნებას რთავს, მაგრამ ზამთრის პირზე დამბლამ გაუხსენა, შემდეგ კვლავ გამოკეთება დაეტყო ბელადს, მაგრამ საწამლავის შოვნაზე ფიქრი არ ასვენებდა. „ლაფარგის იდეის“ აღსრულებისათვის მან თავისი ძმა დიმიტრი ულიანოვიც ჩართო. იგი პროფესიით ექიმი იყო და კარგად ხედავდა ბელადის ჯანმრთელობის უპერსპექტივობას... ამ ქვეყნიდან წასვლის მექანიზმი მომზადებულია, აწი აღარც წამალია საჭირო, აღარც ექიმები, აღარც მედიცინის დები. ავადმყოფობა განუკურნებელია. ლენინი უარს ამბობს წამლებზე, სამედიცინო მომსახურებაზე. 20 იანვარს იგი უქეიფოდაა. არც საწოლიდან დგება, არც საუზმეზე გამოდის, არც ექიმებს ღებულობს. ჯიუტად რაღაცას ითხოვს, მაგრამ რას? დღის ოთხი საათიდან მოყოლებული ზედიზედ ექიმების სამი კონსულტაცია იმართება. მხოლოდ განსაკუთრებული სიტუაციის გამო შეიძლებოდა ამდენი კონსულტაციის გამართვა. გადაწყდა: დაარწმუნონ ლენინი არ მიიღოს საწამლავი, მაგრამ მისცენ მას, თუკი დაიჟინებს... ეს საიდუმლო იციან კრუპსკაიამ და მკურნალმა ექიმებმა ფერსტერმა და ოსიპოვმა, შეიძლება ერთ-ერთმა სხვამაც. საღამოთი ლენინმა ბულიონი მოითხოვა... ბელადს აგონია დაეწყო. საწამლავმა კრუნჩხვები დამართა, ტემპერატურა ერთბაშად 42,3 გრადუსზე ავარდა...




ნახატი კრებულიდან „150 საბჭოთა პოლიტიკური ანეკდოტი“.

22 იანვარს ცხედარი გაკვეთეს. არ მოიწვიეს სასამართლო მედიცინის წარმომადგენელი, არც ტოქსიკოლოგი. გაკვეთას ხელმძღვანელობდა პროფესორი ა. აბრიკოსოვი. შემდგომში მან გაკვეთა მ. ფრუნზეს (1925 წ.), ვ. ბეხტერევის (1927 წ.), ვ. კუიბიშევის (1935 წ.) ცხედრები. ეს ის ადამიანები არიან, ვისი ბუნებრივი სიკვდილიც დღეს ბევრში ეჭვს იწვევს. 1939 წელს აბრიკოსოვი აკადემიკოსი გახდა, იმავე წელს ბელადის მკურნალი ექიმი ვ. ოსიპოვი სსრკ მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად აირჩიეს...

მოამზადა
**გურამ ვაშაკიძე.**



პროლეტარიატის ბელადი მარტო დარჩა.

**ჩვენი რედაქციისგან: 19 იანვარს ალბათ ბევრმა უყურა საღამოს 23 საათზე მოსკოვის პირველი არხის გადაცემას — „ტიტანების ბრძოლას“, რომელიც ვ. ლენინის სიკვდილის ახალ ვერსიას ეხება. სპეციალურად შერჩეული თანამედროვე ვაიისტორიკოსების (არუთინოვი, სიროტკინი) მიხედვით, ვ. ლენინის (ათაშანგით დაავადებულის, რაც ადრე გასაიდუმლოებული იყო) სიკვდილის დაჩქარების საქმეში, როგორც ჩანს, თვითონ ი. სტალინი ურევიაო. მთავარ მოწმედ კი ლ. ტროცკია მოშველიებული. ვინც ეს ისტორიულად უსუსური გადაცემა ნახა, დაგვემოწმება, რომ მართლაც და ოდენ „ჭკუით ჩაუწვდომელი რუსეთი“ ყველანაირად ცდილობს უწინარესად თავისივე გუშინდელი ისტორიის დაკნინებას ქართველი ი. სტალინის ავბედითი როლის მეშვეობით. მაგრამ გონიერი მაყურებელი ადვილად ხვდება, რომ რუსულ ტყუილს ისედაც გრძელი ფეხები კიდევ უფრო დაგრძელებია.**

ინფორმაცია

### მოლაპარაკებები გორში გამართეს

**ცხინვალში დისლოცირებული შერეული სამშვიდობო ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსი მარატ კულახმეტოვი და ცხინვალის რაიონის მილიციის უფროსი ტარზან კოკოევი ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონის პატარა ლიახვის ხეობის სოფელ ერედვში ჩავიდნენ.**

**ქართული და ოსური მხარეების წარმომადგენლებმა, კულახმეტოვის მონაწილეობით, ერგნეთის საგუშაგოსთან ორი ქართველი პოლიციელის გაუჩინარების საკითხი განიხილეს.**

**შერეული ქართულ-ოსური კორტეჟი გორის მიმართულებით გაემართა და მოლაპარაკება, სავარაუდოდ, სწორედ გორში შედგა.**

**ქართული მხრიდან მოლაპარაკებებს შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის უფროსი ალექსანდრე სუხიტაშვილი ხელმძღვანელობს. შეხვედრას ესწრება ასევე შერეული სამშვიდობო ძალების ქართული ბატალიონის სარდალი კობა ლაჭყებიანი.**

**როგორც გამგზავრებამდე ცხინვალის რაიონის მილიციის უფროსმა ტარზან კოკოევმა „ინტერპრესს“ განუცხადა, ოსური მხარე არ ფლობს ინფორმაციას ლადო ჩალაურისა და გოჩა გვიმრაძის ადგილსამყოფელის შესახებ. შესაბამისად, ტარზან კოკოევი ცხინვალელი ძალოვნების მხრიდან ქართველი პოლიციელების დაკავების ფაქტს არ ადასტურებს.**

### მუშაობის ოცდაოთხსაათიან რეჟიმზე გადავიდა

**საქართველოს სახალხო დამცველის აპარატთან არსებული მონიტორინგის საბჭო მუშაობის 24-საათიან რეჟიმზე გადავიდა. ერთი კვირის განმავლობაში თბილისის შს სამმართველოს და პოლიციის განყოფილებების შემოწმებისას, მათ ფიზიკური დაზიანებების მქონე 15 ადამიანი აღმოაჩინეს.**

**როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე სახალხო დამცველმა სოზარ სუბარმა განაცხადა, ძირითადი დარღვევები დაკავებულთა აღრიცხვის ჟურნალებში აღინიშნება — ხშირად არ არის აღნიშნული დაკავების დრო, წაშლილია თარიღები.**

**როგორც სახალხო დამცველი ამბობს, ერთ-ერთმა პატიმარმა ჯონი ბრეგვაძემ მონიტორინგის საბჭოს წევრებთან საუბრისას აღნიშნა, რომ საპატრულო პოლიციელებმა იგი ნაძალადევის რაიონში აიყვანეს და მანქანაში ჩასმისთანავე პისტოლეტის ტარით თავის არეში დაზიანებები მიაყენეს. მას სამთვიანი წინასწარი პატიმრობა აქვს შეფარდებული. აღნიშნულ პატიმარს დღემდე არ ჰყავს ადვოკატი, რომელსაც იგი დაკავების მომენტიდან ითხოვდა.**

**როგორც სოზარ სუბარმა განაცხადა, მონიტორინგის საბჭო სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებითა და ადამიანის უფლებების დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებით არის დაკომპლექტებული. საბჭოს ოთხი ჯგუფი მონიტორინგს 24 საათის განმავლობაში ახორციელებს.**

**სახალხო დამცველის ოფისში მოქმედებს ცხელი ხაზი, რომელზეც დარეკვა ნებისმიერ პირს შეუძლია.**

### რიკოთის უღელტეხილზე

**ხარაგაულის რაიონის სატყეო მეურნეობის ხელმძღვანელობამ რიკოთის უღელტეხილზე გუშინ დილით ხეების უკანონო ჭრის ფაქტი გამოავლინა.**

**როგორც „ინტერ-პრესს“ სატყეო მეურნეობის დირექტორმა ნიკო თოფურიძემ აცნობა, რიკოთის უღელტეხილის მიმდებარე ტერიტორიაზე საშეშე მასალად უკანონოდ მოიჭრა 5 კუბური მეტრი წიფლის ხე, რომელიც შემდეგ სურამში უნდა გადაეტანათ.**

**თოფურიძის თქმით, ადგილზე საპატრულო პოლიციას ელოდებიან, რომელიც მომხდარს სათანადო რეაგირებას მისცემს.**

**ინტერ-პრესი.**

ისტორია

# 3. ერთა ლიგა და საქართველო

## რატომ არ მიიღეს საქართველო ერთა ლიგაში

ამავე აზრის დასაცავად გამოვიდა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის დელეგატი რობერტ სესილი და დამსწრეთა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია იმ მნიშვნელობაზე, რომელიც ექნება საქართველოს ლიგაში მიღებას.

ამის შემდეგ სიტყვა აიღო დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელმა ფიშერმა. მან განაცხადა, რომ რასაც ნანსენი და სესილი ამბობენ, აბსოლუტურად სწორია, მაგრამ სიძნელედ რჩება საქართველოს დაცვა გარეშე თავდასხმებისაგან. ანგარიში უნდა გაეწიოს ამ ქვეყნის „მდგომარეობის“ საშიშროებას. რომ არ არის აუცილებელი გრძნობებით გატაცება, არამედ საჭიროა საღი, ფხიზელი განსჯა, როგორც ეს სახელმწიფოს პასუხისმგებელ პირებს შეეფერება — „მე ვთხოვ ამ კრების დელეგატებს, რომელთაც სერიოზული კენჭისყრა მოელით, დაუფიქრდნენ, მზად არიან თუ არა, მართლაც ურჩიონ თავიანთ მთავრობებს, გაუგზავნონ მატერიალური დახმარება ამ გულად პატარა სახელმწიფოს რუსეთის განაპირაზე, თუ განსაცდელი მოუახლოვდა მას“.

ფიშერის გამოსვლის შემდეგ დაიწყო კენჭისყრა. მასში მონაწილეობას იღებდა 24 სახელმწიფოს წარმომადგენელი. საკითხის დადებითად გადაწყვეტისათვის საჭირო იყო ორი მესამედი, ანუ 16 ხმა. საქართველოს ერთა ლიგაში მიღებას ხმა მისცა ათმა, წინააღმდეგ — ცამეტმა.

საქართველოს ხმა მისცეს სამხრეთ აფრიკამ, ბოლივიამ, კოლუმბიამ, ნორვეგიამ, პარაგვაიმ, სპარსეთმა, პორტუგალიამ, შვეიცარიამ და ჩილემ (ბოლივია). წინააღმდეგ ხმა მისცეს: ავსტრალიამ, კანადამ, კუბამ, დიდმა ბრიტანეთმა, ესპანეთმა, საფრანგეთმა, საბერძნეთმა, ინდოეთმა, ახალმა ზელანდიამ, ნიდერლანდმა, იუგოსლავიამ, ჩეხოსლოვაკიამ, დანიამ. თავი შეიკავა და არ დაესწრო 18 სახელმწიფო. ინგლისისა და საფრანგეთის პოზიციამ საქართველოს არჩევა არსებითად შეუძლებელი გახადა.

ამრიგად, საქართველო არ მიიღეს ერთა ლიგის წევრად. მაგრამ მას, რეზოლუციის თანხმად, საშუალება ეძლეოდა მონაწილეობა მიეღო მხოლოდ ამ ლიგის პრაქტიკულ ორგანიზაციებში, როგორიც იყო: ფინანსურ და ეკონომიკურ საკითხთა კონფერენცია, საერთაშორისო სანიტარიისა და ჰიგიენის საკითხთა კომიტეტი; შრომის საერთაშორისო ბიურო; მიმოსვლისა და ტრანსპორტის კომისია.

კუბის დელეგატმა აგუერომ, რომელიც დიდ როლს ასრულებდა კენჭისყრის მომზადებაში, ზურაბ ავალიშვილსა და მიხეილ სუმბათაშვილს მოგვიანებით კერძო საუბარში გულწრფელად განუცხადა: „შუა და სამხრეთ ამერიკის რესპუბლიკებს, რა თქმა უნდა, შეეძლოთ თავისი ხმების რაოდენობით ლიგაში მიეღოთ საქართველო და ბალტიის მხარის სახელმწიფოები, რასაც მოითხოვდა კიდევაც სამართლიანობა! მაგრამ თქვენ კარგად უწყით, რომ მსგავს საკითხებს სამართლიანობა არ წყვეტს! ლათინური ამერიკის რესპუბლიკებისათვის უხერხულია წინააღმდეგობა გაუწიოს ევროპის დიდ სახელმწიფოებს იმ საკითხებში, რომლებიც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია ქვეყნების სწორედ ამ ნაწილისათვის. ინგლისმა და საფრანგეთმა, თუნდაც მარტო ინგლისმა მოგცეთ ხმა და როგორც ერთი კაცი, ჩვენც ისე შევუერთდებოდით მას“.

ქენევის კონფერენციაზე, აღიარა ზურაბ ავალიშვილმა, დიდი სახელმწიფოები გვარწმუნებდნენ, გვიკარნახებდნენ: „თუ საქართველოს გარედან ვინმე თავს დაესხა, არც ერთა ლიგა, არც მისი ნიღბით მოქმედნი სახელმწიფო არ დაიცავენ. მათ არ შეუძლიათ დაიცვან. მათ არ შეუძლიათ დაიცვან საქართველო. ასე განაცხადა საფრანგეთმა, ასე განაცხადა ინგლისმა: მათი ხმა უფრო დამაჯერებელი იყო, ვიდრე ნორვეგიისა და სამხრეთ აფრიკის წარმომადგენლების მოწოდება“.

რაში იყო საქმე, რატომ გამოვიდა ინგლისი და საფრანგეთი ერთა ლიგაში საქართველოს მიღების წინააღმდეგ?

საქმე ის იყო, რომ: ერთა ლიგის მე-10 მუხლის მიხედვით „ერთა ლიგის წევრები ვალდებული არიან პატივი მიაგონ და დაიცვან ყოველგვარი გარეშე თავდასხმისაგან ტერიტორიული მთლიანობა და არსებული პოლიტიკური დამოუკიდებლობა ერთა ლიგის ყველა წევრისა. თავდასხმის ან თავდასხმის საფრთხის შემთხვევაში ლიგის საბჭო მიიღებს საჭირო ზომებს ამ ვალდებულების შესასრულებლად“.

ამგვარად, თუ ერთა ლიგის წევრი ქვეყანა განიცდიდა აგრესიას, მისთვის დახმარება უნდა აღმოეჩინათ ლიგის სახელმწიფოებს.

ინგლისის დელეგაციის წარმომადგენელი გამოვიდა საქართველოს ერთა ლიგაში მიღების წინააღმდეგ. იგი თავის პოზიციას ასე ასაბუთებდა: საქართველო „საშიშ მდგომარეობაში“ იმყოფება და საჭიროა მისი გარეშე მტრისაგან დაცვა“. ინგლისის წარმომადგენელი კენჭისყრის წინ დელეგატებს მოუწოდებდა საღი, ფხიზელი გონებით დაუფიქრდნენ — მზად არიან თუ არა ურჩიონ თავიანთ მთავრობებს აღმოუჩინონ დახმარება საქართველოს, თუ იგი განსაცდელში აღმოჩნდება და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღონ გადაწყვეტილება, მხარი დაუჭირონ საქართველოს ერთა ლიგაში მიღებას.

ინგლისის მთავრობა ყველაზე კარგად იყო ინფორმირებული, თუ რა მდგომარეობა იყო ამ დროს ამიერკავკასიაში და კერძოდ, საქართველოში. საბჭოთა რუსეთი არ იყო ერთა ლიგის წევრი და ყველაფერს აკეთებდა, რომ მეფის რუსეთის შემადგენლობაში შემავალი ქვეყნები, რომლებმაც დამოუკიდებლობა მოიპოვეს და მათ შორის საქართველო, არ გამხდარიყვნენ ერთა ლიგის წევრები. საბჭოთა რუსეთი მიისწრაფოდა აღედგინა მათზე თავისი ბატონობა. ეს უნდა მომხდარიყო მანამ, ვიდრე ეს სახელმწიფოები გახდებოდნენ ერთა ლიგის წევრები.

1920 წლის 24 სექტემბერს თურქეთსა და სომხეთს შორის ომი დაიწყო. 30 სექტემბერს თურქებმა დაიკავეს სარაყამიში, 30 ოქტომბერს — ყარსი, 7 ნოემბერს — ალექსანდროპოლი (გუმბრი). თურქეთის ჯარი საქართველოს საზღვრებს მოადგა. 12 ნოემბერს საქართველომ მობილიზაცია გამოაცხადა.

1920 წლის 9 ოქტომბერს ვლადიმერ ლენინმა ამიერკავკასიაში შექმნილი მდგომარეობა ასე შეაფასა: „ახლახანს თურქებმა შეტევა დაიწყეს სომხეთის წინააღმდეგ ბათუმის დაკავების მიზნით, შემდეგ კი შესაძლებელია ბაქოსაც შეუტიონ“.

ამიერკავკასიაში შექმნილი მდგომარეობის შესასწავლად ბაქოში საგანგებო რწმუნებით იოსებ სტალინი ჩავიდა. ადგილზე მდგომარეობის შესწავლის შედეგად სტალინი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ბათუმს საფრთხე ემუქრება არა თურქეთის, არამედ ანტანტისა და, კერძოდ, ინგლისის მხრიდან, რომელიც ალიანსში შევიდა საქართველოს მთავრობასთან. სტალინი აცნობებდა ლენინს: „საქართველო ემზადება ჩააბაროს ბათუმი და შეიძლება უკანდასახევი გზაც კი გაუხსნას ვრანგელს, აგრეთვე ბაქოს მიმართულების შეტევისთვისაც“.

იმისათვის, რომ საქართველოში ჯარების შეყვანის ნებართვა მიეღო სტალინმა განგებ გაავრცელა ხმები, რომ ინგლისის მთავრობა ბათუმის დაკავებას აპირებდა.

სტალინი ბაქოდან ლენინს აცნობებდა: „თუ ანტანტა დაიკავებს ბათუმს... მაშინ ჩვენ უნდა გადავიდეთ შეტევაზე, დავიკავოთ თბილისი და ავაფეთქოთ გვირაბი სურამის გადასასვლელთან“.

ამავე დროს სტალინი გიორგი ჩიჩერინს აცნობებდა, რომ „საჭიროა ახლავე შევაგროვოთ ძალები საქართველოში შესაჭრელად“.

ამგვარად იოსებ სტალინი ნიადაგს ამზადებდა წითელი არმიის საქართველოში შესაჭრელად.

ამავე დროს საბჭოთა რუსეთის მთავრობამ საქართველოსა და ინგლისის მთავრობებს გაუგზავნა ნოტები, რომლებშიც რუსეთის მთავრობა აცხადებდა, ინგლისი საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით აპირებს ბათუმის დაკავებასო.

საქართველოს მთავრობამ თავის საპასუხო ნოტაში კატეგორიულად უარყო ინგლისისათვის ბათუმის გადაცემის შესაძლებლობა და განაცხადა, რომ ბათუმზე ვრცელდება საქართველოს სუვერენული ხელისუფლება.

დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ლორდ კერზონის მიერ გ. ჩიჩერინისადმი გაგზავნილ საპასუხო ნოტაში აღნიშნულია: საბჭოთა რუსეთის მთავრობამ კარგად უწყის, რომ ინგლისის მიერ თითქოსდა ბათუმის დაკავების შესახებ გავრცელებულ ხმებს არავითარი საფუძველი არა აქვს და ეს ფაქტი შეიძლება აიხსნას მხოლოდ საპროპაგანდო მიზნით... აქედან შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა: ეს რეგიონი, რომელიც შეადგენს დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიის ნაწილს, საფრთხეშია ჩავარდნილი, ამიტომ მისი უდიდებულესობის მთავრობა მოხარული იქნება მიიღოს შესაფერისი დასტური საბჭოთა მთავრობის მხრიდან, რომ არავითარი საფუძველი არ არსებობს საბჭოთა რუსეთის მთავრობის მიერ ბათუმის შესაძლო ოკუპაციის შესახებ.

ინგლისის მთავრობის ნოტამ, რომ თავად რუსეთს ჰქონდა განზრახული ბათუმის ოკუპაცია, საბჭოთა რუსეთის ხელმძღვანელობაში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია.

ასეთ ვითარებაში მოსკოვიდან სტალინს აცნობეს, რომ გადაწყვეტილების მიღება საქართველოს საზღვრებში შესვლის შესახებ ნაადრევია.

ამგვარად, 1920 წლის ოქტომბერ-ნოემბერში აშკარად არსებობდა საქართველოში წითელი არმიის შეჭრის საფრთხე. მოვლენათა სვლამ დაგვანახა, რომ ეს საფრთხე საბოლოოდ არ მოხსნილა. 1920 წლის 3 დეკემბერს საბჭოთა რუსეთის მთავრობამ მოიწონა გენერალ ჰევერის გეგმა საქართველოში წითელი არმიის შეჭრის შესახებ.

ჩვენი დაკვირვებით, საქართველო არ მიიღეს ერთა ლიგაში, რადგან ამ დროს (1920 წ. ოქტომბერ-დეკემბერში) რუსეთის მხრიდან შეიქმნა საქართველოზე თავდასხმის საფრთხე. თუ საქართველო გახდებოდა ორგანიზაციის წევრი, მაშინ ერთა ლიგის სახელმწიფოები ვალდებული იყვნენ დახმარება აღმოეჩინათ საქართველოსათვის, ერთა ლიგის წესდების მე-10 მუხლის საფუძველზე. საბჭოთა რუსეთთან კონფლიქტი კი მათ არ სურდათ და ამიტომ არ დაუჭირეს მხარი საქართველოს ერთა ლიგაში მიღებას. ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურობდნენ ინგლისისა და საფრანგეთის წარმომადგენლები, რომლებიც მოუწოდებდნენ ერთა ლიგის წევრებს არ მიეცათ ხმა საქართველოს ერთა ლიგაში გაწევრიანებისათვის.



მუშათა და გლეხთა დეპუტატთა საბჭოების პირველი სამხარეო ყრილობა. 1917 წლის 31 მაისი.

**დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ“ № 13, 14.**

**მიხეილ სვანიძე,**
**საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.**

№ 15, პარასკევი, 21 იანვარი, 2005 წელი.

◎ ჟამი შეჯამებისა

ალექსანდრე ჩიკვაიძე

# ომს მამები იწყებენ, ტყვია კი შვილებს ხვდება

## წიგნიდან — „პოლიტიკური ჭადრაკი“

ეს კრემლისათვის აშკარა სტრატეგიული მარცხია. წარმოიდგინეთ შექმნილი მდგომარეობა და სერიოზული კითხვის ნიშანი სამხრეთიდანაც, სადაც ნატოს წევრი თურქეთი დომინირებს და ერთადერთი სტრატეგიული მოკავშირე სომხეთია. რაც შეეხება საქართველოს, აქ კრემლს უამრავი კითხვის ნიშანი აქვს და, ბუნებრივია, გარკვეული გარანტიების გარეშე არ წამოვა არანაირ დათმობაზე აფხაზეთსა და სამაჩაბლოსთან დაკავშირებით. შესაბამისია, ჩემი აზრით, ლოგიკური დასკვნა — რუსეთთან ურთიერთობების დეტალური გარკვევა პრიორიტეტი უნდა გახდეს.

მეორე. ხელისუფლებამ პარალელურად უნდა იზრუნოს სერიოზულ გარღვევებზე ეკონომიკის (პირველ ყოვლისა, სერიოზული ენერგომომარაგების უზრუნველყოფა, რის გარეშეც წარმოუდგენელია მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარება) ასაღორძინებლად. საცხოვრებლად მიმზიდველი საქართველო მიმზიდველი ხდება აფხაზებისა და ოსებისათვის. ამოცანაა მოინახოს ისეთი ეკონომიკური პროექტები, რაც სრულიად საქართველოსთან ერთად, აფხაზეთსა და სამაჩაბლოს წაადგება.

მესამე. რაც შეიძლება მოკლე ვადაში უნდა აღდგეს სარკინიგზო მიმოსვლა რუსეთიდან აფხაზეთის გავლით სომხეთამდე. რუსეთი ამას მიესალმება, სომხეთზე რომ არაფერი ვთქვათ.

მეოთხე. სერიოზულად უნდა გადაიხედოს მოლაპარაკებათა ფორმატი აფხაზურ მხარესთან. ჟენევის მოლაპარაკებები მეგობარი ქვეყნების მონაწილეობით პოლიტიკურად ვიწროა და არაეფექტური. ვითარებაზე გავლენა რეალურად არ ხდება. დრომ ეს დაადასტურა: უნდა შეიქმნას მაქსიმალურად წარმომადგენლობითი კომისია, რაც დაკომპლექტდება ცნობილი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწეებით ორივე მხრიდან. კომისიამ კონკრეტული წინადადებები უნდა შეიმუშაოს. ეს არ ნიშნავს საერთაშორისო კომპონენტის უგულებელყოფას. პირიქით, არ არის აუცილებელი ამ პროცესში მხოლოდ დიდი ქვეყნების მონაწილეობა. მეგობარ ქვეყნებთან ერთად უნდა შევეცადოთ გავააქტიუროთ პატარა ქვეყნებიც — ნორვეგია, ფინეთი, შვედეთი. პატარა ქვეყნებს ისტორიულად აქვთ დიდი პრობლემების გადაჭრაში მონაწილეობის, საერთაშორისო ასპარეზზე სერიოზული სიტყვის თქმის პრეტენზია და ამბიცია. მოლაპარაკებები გაეროს ეგიდით უნდა გაგრძელდეს.




მეხუთე. აფხაზებს მუდმივად უნდა გავუმეოროთ ელემენტარული პოლიტიკური რეალობა, რომ მიუხედავად ჩატარებული რეფერენდუმისა, მათი „დამოუკიდებლობა“ პოლიტიკური ნონსენსია, რასაც გაეროს უამრავი რეზოლუცია და მთლიანად საერთაშორისო თანამეგობრობის, ყველა სახელმწიფოს (მათ შორის რუსეთის ფედერაციის) ცალსახა პოზიცია ადასტურებს. ეს უნდა იქცეს ჩვენი ურთიერთობის ქვაკუთხედად.

მეექვსე. სოხუმის დაცემის შემდეგ, ათი წლის მანძილზე უსასრულოდ გაიჭიმა ქართველებსა და აფხაზ სეპარატისტებს შორის კონფლიქტის დარეგულირების პროცესი, თანაც, ნულოვანი შედეგით. ქვეყნის ძველმა ხელმძღვანელობამ ერთი ნაბიჯიც არ და ვერ გადადგა შერიგებისაკენ. შესაბამისად ხისტი და „გამარჯვებული“ დარჩა სეპარატისტების პოზიციაც. არაფერი მოხდა გაუცხოების დამღუპველი პროცესის შესაჩერებლად.

მიუხედავად იმისა, რომ აფხაზური მხარე უარს ამბობს ავტონომიის ფართო უფლებებსა და საერთოდ ნებისმიერი ფორმით ერთიან ქართულ სახელმწიფოში ცხოვრებაზე, საჭიროა სწორედ ამ მიმართულებით აქტიურობა. საჭიროა, მაქსიმალური დასაბუთებით, პოლიტიკური არგუმენტებით კიდევ ერთხელ განეცხადოს აფხაზურ მხარეს, რომ საქართველო მზადაა უფართოესი ავტონომიის შესათავაზებლად, მაგრამ არა მხოლოდ დეკლარირების დონეზე — უნდა დაკონკრეტდეს, რას ნიშნავს ეს უფლებები, სტატუსი. დეტალურად უნდა გაიშიფროს მისი არსი. რეალური ურთიერთგაგებისათვის ეს უკიდურესად აუცილებელია.

მეშვიდე. ზემოთ ჩამოთვლილ ყველა პირობას მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნება აზრი, თუკი პროცესის ლაიტმოტივი ქართველებს, აფხაზებსა და ოსებს შორის ნდობის აღდგენის მცდელობა იქნება. ნდობის გარეშე განწირულია ერთად ცხოვრების პერსპექტივა. ყველაზე მძიმე ამოცანა სწორედ ეს გახლავთ. ბევრი სისხლი დაიღვარა, ერთი და ორი თაობა მტრობის უფსკრულს ვერ ამოავსებს. მოთმინების დიდი ფიალაა საჭირო.

იმედი მაქვს, ზემოთქმული იქცევა ჩვენს შორის ურთიერთობისა და დიალოგის საგნად.

### ეპილოგი

*მე და ჩემმა მეუღლემ, ზაირა მშვენიერაძემ, რომელიც მთელი ცხოვრება მთავარ ძალად და იმედად მედგა გვერდით, ალბათ ბევრი ვერაფერი შევძელით ჩვენი ქვეყნისთვის.*

*თუმცა, სადაც კი ვყოფილვართ, საქართველოს სახელი არასოდეს შეგვირცხვენია.*

*ვცდილობდით, იმდენად კეთილსინდისიერად გვეცხოვრა ამქვეყნად, რამდენადაც ეს ადამიანს ხელეწიფება.*

*დიპლომატი, განსაკუთრებით კი ელჩი, და მისი მეუღლე ერთი მთლიანობაა. საელჩოს კოლექტივში მისი თითოეული ნაბიჯი გამადიდებელი შუშის ქვეშ არის მოქცეული. ჩემი მეუღლე პროფესიით ჰიდროინჟინერი გახლავთ. მან კარგად იცის უცხო ენები, იცნობს მსოფლიო ლიტერატურას, საფუძვლიანად ერკვევა სახვით და კინოხელოვნებაში. მეუღლეზე საუბარი, ცოტა არ იყოს, უხერხულად მიმაჩნია, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ თუკი ელჩის მეუღლე არ არის დაჯილდოებული ადამიანებთან ურთიერთობის საგანგებო უნარით, პრობლემა უმალ იჩენს ხოლმე თავს კოლექტივში, ჩნდება ბზარი, რაც საელჩოს საქმიანობას უშლის ხელს.*

*ფრანგებს აქვთ შესანიშნავი ნათქვამი: „შერშე ლა ფამ“ (ეძებეთ ქალი). ამ ფრაზას იმ შემთხვევაში იყენებენ, როდესაც არასასურველი ამბის მიღმა სწორედ ქალია საძებნი, როგორც გაუგებრობისა და ბოროტების საწყისი. პოლიტიკისა და დიპლომატიის ისტორიაში უამრავი შემთხვევა ადასტურებს, რომ სახელმწიფო პრობლემების გადაწყვეტისას არასწორი ნაბიჯი მეუღლეს სწორედ ქალმა გადაადგმევინა. ბედნიერი ვარ, რომ ერთად ცხოვრების ორმოცდაშვიდი წლის მანძილზე ამ ფრაზის გასახსენებელი საბაბი მეუღლისაგან არ მახსოვს.*

*მიმაჩნია, რომ ბედნიერებისათვის ორი ძირითადი პირობაა აუცილებელი, განსაკუთრებით — საზღვარგარეთ. ადამიანს უნდა უხაროდეს სამსახურში მისვლა საყვარელი საქმის საკეთებლად და ასევე მიუხაროდეს საღამოს სახლში დაბრუნება. ეს არის, ჩემი გაგებით, ადამიანური კომფორტი. არ გადავაჭარბებ, თუკი ვიტყვი, რომ ჩემმა მეუღლემ ეს რთული მისია საზღვარგარეთ (ინდოეთი, ინგლისი, ამერიკა, კენია, ჰოლანდია, საბერძნეთი, შვეიცარია) ყოველგვარი „კუპიურების“ გარეშე შეასრულა.*

*რამდენჯერ მიფიქრია განვლილი წლებისაკენ შემობრუნებულს...*

*რა იყო მთავარი... რა არის მთავარი...*

*მე და ჩემს მეუღლეს ორი ვაჟიშვილი გვყავს.*

*სამაგალითონი, პირველ ყოვლისა, როგორც თავიანთი სამშობლოს მოქალაქენი.*

*სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრეს. წარჩინებით დაასრულეს მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტის დასავლეთის ფაკულტეტი. დაიცვეს საკანდიდატო დისერტაციები: უფროსმა, დათომ — იმავე ინსტიტუტში; უმცროსმა, ალექსანდრემ — ამერიკისა და კანადის ინსტიტუტში.*

*ორივემ სიყვარულით სავსე ოჯახი შექმნა, ჰყავთ შვილები. ჩვენ, მე და ჩემმა მეუღლემ, ღირსეული, პატიოსანი მოქალაქეები აღვუზარდეთ ჩვენს ქვეყანას. მოქალაქეები, რომელთა ნდობა შეიძლება და რომლებიც სიყვარულითა და პატიოსნებით ურთიერთობენ გარე სამყაროსთან.*

*მე და ჩემს მეუღლეს მტკიცედ გვწამს, ისინი არასოდეს წავლენ საკუთარ სინდისთან გარიგებაზე. გვჯერა, რომ არ უღალატებენ სამშობლოს, საქართველოს მოქალაქის ღირსებას, ადამიანის ცხოვრების ზნეობრივ პრინციპებს...*

*ჩვენს მისიას შესრულებულად ჩავთვლით, თუ შვილიშვილებსაც ასევე სწორ გზაზე დავაყენებთ. ჩემმა სეხნიამ, საშამ, დაბადებულმა 1982 წელს, რომელიც სწავლობდა ვაშინგტონში, მოსკოვსა და ნიუ-იორკში, დაამთავრა გაეროს სკოლა ამერიკის შეერთებულ შტატებში ორენოვანი საერთაშორისო ბაკალავრის დიპლომით, ფრიადზე სწავლობდა ერთ-ერთ წამყვან ამერიკულ უნივერსიტეტში და სწავლა გააგრძელა ჟენევის უნივერსიტეტში საერთაშორისო ურთიერთობათა ფაკულტეტზე. თათია, 1989 წელს დაბადებული, სწავლობდა თბილისში, შემდეგ რამდენიმე წელი ათენის ბაირონის სახელობის სკოლაში და ამჟამად თბილისის ამერიკულ აკადემიაში წარჩინებული მოსწავლეა. მიუხედავად იმისა, რომ ისინი გარკვეული პერიოდი საქართველოს გარეთ ცხოვრობდნენ, ყველაფერი ქართული, ავი და კარგი, შესისხლხორცებული აქვთ.*

*ჩვეულებრივი ადამიანისთვის, ალბათ, ეს არის მთავარი... რა ბრძნულად და მოზომილადაა განსაზღვრული ბიბლიაში ადამიანის ადგილი ცხოვრებაში: „ამაო და სიცრუე განმაშორე, ნურც სიღარიბეს და ნურც სიმდიდრეს ნუ მომცემ, ჩემი წილი პურით გამომკვებე“ (იგავი 30,8).*

*საერთოდ კი... საერთოდ კი, ადამიანის ცხოვრება ზუსტად ის არის, რის გაკეთებასაც სიცოცხლის განმავლობაში ვასწრებთ. არასოდეს არავის არაფერი წაუღია იმქვეყნად. ყველაფერი აქეთ რჩება და სწორედ ჩვენი დანატოვარია ჩვენივე ღირსების, ადამიანობის თარგი და საზომი. ჩვენი ნამოქმედარი ადამიანებს, მომავალ თაობას, სამშობლოს რჩება. სწორედ ჩვენს გაკეთებულ კარგსა და ცუდშია ჩვენივე დავიწყებაცა და უკვდავებაც.*

*ეს მიმაჩნია ულამაზეს და ჭეშმარიტ კანონად, თუკი მოკვდავისთვის ჭეშმარიტების არსებობას დავუშვებთ. ღრმად მწამს — თუკი ვერაფრის გაკეთება შევძელით, მაშინ ტყუილად ვშობილვართ, ამაოდ გვიცხოვრია და სამუდამოდ წავსულვართ ამ ქვეყნიდან.*

*ამ ქვეყანაზე მეორედ მოსვლის საშუალება რომ იყოს, ამ ჩემს მეორე ცხოვრებაში არაფერს შევცვლიდი. შეიძლება ზოგ შემთხვევაში აქცენტები სხვაგვარად გამენაწილებინა. ვთქვათ, მუსიკალური ბგერა „დო“-ს ნაცვლად — „დო დიეზი“, ან „სი“ ნოტის ნაცვლად „სი ბემოლი“ ამეღო.*

*შესაძლოა ამას, რაღაც თვალსაზრისით, შეემსუბუქებინა პრობლემები ჩემი ცხოვრების ზოგიერთ მონაკვეთზე. შესაძლოა, ზოგჯერ უფრო მეტის გაკეთების საშუალება მქონოდა, უფრო მეტად გამოვდგომოდი ჩემს სამშობლოს, ჩემს ოჯახს, ჩემს საკეთებელს — საერთოდ.*

*სულ ესაა და ეს.*

*მაგრამ, სამწუხაროდ, ეს განუხორციელებელი ოცნებაა.*

*ვაი, რომ!..*

დასასრული. დასაწყისი
იხ. „სრ“ № 297-299, 301-303 — 2004
წ. № 6-14 — 2005 წ.

## ისრაელმა გააუქმა მაჰმუდ აბასთან კონტაქტებზე დაწესებული აკრძალვა

**ასეთი აკრძალვა შემოიღეს მას შემდეგ, რაც ისრაელსა და ღაზის სექტორის საზღვარზე მდებარე ერთ-ერთ საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე თავდასხმა განახორციელა კამიკაძე-მოთარეშემ.**

როგორც ისრაელის თავდაცვის არმიის რადიო იტყობინებოდა, ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს მთავრობის კაბინეტის ვიწრო შემადგენლობის სხდომაზე.

ღაზის სექტორის საზღვარზე მომხდარი ტრაგედიის შემდეგ (მაშინ დაიღუპა ექვსი ებრაელი მოქალაქე) ისრაელმა განაცხადა, რომ კონტაქტები ოფიციალურ დონეზე არ განახლდებოდა მანამ, სანამ პალესტინელები არ დაამტკიცებდნენ, რომ ისინი ნამდვილად მიმართავენ სერიოზულ ზომებს ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლისთვის.

გასულ სამშაბათს ღაზის სექტორს ეწვია პალესტინის ავტონომიის მეთაურად ამ ცოტა ხნის წინ არჩეული მაჰმუდ აბასი, რომელიც ცეცხლის შეწყვეტის შესაძლებლობების განხილვის მიზნით შეხვდა იქ „ჰამასის“ ლიდერებს.

„ჰამასის“ ლიდერებმა აბასთან შეხვედრას პოზიტიური უწოდეს. თავის მხრივ, აბასმა აღნიშნა, რომ დროა, პალესტინელები შეუდგნენ მოლაპარაკებას ისრაელის ოკუპაციის შეწყვეტის თაობაზე.



პალესტინელთა გასამხედროებული დაჯგუფებების ლიდერებმა განაცხადეს, რომ მზად არიან განიხილონ ცეცხლის შეწყვეტის შესაძლებლობა, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ორმხრივად მოხდება.

სამშაბათს აბასი ასევე შეხვდა იერუსალიმში შეერთებული შტატების ოფიციალურ წარმომადგენლებს. შეხვედრის დროს პალესტინელთა ლიდერმა აღნიშნა, რომ მას სჭირდება უფრო მეტი დრო გასამხედროებული დაჯგუფებების წარმომადგენლებთან მოლაპარაკებისთვის.

თავის მხრივ, ისრაელის პრემიერ-მინისტრმა არიელ შარონმა მოუწოდა აბასს დაუყოვნებლივ განახორციელოს ქმედითი ღონისძიებები პალესტინელი მოთარეშეების წინააღმდეგ. „მაჰმუდ აბასის არანაირი დამატებითი დრო არ სჭირდება იმისთვის, რომ კარგად გაიაზროს, თუ რა ხდება, — თქვა შარონმა. — მან ისედაც ჩინებულად იცის, თუ როგორი სიტუაციაა შექმნილი პალესტინის ტერიტორიებზე“.

ოთხშაბათს გვიან საღამოს გაიმართა ისრაელისა და პალესტინის სპეცსამსახურების წარმომადგენელთა შეხვედრა.

ისრაელის წყაროების თანახმად, მოლაპარაკების დროს განიხილეს სასაზღვრო რაიონებში უშიშროების უზრუნველყოფის მიზნით მოქმედების კოორდინაციასთან დაკავშირებული საკითხები. მხარეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ პალესტინელმა მოთარეშეებმა უნდა შეწყვიტონ ისრაელის ტერიტორიისთვის რაკეტების დაშენა.

პალესტინის წარმომადგენლებმა ებრაელ კოლეგებს შესთავაზეს ასობით შეიარაღებული პოლიციელის განლაგების გეგმა იმ საზღვრისპირა რაიონებში, რომლებიდანაც უშენენ ცეცხლს ისრაელის ტერიტორიას.

## იზრდება ცუნამის მსხვერპლთა რიცხვი

**ინდონეზიის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ დაადასტურა, რომ ცუნამის შედეგად ქვეყანაში დაიღუპა 166 ათასზე მეტი ადამიანი. ეს ციფრი 50 ათასით აღემატება სამინისტროს მიერ გამოქვეყნებულ წინანდელ მაჩვენებლებს.**

ამრიგად, დაღუპულთა საერთო რიცხვმა თითქმის 220 ათასს მიაღწია.

ყველაზე დიდი მსხვერპლი სტიქიურმა უბედურებამ მოიტანა აჩეხის პროვინციაში და ჩრდილოეთ სუმატრაში. ამ პროვინციებში დაახლოებით 800 ათასი კაცი უსახლკაროდ დარჩა.

ქვეყნის პრეზიდენტმა სუსილო ბამბანგ იუდჰოიონომ განაცხადა, რომ დაღუპულთა ზუსტი რაოდენობა, შესაძლოა ვერასდროს ვერ დაადგინონ, რადგან, ჯერ კიდევ უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება მრავალი ადამიანი.

აჩეხის პროვინციის დედაქალაქში — ბანდა აჩეხში დაიღუპა მოსახლეობის 14 პროცენტი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ გამოაცხადა, რომ მზად არის დაუყოვნებლივ დაიწყოს მუშაობა ინდოეთის ოკეანეში ცუნამის შესახებ წინასწარი შეტყობინების სისტემის შექმნისთვის. ასეთი სისტემა, აღნიშნეს გაეროს წარმომადგენლებმა, შესაძლოა უახლოესი ერთი წლის განმავლობაში ამოქმედდეს.



როგორც ვარაუდობენ, ეს სისტემა გახდება მოახლოებული ბუნებრივი კატასტროფების შესახებ წინასწარი შეტყობინებების გლობალური ქსელის ნაწილი.

პირველი ეტაპისთვის პროექტის განხორციელების ხელმძღვანელობა დაევალა იუნესკოს. მისი რეალიზაციისთვის მილიონობით დოლარის გამოყოფას აპირებენ იაპონია, ევროკავშირის ქვეყნები და სხვა სახელმწიფოები.

სპეციალისტთა აზრით, ასეთი სისტემა თავის დროზე რომ შეემუშავებინათ, ეს დაღუპვისგან გადაარჩენდა ათი ათასობით ადამიანს.

ინდოეთის ოკეანეში წინასწარი შეტყობინების სისტემა დაეფუძნება მაღალტექნოლოგიური ტივტივების ქსელს, რომელიც ბაგირებით იქნება დამაგრებული ოკეანის ფსკერზე.

ეს ტივტივები, თავის მხრივ, დაუკავშირდებიან კავშირგაბმულობის რეგიონულ ცენტრებს. შეერთებულმა შტატებმა, გერმანიამ და ავსტრალიამ პროექტის მომავალ შემქმნელებს უკვე შესთავაზეს მათ ხელთ არსებული ტექნიკური ნამუშევრები.

სისტემის შექმნამდე კი, იაპონიამ იკისრა ინფორმაციით უზრუნველყოფა ოკეანეებზე მეთვალყურეობის თავისი ცენტრების მეშვეობით.

## გამოძიების ფედერალური ბიურო ეძებს ოთხ ჩინელს

**გამოძიების ფედერალური ბიურო აპირებს ოთხი ჩინელის დაკავებას, რადგან გავრცელდა ინფორმაცია, რომ ბოსტონში იგეგმება ეგრეთ წოდებული „ჭუჭყიანი ბომბის“ აფეთქება, რომელიც რადიაქტიურ მასალებს შეიცავს.**

მასაჩუსეტსის შტატის პოლიციამ და გამოძიების ფედერალური ბიუროს აგენტებმა მიიღეს ორი მამაკაცის და ორი ქალის ფოტოსურათები, რომლებსაც ეძებენ ამ საფრთხესთან დაკავშირებით.

ამერიკის ტელესადგურები იტყობინებოდნენ, რომ ბოსტონის ქუჩებში პატრულირებას ახორციელებენ აგენტები, რომლებიც აღჭურვილი არიან რადიაქტიური დასხივების აღმოჩენისთვის განკუთვნილი ხელსაწყოებით.

ამავე დროს, გამოძიების ფედერალური ბიუროს და ქალაქის ხელისუფლების წარმომადგენლები ცდილობენ მოსახლეობის დამშვიდებას, არწმუნებენ მათ, რომ ინფორმაცია მოსალოდნელი აფეთქების შესახებ, ჯერჯერობით არ დადასტურებულა.




მასაჩუსეტსის შტატის გუბერნატორმა მიტ რომნიმ, რომელიც ვაშინგტონიდან დაბრუნდა ბოსტონში, განაცხადა, რომ მთელ ღამეს გაატარებდა თავის რეზიდენციაში.

ყველაფერი კი დაიწყო იმით, რომ ქალაქ სან-დიეგოში გამოძიების ფედერალური ბიუროს აგენტებს მექსიკიდან ტელეფონით დაუკავშირდა უცნობი პირი, რომელმაც განაცხადა, რომ ოთხმა ჩინელმა და ორმა ერაყელმა გადაკვეთეს შეერთებული შტატების საზღვარი, ისინი აპირებენ ნიუ-იორკიდან ჩავიდნენ ბოსტონში და იქ განახორციელონ ტერორისტული აქტი. აღსანიშნავია, რომ ოთხი ძებნილი ჩინელიდან მანამდე არც ერთი არ იყო შეტანილი საეჭვო პირთა სიაში.

## აბდულ-რაშიდ დუსტუმს თავს დაესხნენ

**როგორც ავღანეთიდან იტყობინებიან, ქვეყნის ჩრდილოეთში თავს დაესხნენ თავს ერთ-ერთ წამყვან საველე მეთაურს, წარმოშობით უზბეკს აბდულ-რაშიდ დუსტუმს. კერძოდ, მისი აფეთქება სცადეს მაშინ, როცა დუსტუმი გამოვიდა ქალაქ შებერგანის მეჩეთიდან. როცა გენერლის პირადმა მცველებმა სცადეს უცნობის შეჩერება, მან აამოქმედა ბომბი.**

აფეთქების შედეგად რამდენიმე ადამიანი დაიჭრა, თვით გენერალი დუსტუმი არ დაშავებულა.

თავისი ხანგრძლივი კარიერის განმავლობაში გენერალი დუსტუმი არაერთხელ გადაურჩა თავდასხმებს, იგი ხშირად იცვლიდა მოკავშირეებს ავღანეთის რთულ პოლიტიკურ ალიანსებში.

დუსტუმი თავის დროზე იბრძოდა საბჭოთა კავშირის მხარეზე, შემდეგ იყო ექს-პრეზიდენტ ნაჯიბულას მოკავშირე, ებრძოდა მოჯაჰედებს.

1992 წლიდან აბდულ-რაშიდ დუსტუმი მოჯაჰედთა მხარეზე გადავიდა და 1997 წლისთვის იგი უკვე აკონტროლებდა ავღანეთის ჩრდილოეთ ნაწილში ჩამოყალიბებულ მინი-სახელმწიფოს.

## ბრაზილიაში გიგანტი ბავშვი დაიბადა

**ექიმების თქმით, ახალშობილის წონა 7,3 კილოგრამს შეადგენს. ბავშვის დედა — 38 წლის ფრანცისკა რამოს დოს სანტოსი — იმყოფება საავადმყოფოში ექიმების ზედამხედველობის ქვეშ.**

მედიკოსებს მიაჩნიათ, რომ ახალშობილის დედა, რომელსაც დიაბეტი აწუხებს, ფეხმძიმობის პერიოდში არ აკონტროლებდა სისხლში შაქრის შემცველობის დონეს. ამის გამო, ბავშვმა ეს დაავადება დედისგან მემკვიდრეობით მიიღო. გარდა ამისა, ჩვილს აქვს სუნთქვასთან დაკავშირებული პრობლემებიც. თუმცა, ექიმების აზრით, ბავშვის ჯანმრთელობას საფრთხე არ დაემუქრება.




„ეს ბიჭუნა ნამდვილი გოლიათია. ჩვეულებრივ, ასეთ წონას ბავშვები მხოლოდ ექვსი თვის ასაკში თუ აღწევენ“, — თქვა ექიმმა-პედიატრმა. სტატისტიკის თანახმად, ბრაზილიაში ახალშობილი ბიჭები საშუალოდ 3,5 კილოგრამს იწონიან, გოგონები კი — 3 კილოგრამზე ოდნავ მეტს.

ადემილტონი — ასეთი სახელი შეარქვეს გოლიათ-ბიჭუნას, მეხუთე ბავშვია დოს სანტოსების ოჯახში.

## იუშჩენკოს ინაუგურაცია 23 იანვარს გაიმართება

**უკრაინის პარლამენტმა დაამტკიცა პრეზიდენტ ვიქტორ იუშჩენკოს ინაუგურაციის ვადა — 23 იანვარი.**

ამ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა უზენაესი რადის 309 დეპუტატმა.




ინაუგურაციის ცერემონია გაიმართება პარლამენტის შენობაში.

ოთხშაბათს, გვიან საღამოს კი, უკრაინის უზენაესმა სასამართლომ ვიქტორ იუშჩენკო დაამტკიცა, როგორც პრეზიდენტის არჩევნებში გამარჯვებული.

სასამართლომ არ დააკმაყოფილა პრეზიდენტობის მეორე კანდიდატის — ვიქტორ იანუკოვიჩის საჩივარი, რომელიც მოითხოვდა არჩევნების შედეგების გაუქმებას და ხელახალი კენჭისყრის დანიშვნას.

ასეთი გადაწყვეტილება გამოაცხადა უკრაინის უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მეთაურმა ანატოლი იარემამ. სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

უკრაინის ზოგიერთმა გაზეთმა უკვე გამოაქვეყნა არჩევნების ოფიციალური შედეგები, რომელთა მიხედვითაც იუშჩენკომ იანუკოვიჩს 8 პროცენტით გაუსწრო.

მაგრამ ოფიციალური განცხადება არჩევნების შედეგების შესახებ ჯერჯერობით არ გაუკეთებიათ, რადგან, ვიქტორ იანუკოვიჩმა აღძრა საჩივარი და ამტკიცებს, რომ ხმის მიცემის პროცესის დროს მოხდა სერიოზული დარღვევები.

როგორც ცნობილია, ვიქტორ იუშჩენკოს მიერ წინათ გაკეთებულ მსგავს განცხადებას მოჰყვა ის, რომ უკრაინაში ხელახლა გაიმართა პრეზიდენტის არჩევნების მეორე ტური.

## მოკლედ

**ჩინეთში ავტობუსის აფეთქების შედეგად 12 კაცი დაიღუპა. ხელისუფლების წარმომადგენლები ჯერჯერობით არ აცხადებენ, თუ რა შეიძლება ყოფილიყო აფეთქების მიზეზი. პოლიცია არ გამორიცხავს, რომ ავტობუსში ტერორისტებმა დადეს ბომბი. ინციდენტი მოხდა ქალაქ უსუში, ჩინეთ-ყაზახეთის საზღვრიდან 200 კილომეტრზე.**



* * *

**უკრაინის პარლამენტის საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ პეტრე პოროშენკომ, რომელიც ასევე პრეტენზიას აცხადებს პრემიერის პოსტზე, აღნიშნა, რომ გარდამავალ პერიოდში სახელმწიფო მოხელეები არალეგალურად ახორციელებენ სახელმწიფო აქტივების პრივატიზაციას და გრძელვადიანი იჯარით გადასცემენ მათ კერძო საკუთრებაში, რაც ძალზე ახლო დგას სისხლის სამართლის დანაშაულთან.**



* * *

**ჰავაის კუნძულებზე შესაძლოა გამოაცხადონ საგანგებო მდგომარეობა. საქმე ის არის, რომ იქ ძალზე მომრავლდნენ ბაყაყები, რომლებმაც, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, გაავსეს ეს ტერიტორია. მაგრამ კუნძულელთათვის უმთავრესი პრობლემა მაინც ის არის, რომ ბაყაყები გამუდმებით ყიყინებენ, რაც შეუძლებელს ხდის ნორმალურ ცხოვრებას.**



* * *

**გაეროში ბოსნიის ყოფილ ელჩს ბრალად ედება 2,4 მილიონი დოლარის დატაცება. მუჰამედ საკერბიმ 48 საათის განმავლობაში უნდა დატოვოს შეერთებული შტატების ტერიტორია და წარსდგეს ბოსნიის სასამართლოს წინაშე. ასეთი გადაწყვეტილება გამოიტანა შეერთებული შტატების მაგისტრატის მოსამართლემ. საკერბი არ ეთანხმება სასამართლოს გადაწყვეტილებას და აპირებს ათი დღის ვადაში გაასაჩივროს იგი.**





## თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი

22, 23 იანვარი

პეტრე ჩაიკოვსკი

**მაკნატუნა**

ბალეტი ორ მოქმედებად.

დამდგმელი დირიჟორი – ჯანსუღ კახიძე
დამდგმელი ქორეოგრაფი – იური გრიგოროვიჩი
დამდგმელი მხატვარი – სიმონ (სოლიკო) ვირსალაძე
პროექტის სამხატვრო ხელმძღვანელი – იური გეგეშიძე
დირიჟორი – გიორგი ჟორდანია
ბალეტის სამხატვრო ხელმძღვანელი – ნინო ანანიაშვილი.

დასაწყისი 22 იანვარს – 19, 23 იანვარს – 15 საათზე.

## განცხადება

### სს „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია" აცხადებს ღია ტენდერს მობილური კავშირგაბმულობით მომსახურების შესყიდვაზე

*ონიაშვილის ქ. № 6, 0160. თბილისი*

**ტენდერში** მონაწილეობის მსურველებმა სატენდერო კომისიას საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოუდგინონ ქართულ ენაზე (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილ უნდა იქნეს ინგლისურ ენაზე, ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის დართვით) **2005 წლის 7 თებერვლიდან 8 თებერვლის 18 საათამდე.** შემდეგ მისამართზე: თბილისი (0160), ონიაშვილის ქ. № 6.

**საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:**

**იურიდიული პირებისათვის:**

1. ცნობა საქართველოს ნოტარიუსთა პალატიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ — შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);
2. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ — შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);
3. ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ ტენდერში მონაწილეობის მსურველი იურიდიული პირის ხელმძღვანელები უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ არიან ნასამართლევი ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათი მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ — შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);
4. ცნობა იურიდიული პირის ხელმძღვანელის (დირექტორი, პრეზიდენტი) იდენტიფიკაციის შესახებ (ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან რეგისტრაციის შესახებ).

**ფიზიკური პირებისათვის:**

1. ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ იგი ქმედუნარიანია:
2. ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ იგი უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;
3. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების საქმის წარმოება;
4. მეწარმის სარეგისტრაციო მოწმობა.

ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირი დასახელებული იქნება პრეტენდენტად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შესაბამის პერიოდში წარმოადგენს ზემოთ ჩამოთვლილ ყველა საკვალიფიკაციო დოკუმენტს და ისინი არ აღმოჩნდება ყალბი.

სატენდერო დოკუმენტაცია პრეტენდენტებს გადაეცემათ მისამართზე: სს „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია", ონიაშვილის ქ. № 6, **2005 წლის 10 თებერვლიდან 11 თებერვლის 18 საათამდე.**

პრეტენდენტები თითოეულ ლოტზე წარმოადგენენ ერთ სატენდერო წინადადებას დახურული კონვერტით.

**დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ საკონტაქტო პირს — გიორგი თათილაშვილს, ტელ: 38-71-99 (შიდა — 229 ან 259), ელ. ფოსტა — giorgi.tatilashvili@uedc.ge, ონიაშვილის ქ. № 6.**

---

**სს „შავი ზღვის აუქციონის ბანკის" სალიკვიდაციო კომისია ბანკის საკუთრებაში არსებული აქტივების საჯარო წესით რეალიზაციის მიზნით 2005 წლის 15 თებერვალს ქ. ბათუმში ე. თაყაიშვილის ქ. № 13-ში მდებარე ბანკის სათაო ოფისის მე-2 სართულზე დღის 12 საათზე ატარებს ღია აუქციონს, სადაც გასაყიდად გამოტანილი იქნება შემდეგი შენობა-ნაგებობანი:**

1. ქ.ბათუმში ე. თაყაიშვილის ქ. № 13-ში მდებარე ბანკის ხუთსართულიანი, ქვის კაპიტალური შენობა დაკავებული ფართით 725,63 კვმ. საწყისი გასაყიდი ფასი 255 000 (ორას ორმოცდათხუთმეტი ათასი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი. ბიჯი — 5 000 (ხუთი ათასი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი.
2. ქ. ქობულეთში დ. აღმაშენებლის ქ. № 122-ში მდებარე ბანკის ორსართულიანი, ქვის კაპიტალური, ცალკე მდგომი შენობა. დაკავებული ფართით 611,10 კვმ. საწყისი გასაყიდი ფასი 90 000 (ოთხმოცდაათი ათასი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი. ბიჯი — 3 000 (სამი ათასი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი.
3. ქ. ქობულეთში შ. რუსთაველის ქ.№ 138ა-ში მდებარე ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლის 1-ელ სართულზე არსებული ბანკის შენობა. დაკავებული ფართით 210 კვმ. საწყისი გასაყიდი ფასი 21 000 (ოცდაერთი ათასი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი. ბიჯი — 2 000 (ორი ათასი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი.

აუქციონში მონაწილეობის უფლება აქვთ საქართველოს ან უცხოეთის ქვეყნების ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს.

აუქციონში მონაწილეობისათვის განაცხადების მიღება წარმოებს ქ. ბათუმში ე. თაყაიშვილის ქ. № 13-ში მდებარე ბანკის სათაო ოფისის მე-2 სართულზე სამუშაო დღეებში 17 საათამდე.

აუქციონში მონაწილეებმა „ბე"-ს თანხა უნდა ჩარიცხონ აჭარის ცენტრალურ ბანკში სს „შავი ზღვის აუქციონის ბანკის" სალიკვიდაციო ანგარიშზე: 800161780.

**დამატებითი ცნობებისათვის დაგვიკავშირდით შემდეგ ნომერზე: 7-16-10; 7-16-02; 893-39-25-63.**

---

## მოწვევა საკონკურსო ვაჭრობაზე

### საჯარო სამართლის იურიდიული პირი — მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრი

**საქართველოს ირიგაციისა და დრენაჟის მომხმარებელთა ორგანიზაციების განვითარების პროექტის კახეთის, სამეგრელოს (რიონი-ხობის მასივის), ქვემო ქართლის, შიდა ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური ოფისების ავეჯით მოწყობა**

საერთაშორისო განვითარების ასოციაციის „კრედიტი №3542-GE
პროექტის საიდენტიფიკაციო №PO55068

საქართველოს მთავრობამ მიიღო საერთაშორისო განვითარების ასოციაციის კრედიტი ირიგაციისა და დრენაჟის მომხმარებელთა ორგანიზაციების განვითარების პროექტის დასაფინანსებლად და განზრახული აქვს ამ კრედიტის სახსრების ნაწილი გამოიყენოს ნებადართული ხარჯების დასაფარად ირიგაციისა და დრენაჟის მომხმარებელთა ორგანიზაციების განვითარების პროექტის კახეთის, სამეგრელოს (რიონი-ხობის მასივის), ქვემო ქართლის, შიდა ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ოფისებისათვის ავეჯის მიწოდების №PCC/IDCDP/G/NS/14-2005 და №PCC/IDCDP/G/NS/15-2005 კონტრაქტებით გათვალისწინებული გადახდებისათვის.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი – მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრი იწვევს საკონკურსო ვაჭრობაზე მონაწილეობის უფლების მქონე ორგანიზაციებს, რომელთაც უნდა წარმოადგინონ საკონკურსო წინადადებები დალუქულ კონვერტებში, ქვემოთ ჩამოთვლილი კონტრაქტებისათვის:

კონტრაქტი №PCC/IDCDP/G/NS/14-2005. ირიგაციისა და დრენაჟის მომხმარებელთა ორგანიზაციების განვითარების პროექტის რეგიონალური ოფისებისათვის (ქალაქებში: გურჯაანი, ფოთი, მარნეული, ქარელი და ახალციხე) ქვემოთ ჩამოთვლილი ავეჯის მიწოდება:

ა) კარადა (სხვადასხვა ზომის) 57 ც.
ბ) კომპიუტერის მაგიდა 15 ც.
გ) მაგიდა საკონფერენციო (სხვადასხვა ზომის) 15 ც.
დ) ტუმბო 30 ც.
ე) ტელევიზორის დასადგმელი 5 ც.
ვ) ჟურნალის მაგიდა 4 ც.
ზ) სტენდი თვალსაჩინოებისათვის (სხვადასხვა ზომის) 42 ც.
თ) სამზარეულოები (სხვადასხვა ზომის) და მათი შესაბამისი მაგიდები და ტაბურეტები – 4 ც.

კონტრაქტი №PCC/IDCDP/G/NS/15-2005. ირიგაციისა და დრენაჟის მომხმარებელთა ორგანიზაციების განვითარების პროექტის რეგიონალური ოფისებისათვის (ქალაქებში: გურჯაანი, ფოთი, მარნეული, ქარელი და ახალციხე) ქვემოთ ჩამოთვლილი ავეჯის მიწოდება:

ა) სკამი (სხვადასხვა სახის) 215 ც.
ბ) ტახტი 4 ც.
გ) სავარძელი (სხვადასხვა სახის) 23 ც.

საკონკურსო ვაჭრობა ჩატარდება მსოფლიო ბანკის მიერ 2004 წლის მაისში გამოცემული „რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის სესხებითა და საერთაშორისო განვითარების ასოციაციის კრედიტებით განხორციელებული შესყიდვების სახელმძღვანელო დებულებაში „აღწერილი პროცედურების შესაბამისად".

დაინტერესებულ ორგანიზაციებს, რომელთაც აქვთ კონკურსში მონაწილეობის უფლება, შეუძლიათ დამატებითი ინფორმაციის მიღება და საკონკურსო დოკუმენტაციის გაცნობა საჯარო სამართლის იურიდიული პირი – მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრის ირიგაციისა და დრენაჟის მომხმარებელთა ორგანიზაციების განვითარების პროექტის ტექნიკურ ერთეულში ქვემოთ მითითებულ მისამართზე სამუშაო დღეებში 10 საათიდან 17 საათამდე.

დაინტერესებულ კონკურსის მონაწილეებს შეუძლიათ მიიღონ საკონკურსო დოკუმენტაციის სრული კომპლექტი ქვემოთ მითითებულ მისამართზე.

საკონკურსო წინადადება ძალაში რჩება კონკურსის გახსნიდან 30 დღის განმავლობაში. საკონკურსო წინადადება მიტანილ უნდა იქნეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრის ირიგაციისა და დრენაჟის მომხმარებელთა ორგანიზაციების განვითარების პროექტის ტექნიკური ერთეულის ოფისში, ქვემოთ მითითებულ მისამართზე, 2005 წლის 7 თებერვლის 15 საათამდე, როდესაც მოხდება საკონკურსო წინადადებების გახსნა კონკურსის იმ მონაწილეთა თანდასწრებით, რომლებიც დასწრებას მოისურვებენ. დაგვიანებული წინადადებები არ მიიღება.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი – მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრის ირიგაციისა და დრენაჟის მომხმარებელთა ორგანიზაციების განვითარების პროექტის ტექნიკური ერთეული

**საქართველო, თბილისი, 0123,
კოსტავას ქ. 41, ოთახი 224
ტელ: +995 32 98-99-24/93-51-69
ფაქსი: +995 32 92-14-67/98-99-24
ელ-ფოსტა: idcdp@adpcc.org**

---

## გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო აცხადებს კონკურსს

**ბეზუთის „იშვიათი და გადაშენების პირას მყოფი თევზის სახეობათა აღწარმოების ცენტრის" უფროსის თანამდებობის დასაკავებლად – ერთი საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო – 47 ლარი).**

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**

1. უმაღლესი განათლება;
2. ამ სფეროში მუშაობის გამოცდილება (3 წელი);
3. სახელმწიფო ენის სრულყოფილი ცოდნა;
4. კომპიუტერული პროგრამების ცოდნა;
5. სასურველია რომელიმე უცხო ენის ცოდნა.

**საბუთები მიიღება 21 იანვრიდან 26 იანვრის ჩათვლით 11-დან 16-სთ-მდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ. №15 ა, ტელ. 39-92-60.**

**(მიწის მართვის დეპარტამენტის ყოფილი შენობა, III სართული, ოთახი №339).**

---

**2005 წლის 15 თებერვალს დანიშნულია სს „ავტოშემკეთებელი-2"-ის აქციონერთა მორიგი საერთო კრება, რომელიც ჩატარდება ქ. თბილისში, მარჯანიშვილის ქ. №5, გამომცემლობა „საქართველო" მე-2 სართული, ოთახი 26, დღის 12 საათზე.**

**დღის წესრიგი:**

1. სააქციო საზოგადოების 2004 წლის ბალანსის განხილვა, მოგების ფორმირება და მისი შემდგომი განკარგვა;
2. სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა არჩევა და მათი შრომის ანაზღაურების საკითხი;
3. აუდიტის არჩევა;
4. სხვადასხვა.

სს „ავტოშემკეთებელი-2"-ის ადმინისტრაცია.

---

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორატი თხოვნით მიმართავს ამავე უმაღლესი სასწავლებლის ყოფილ სტუდენტებს, რომელთაც ჰქონდათ დანიშნული სტიპენდიები, სასწრაფოდ გამოცხადდნენ საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშსწორების სამმართველოში, რათა მიიღონ 1998 წლიდან 2004 წლის ივნისის თვის ჩათვლით სასტიპენდიო დავალიანება.**

---

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1. საქართველოს მთავრობის კანცელარია, იურიდიული მისამართი ინგოროყვას ქ. №7 აცხადებს ღია ტენდერს საქართველოს მთავრობის კანცელარიის ბალანსზე რიცხული სამსახურებრივი ავტომანქანებისათვის 240 000 ლიტრი საწვავის „პრემიუმ-აი-93" შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.**

2. მიწოდების ადგილი — შემსყიდველი ორგანიზაცია, ვადაა: 2005 წლის ბოლომდე.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები, ქართულ ენაზე, უნდა წარმოადგინონ 14.02.2005 წ. 18 საათამდე, შემდეგ მისამართზე: საქართველოს მთავრობის კანცელარია, ინგოროყვას ქ. №7, ოთახი 403, ტელეფონი 98-40-06, 93-25-38.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**4.1. იურიდიული პირისათვის:**

ა) ცნობები სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ბ) ცნობა ნოტარიუსთა პალატიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობა შსს-დან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდადებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული ან სამოხელეო დანაშაულისათვის.

**4.2 ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობა, შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

ბ) ცნობა შსს-დან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული ან სამოხელეო დანაშაულისათვის;

გ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

5. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზევით დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

6. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს, 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეეძლებათ არა უგვიანეს 3 დღისა, შემდეგ მისამართზე: საქართველოს მთავრობის კანცელარია, ინგოროყვას ქ. №7, ოთახი №403, ტელ: 98-40-06, 93-25-38. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

7. ტენდერში შესაძლებელია რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა.

8. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: გრძელიშვილი გიორგი, პეტრიაშვილი ფრიდონი, გაგუა დავითი მისამართზე: საქართველოს მთავრობის კანცელარია, ინგოროყვას ქ. №7, ოთახი 403, ტელეფონი 98-40-06.

სატენდერო კომისია.

---

## განცხადება

**სს „საქმეოლითის" დირექტორატი იწვევს აქციონერებს მორიგ საერთო კრებაზე, რომელიც გაიმართება 2005 წლის 16 თებერვალს 12 საათზე თბილისში, მიხეილ წინამძღვრიშვილის 110-ში მდებარე საზოგადოების ოფისში.**

**დღის წესრიგი:**

1. 2004 წლის წლიური ანგარიში;
2. სს „საქმეოლითის" რეორგანიზაცია;
3. ცვლილებები სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში;
4. აუდიტორის არჩევა 2005 წლისთვის;
5. ცვლილებების შეტანა სს „საქმეოლითის" წესდებაში.

კრების მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულნი არიან ჩვეულებრივი აქციის მფლობელი აქციონერები, თუ ისინი რეგისტრირებულნი არიან საზოგადოების აქციათა რეესტრში, რომელსაც აწარმოებს დამოუკიდებელი რეგისტრატორი შპს „კომპანია ცენტრი" (თბილისი, ი. მოსაშვილის 24), 2005 წლის 20 იანვრის 17 საათამდე.

---

**ინდ. საწარმო „დავით ჭკუასელი"** აცხადებს ლიკვიდაციას. დაინტერესებულმა პირებმა მოგვმართონ მისამართზე: **ქ. თბილისი, ოცხელის ქ. 32, ბინა 18.**

---

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1. საქართველოს მთავრობის კანცელარია, იურიდიული მისამართი. ინგოროყვას ქ. №7, აცხადებს ღია ტენდერს საკანცელარიო საქონლის შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.**

| № | საქონლის დასახელება | რაოდენობა |
|---|---|---|
| 1 | ქაღალდი ა4 | 20000 შეკვრა |
| 2 | ქაღალდი ა3 | 3000 შეკვრა |
| 3 | საწერი კალამი | 7000 |
| 4 | ფანქარი | 3000 |
| 5 | საშლელი | 250 |
| 6 | ფაილი | 2000 შეკვრა |
| 7 | წებო მშრალი | 2000 |
| 8 | შტრიხი | 2000 |
| 9 | ჩასანიშნი ქაღალდი | 3500 |
| 10 | ჩასანიშნი წებოვანი | 3000 |
| 11 | სახაზავი | 600 |
| 12 | კონვერტი ა4 | 15000 |
| 13 | კონვერტი ა5 | 15000 |
| 14 | [illegible] | 800 |
| 15 | საკანც. დანა | 1000 |
| 16 | საკანც. [illegible] | 1000 |
| 17 | [illegible] | 150 |
| 18 | [illegible] | 1500 |
| 19 | სტეპლერი | 300 |
| 20 | [illegible] | 4000 |
| 21 | [illegible] | 2000 |
| 22 | [illegible] | 200 |
| 23 | კალკულატორი | 100 |
| 24 | [illegible] | 200 |
| 25 | [illegible] | 250 |
| 26 | [illegible] | 100 |
| 27 | მარკერი | 15000 |
| 28 | [illegible] | 300 |
| 29 | სწრაფჩამკერი | 15000 |
| 30 | [illegible] | 300 |
| 31 | [illegible] | 15000 |
| 32 | ანტისტეპლერი | 300 |
| 33 | [illegible] | 100 |
| 34 | [illegible] | 2000 |
| 35 | [illegible] | 2000 |
| 36 | [illegible] | 100 |
| 37 | ორგანაიზერი | 100 |
| 38 | [illegible] | 10 |
| 39 | [illegible] | 700 |
| 40 | [illegible] | 150 |
| 41 | [illegible] | 100 |
| 42 | [illegible] | 20 |

2. მიწოდების ადგილი — შემსყიდველი ორგანიზაციის საწყობი, ვადაა: 2005 წლის ბოლომდე.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები, ქართულ ენაზე, უნდა წარმოადგინონ 14.02.2005 წ. 18 საათამდე, შემდეგ მისამართზე: საქართველოს მთავრობის კანცელარია, ინგოროყვას ქ. №7, ოთახი 403, ტელეფონი 98-40-06, 93-25-38.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**4.1. იურიდიული პირისათვის:**

ა) ცნობები სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ბ) ცნობა ნოტარიუსთა პალატიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობა შსს-დან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდადებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული ან სამოხელეო დანაშაულისათვის;

**4.2 ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობა, შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

ბ) ცნობა შსს-დან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული ან სამოხელეო დანაშაულისათვის;

გ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

5. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზევით დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

6. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს, 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეეძლებათ არა უგვიანეს 3 დღისა, შემდეგ მისამართზე: საქართველოს მთავრობის კანცელარია, ინგოროყვას ქ. №7, ოთახი №403, ტელ: 98-40-06, 93-25-38. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

7. ტენდერში შესაძლებელია რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა.

**8. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: გრძელიშვილი გიორგი, პეტრიაშვილი ფრიდონი, გაგუა დავითი მისამართზე: საქართველოს მთავრობის კანცელარია, ინგოროყვას ქ. №7, ოთახი 403, ტელეფონი 98-40-06.**

სატენდერო კომისია.

ინფორმაცია

## პარლამენტარი კირკიტაძე ჩხუბში მონაწილეობას უარყოფს

საქართველოს პარლამენტის სახელისუფლებო ფრაქცია „ნაციონალ-დემოკრატების“ თავმჯდომარის მოადგილე დავით კირკიტაძე, რომელსაც მცირე ხნის წინ პარლამენტის დაცვის თანამშრომელთან უსიამოვნო ინციდენტი მოუხდა, გუშინღამ თბილისში, რესტორან „მონოპოლში“ ატეხილ ჩხუბში მონაწილეობას კატეგორიულად უარყოფს.

რესტორანში მომხდარი ფაქტის გამო, საპატრულო პოლიციამ „მონოპოლის“ სპეციალური დაცვის სამსახურის — „დელტას“ ოთხი თანამშრომელი დააკავა. გავრცელებული ინფორმაციით, დაკავებული დაცვის წევრები შს თბილისის მთავარი სამმართველოს წინასწარი დაკავების საკანში არიან მოთავსებულნი.

როგორც „ინტერ-პრესს“ რესტორან „მონოპოლის“ დაცვის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა გუშინ განუცხადა, გუშინ რესტორანში ოცდახუთკაციანი ნათლობის სუფრის წევრებსა და დაცვის თანამშრომლებს შორის სიტყვიერი შეკამათება ჩხუბით დასრულდა.

კულტურის მინისტრის მოადგილე ლადო ვარძელაშვილი აცხადებს, რომ დაცვის თანამშრომლებმა მათი სუფრის წევრების წინააღმდეგ, „შელაპარაკების შემდეგ, ფიზიკურ ზეწოლას მიმართეს“.

ფრაქცია „ნაციონალ-დემოკრატების“ თავმჯდომარის მოადგილე დავით კირკიტაძე აღნიშნულ ჩხუბში მონაწილეობას არ ადასტურებს და აცხადებს, რომ იგი მხოლოდ ჩხუბის თვითმხილველია. კირკიტაძე არც ჩხუბის მონაწილეთა ვინაობას აკონკრეტებს.

„გუშინ მე კულტურის მინისტრის მოადგილის ლადო ვარძელაშვილის ბავშვი მოვნათლე. რესტორანში ჩხუბი ატყდა და პირადად მე გამოვიძახე პატრული“, - აღნიშნა კირკიტაძემ „ინტერ-პრესთან“ საუბრისას.

კირკიტაძე მზად არის სამართალდამცველებს ჩვენება მისცეს.

„ინტერ-პრესი“


# განცხადება

დაიკარგა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან. მიწის სარეგისტრაციო № 721412143; სარეგისტრაციო ზონა — მცხეთა, კოდი 72, სექტორი დიღომი — კოდი 14, კვარტალი № 12, ნაკვეთის № 143, ფართობი 0,100 ჰა, დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობა, კერძო საკუთრება.

მესაკუთრე: ნანული გაბრიჭიძე. მცხ. თბილისი, ვაზისუბნის დასახლება, მე-2 მიკრორაიონი, მე-3 კორპ. ბინა 60.



# განცხადება
## საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვის შესახებ
### პირველადი ჯანდაცვის განვითარების პროექტი
### კრედიტი No 3702-GE

**საქართველოს** ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის **პროექტების განმახორციელებელი ცენტრი,** პირველადი ჯანდაცვის განვითარების პროექტის ფარგლებში, **ჯანმრთელობის პოლიტიკის ერთეულის** ამოქმედებისა და **განვითარებისათვის იწვევს გამოცდილ ადგილობრივ კონსულტანტებს.**

ჯანმრთელობის პოლიტიკის ერთეული ამოქმედდება ეროვნული ჯანმრთელობის ინსტიტუტის ბაზაზე და იფუნქციონირებს მისი ხელმძღვანელობის ქვეშ. ჯანმრთელობის პოლიტიკის ერთეულს ფუნქციურად ევალება შექმნას შემდეგი პროდუქცია: განახლებული ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული პოლიტიკა, ჯანდაცვის ეროვნულ ანგარიშებზე ყოველწლიური მოხსენება, ჯანდაცვის ეროვნული ანგარიშგების სისტემის განხორციელებისა და დამკვიდრების გეგმა, ჯანმრთელობის მდგომარეობაზე ეროვნული ანგარიში და თემატური პოლიტიკის დოკუმენტები.

ზემოთ აღნიშნული პროდუქტის შესაქმნელად საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი იწვევს კონსულტანტებს შემდეგი კვალიფიკაციით:

**პოლიტიკის ანალიზის სპეციალისტი**

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**

• უმაღლესი განათლება შესაბამის დარგში;

• სასურველია ხარისხი ჯანმრთელობის პოლიტიკისა და მართვის/საზოგადოებრივი მართვის/საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში;

• არაუმცირეს სამი (3) წლის გამოცდილება ჯანდაცვის სფეროში;

• სასურველია ორი (2) წლის გამოცდილება პოლიტიკის ანალიზის სფეროში;

• ქართული და ინგლისური ენების სრულყოფილი ცოდნა (ზეპირი და წერილობითი)

• კომპიუტერის ცოდნა (MS –ის პროგრამებში მუშაობის გამოცდილება).

კონსულტანტებს სასურველია ჰქონდეთ:

• პედაგოგიური გამოცდილება სახელმწიფო მართვის და პოლიტიკის ანალიზის სფეროებში;

• პუბლიკაციები შესაბამის სფეროებში.

დაინტერესებულ კონსულტანტებს უნდა ჰქონდეთ ძლიერი ანალიტიკური უნარ-ჩვევები, მართვისა და ლიდერობის შესანიშნავი გამოცდილება და შესაძლებლობა ეფექტურად წარმართონ დისკუსიები და შეხვედრები.

**გამარჯვებულ კანდიდატთან გაფორმდება გრძელვადიანი ხელშეკრულება (მაგ.: ერთწლიანი ხელშეკრულება, რომელიც ექვემდებარება გაგრძელებას პროექტის განხორციელების დასრულებამდე) სამთვიანი გამოსაცდელი პერიოდის წარმატებით გავლის შემდეგ.**

კონსულტანტი შერჩეული იქნება მსოფლიო ბანკის მიერ შემუშავებული სახელმძღვანელოს მიხედვით: „დაქირავებულ კონსულტანტთა შერჩევა და სამუშაოზე აყვანა მსოფლიო ბანკისგან მსესხებლების მიერ”, 1997 წლის იანვარი (შესწორება – 1997 წლის სექტემბერი, 1999 წლის იანვარი).

დაინტერესებულმა კონსულტანტებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები: განცხადება, რეზიუმე (ქართული და ინგლისური), დიპლომების ასლები, წინა დასაქმების ადგილებიდან სულ ცოტა 2 სარეკომენდაციო წერილი)

ინტერესის წერილები უნდა წარმოადგინოთ 2005 წლის 3 თებერვლის 17 სთ-მდე შემდეგ მისამართზე:

ქ. თბილისი 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. №23,
მე-2 კორპუსი, მე-5 სართული,
**საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი**
ტელ/ფაქსი: +995 (32) 331934, 331839
საკონტაქტო პირი: ეკა ეკიზაშვილი, ოფისის მენეჯერი



# განცხადება
## საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვის შესახებ
### პირველადი ჯანდაცვის განვითარების პროექტი
### კრედიტი No 3702-GE

**საქართველოს** ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის **პროექტების განმახორციელებელი ცენტრი,** პირველადი ჯანდაცვის განვითარების პროექტის ფარგლებში, **იწვევს გამოცდილ ადგილობრივ კონსულტანტს საქართველოს პირველადი ჯანდაცვის სისტემის პერსონალის გადამზადებისთვის საჭირო საკანონმდებლო/მარეგულირებელი ბაზის მოსამზადებლად.**

პროექტის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს პირველადი ჯანდაცვის პერსონალის ოჯახის ექიმებად გადამზადებისთვის აუცილებელი ინსტიტუციური და იურიდიული გარემოს შექმნა. გადამზადების პროცესი დაკავშირებულია კომპლექსური ღონისძიებების განხორციელებასთან, მათ შორის ისეთთან, როგორიცაა გამართული საკანონმდებლო/მარეგულირებელი ბაზის ჩამოყალიბება. მოთხოვნილი საკონსულტაციო მომსახურება გამიზნულია პირველადი ჯანდაცვის სისტემის პერსონალის სწავლების უზრუნველყოფისათვის შესაბამისი იურიდიული გარემოს შესაქმნელად, რაც გულისხმობს:

○ არსებული იმ კანონმდებლობის გადახედვასა და ანალიზს, რომელიც ეხება

▪ პირველადი ჯანდაცვის სპეციალისტების (ექიმებისა და ექთნების) სწავლებას;

▪ პირველადი ჯანდაცვის სპეციალისტების გადამზადებაში მონაწილე დაწესებულებების ლიცენზირებას;

▪ სწავლების პროცესში ჩართული იურიდიული ერთეულების (ორგანიზაციებისა და პირების) კონტრაქტირების საკითხებს;

○ პირველადი ჯანდაცვის სისტემის პერსონალის სწავლების რეგულირებასთან დაკავშირებული პრობლემების ანალიზს;

○ დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობის გზით იმ დოკუმენტაციის (კანონები, კონტრაქტები, კანონთა პროექტები და სხვა) სრული ნუსხის შექმნას, რომელიც აუცილებელია სასწავლო პროცესის არსებულ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანისათვის. აუცილებელი დოკუმენტების პროექტების მომზადებას;

○ გადამზადებისათვის პერსონალის შერჩევის შესახებ არსებული კანონმდებლობის ანალიზსა და საჭიროების შემთხვევაში ამ კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანის შესახებ რეკომენდაციების მომზადებას;

○ დაინტერესებულ მხარეებთან (შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, დონორი ორგანიზაციები, სახელმწიფო სამედიცინო აკადემია, საოჯახო მედიცინის სასწავლო ცენტრები) თანამშრომლობის გზით პირველადი ჯანდაცვის სპეციალისტების სწავლების დაგეგმარებასა და მომზადებაში მონაწილე სხვადასხვა ორგანიზაციასთან ურთიერთთანამშრომლობის ოპტიმალური მექანიზმის განსაზღვრას და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი საკანონმდებლო/მარეგულირებელი ბაზის მომზადების შესახებ რეკომენდაციების გაწევას;

○ საკანონმდებლო ცვლილების შესახებ რეკომენდაციების შეჯამებული ვარიანტის წარდგენას სამინისტროსთვის მისაღები ფორმატით.

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**

1. საუნივერსიტეტო იურიდიული განათლება;
2. ჯანდაცვის სისტემასა და საზოგადოებრივ ჯანდაცვასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობის ცოდნა;
3. გამოცდილება ჯანდაცვის სფეროში კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების შემუშავებაში;
4. კომპიუტერზე მუშაობისა და ანგარიშგების მაღალი დონე;
5. ინგლისური ენის ცოდნა (საბაზისო დონე).

**სამუშაოს ხანგრძლივობაა 2 თვე ა. წ. თებერვლიდან.**

კონსულტანტი შერჩეული იქნება მსოფლიო ბანკის მიერ შემუშავებული სახელმძღვანელოს მიხედვით: „დაქირავებულ კონსულტანტთა შერჩევა და სამუშაოზე აყვანა მსოფლიო ბანკისგან მსესხებლების მიერ”, 1997 წლის იანვარი (შესწორება – 1997 წლის სექტემბერი, 1999 წლის იანვარი).

დაინტერესებულმა კონსულტანტებმა უნდა წარმოადგინონ სამუშაოთა შესრულების შესაძლებლობის დამადასტურებელი დოკუმენტები (დიპლომების ასლები,თავფურცელი,რეზიუმე, მსგავსი ჩატარებული სამუშაოების აღწერა, წინა სამუშაო ადგილებიდან 2 სარეკომენდაციო წერილი).

ინტერესის წერილები უნდა წარმოადგინოთ 2005 წლის 4 თებერვლის 17 სთ-მდე შემდეგ მისამართზე:

ქ. თბილისი 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. №23,
მე-2 კორპუსი, მე-5 სართული,
**საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი**
ტელ/ფაქსი: +995 (32) 331934, 331839
ელ. ფოსტა: bforhealth@caucasus.net
საკონტაქტო პირი: ეკა ეკიზაშვილი, ოფისის მენეჯერი


ფესტივალი

# „ნიამორის“ მეორედ მოსვლა

**გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, საქართველოს სამთო ტურიზმისა და სპორტის ტრადიციული თუ ექსტრემალური სახეობების განსავითარებლად შესანიშნავი ბუნებრივი პირობები აქვს. ამიტომაც, ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში, უამრავ ადამიანს იზიდავდა ჩვენი ქვეყნის ზღვა და ხმელეთი, მღვიმეები თუ ბუმბერაზი მთები, თოვლით დაფარული ფერდობები. პროფესიონალი სპორტსმენები, ალპინისტები თუ უბრალო მოგზაურები ფირზე აღბეჭდავდნენ ხოლმე ისეთ საოცრებას, „ჩვეულებრივი მოკვდავი“ გუნებაშიც რომ ვერ გაივლებდა.**

ზოგჯერ სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე მდგარნიც მშვენიერების აღქმის უნარს არ კარგავენ და იქმნება შედევრები ჩვენდა გასახარად. საქართველოში გადაღებულ არაორდინარულ კადრებს არაერთი პრიზი დაუმსახურებიათ იტალიის, რუსეთის, კანადის, საფრანგეთისა თუ სხვა ქვეყნების სამთო, სათავგადასავლო და ექსტრემალური ფილმების ფესტივალებზე.





შარშან არასამთავრობო ორგანიზაცია „კასტირიონმა“ პირველად გამართა თბილისში ამგვარი ფილმების ფესტივალი სახელწოდებით „ნიამორი“. გრან-პრი ნინო ჯაფიაშვილისა და თემურ გოგოლაძის ფილმმა — „თუჯი ჩეი ჯომოლუნგმამ“ დაიმსახურა.

გუშინწინ კაფე „მსოფლიო სპორტში“ გაიმართა პრესკონფერენცია, რომელიც სამთო, სათავგადასავლო და ექსტრემალური სატელევიზიო ფილმების მეორე საერთაშორისო ფესტივალ „ნიამორის“ დაწყებას მიეძღვნა. როგორც ფესტივალის დირექტორმა თამუნა ჯიშკარიანმა განაცხადა, სამთო სპორტის მოყვარული კინემატოგრაფისტები ძალებს ხუთ ნომინაციაში მოსინჯავენ. ესენია: სამთო ექსპედიცია, ექსტრემი, მაშველები, მთა, ადამიანი და მოგზაურები. თანაც, წლევანდელი ფესტივალი, უწინდელისგან განსხვავებით, საერთაშორისოა, რადგან იტალიის ალპური კლუბიდან უკვე მიიღეს ფილმები ხუთივე ნომინაციისათვის. ერთ-ერთი 1954 წელს ჩოგორზე იტალიელთა პირველასვლის ისტორიულ მასალას შეიცავს. ჰიმალაიში „ამა-დაბლამის“ დამლაშქრავი ქართველი გოგონას — სოფო თვარაძის თქმით, იტალიელებთან ურთიერთობაში ქართველ მთამსვლელთა მეგობარი სილვიო კალვი ეხმარებათ. ფესტივალის ხელმძღვანელები ფილმებს რუსეთიდან და უკრაინიდანაც ელიან.

ფესტივალი „ნიამორი“ გაიხსნება ფოტოგამოფენით — „ამოუცნობი და ექსტრემალური სამყარო“. 160-მდე ნამუშევარი დამთვალიერებლებს წყალქვეშა სამყაროდან და მიწისქვეშეთიდან ევერესტზე ამოგზაურებს. ფილმების ჩვენება 25-28 თებერვალს კინოთეატრ „რუსთაველში“ გაიმართება.

წლევანდელი ფესტივალი სპორტისა და ხელოვნების სინთეზსაც გულისხმობს, ამიტომ „ნიამორი“ გულშემატკივრებს მეკლდეურობასა და სნოუბორდში საინტერესო ორთაბრძოლებსაც ჰპირდება. ამასთანავე, გათვალისწინებულია ფესტივალის დროში ატანა მყინვარწვერზე, ცოტა მოგვიანებით კი — გამარჯვებული ფილმებისა და ფოტოექსპოზიციის ჩვენება ყაზბეგსა და მესტიაში.

„ნიამორის“ ორგანიზატორები ვარაუდობენ, რომ საპრიზო ფონდი 5 ათასი დოლარი მაინც იქნება. მათ ქართველი ქველმოქმედებისა და სამთავრობო სტრუქტურების დახმარების იმედიც აქვთ.

**გიორგი გაგუა.**

**სურათზე: მარჯვნიდან — თამუნა ჯიშკარიანი, სოფო თვარაძე, „დარდანელის გმირი“ — ჰენრი კუპრაშვილი და საქართველოს მეკლდეურობის ფედერაციის პრეზიდენტი ლადო გურჩიანი.**

**რობერტ ბაგოიანის ფოტო.**

ჩვენებურები

# ასათიანს „ჩელსი“ ეპატიჟება

**საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრების ერთ-ერთი ლიდერის მალხაზ ასათიანის კარიერაში უმნიშვნელოვანესი ეტაპი დადგა — მისით თვით ლონდონის „ჩელსი“ დაინტერესდა. გადაჭრით ძნელია იმის თქმა, როგორ დასრულდება მოლაპარაკებები, მაგრამ უკვე ის ფაქტი, რომ „ასკას“ ყურადღება პრემიერლიგის ლიდერმა მიაპყრო, ბევრ რამეზე მეტყველებს — მოგეხსენებათ, რომან აბრამოვიჩი და „არისტოკრატთა კლუბის“ თავკაცი ჟოზე მაურინიუ თავიანთ ვარსკვლავთკრებულში შემთხვევით არავის იწვევენ.**



დაბოლოს, არა გვგონია, მომავალ ტრანსფერს რაიმემ შეუშალოს ხელი — მოსკოვის „ლოკომოტივს“ ხომ, სადაც ამჟამად ირიცხება ქართველი ფეხბურთელი, საკუთარი სალაროს სოლიდური შევსების შანსი გაუჩნდა, ასეთ ცდუნებაზე კი უარს არ ამბობენ.

დსთ-ს თასი

# ადამია — ნახევარფინალში



**დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების ჩემპიონთა თასის XIII გათამაშებას ჯგუფიდანვე გამოეთიშა „თბილისი“. I ეტაპის დასკვნითი მატჩი საქართველოს წარგზავნილებმა ფრედ — 2:2 დაასრულეს ყირგიზეთის „დარდოი-დინამოსთან“ და ტურნირი 4 ქულით დაასრულეს, მეოთხედფინალის საგზური კი „კაუნასმა“ მოიპოვა, რომელმაც ტაშკენტის „ფახთაქორს“ სძლია — 1:0.**

„კაუნასი“ — 9, „თბილისი“ — 4, „ფახთაქორი“ — 3, „დარდოი-დინამო“ — 1 ქულა.

მეოთხედფინალური შეხვედრებიდან განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა შეურიგებელ ამიერკავკასიელთა დუელი: „ნეფთჩი“ (აზერბაიჯანი) — „პიუნიკი“ (სომხეთი), რომელიც ბაქოელებმა მოიგეს — 2:0. აღსანიშნავია, რომ პრინციპულ მეტოქეთა თამაშში ანგარიში ჩვენმა თანამემამულემ **გიორგი ადამიამ** გახსნა (ეს მის მიერ მოსკოვში გატანილი მეოთხე გოლია).

რაც შეეხება „კაუნასისა“ და ალმაათის „ქაირათის“ დაპირისპირებას, მისი ბედი ლიტველთა სასარგებლოდ პენალტების სერიაში გადაწყდა — 3:2 (ძირითადი დრო — 0:0).

ამრიგად, ხვალ ნახევარფინალში ითამაშებენ „ნეფთჩი“ — კიევის „დინამო“ და „კაუნასი“ — „ლოკომოტივი“.

ქართული ჭიდაობა

# შვიდგზის ფალავანი ამპლუას იცვლის



**გუშინ საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის სააქტო დარბაზში ქართული ჭიდაობის მოყვარულნი შეიკრიბნენ. ფედერაციას ახალი პრეზიდენტი უნდა აერჩია. საანგარიშო პერიოდში გაწეულ მუშაობაზე ილაპარაკეს სიმონ მაისურაძემ, იური იმერლიშვილმა, დილარ ხაბულიანმა, ოლეგ იაძემ, ზურაბ კახაბრიშვილმა, დავით ციმაკურიძემ, გიორგი მეკოკიშვილმა, გმირო ხაჩიძემ, ვლადიმერ კანკავამ, ანზორ ქიბროწაშვილმა, პროფესორმა დურმიშხან ჩიტაშვილმა და სხვებმა.**

ყრილობაზე გულისტკივილით აღინიშნა, რომ ჩვენს ეროვნულ საუნჯეს — ქართულ ჭიდაობას, ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა. სავალალოა ის ფაქტი, რომ არსად ქართული ჭიდაობის ერთი სექციაც არ მუშაობს, არ არის საკმარისი ჩოხები, იშვიათად იმართება შეჯიბრებები. ეს მაშინ, როცა უზბეკებმა კურაშში (მათი ეროვნული ჭიდაობა) საერთაშორისო ფედერაცია ჩამოაყალიბეს, 70 ქვეყანა მიიზიდეს და წლეულს, თურმე, მეოთხე მსოფლიო ჩემპიონატს მართავენ... ვენესუელაში.

ქართული ჭიდაობისთვის ყველაზე დიდი უბედურება დაუფინანსებლობაა. წლეულსაც ბიუჯეტიდან ჯერჯერობით ერთი თეთრიც არა აქვს გამოყოფილი.

აქვე ორ საგულისხმო ფაქტზეც მინდა გავამახვილო ყურადღება: ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტმა დილარ ხაბულიანმა დელეგატებს აუწყა, რომ თეთრი წყაროში, პარლამენტის წევრ გია ხევიაშვილის ინიციატივით, ძიუდოს საერთაშორისო სკოლა-ინტერნატი გაიხსნება, სადაც 300-მდე მოზარდი ივარჯიშებს. სექტემბრიდან იქ ქართული ჭიდაობის ერთი ჯგუფიც იმუშავებს.

საქართველოს პარლამენტის წევრმა ლაერტ ზუბადალაშვილმა, რომელიც დედოფლისწყაროში ყოველწლიურად უდროოდ დაღუპული ვანო ჩოხელის ხსოვნის ტურნირებს მართავს, ქართული ჭიდაობის ფედერაციას საკუთარი სახსრებიდან ათასი ლარით შეეწევიო, თქვა, და ფედერაციის პრეზიდენტს ანგარიშის ნომერი სთხოვა (იმედია, სხვებიც მიბაძავენ). ეროვნული განძის თავკაცად კი ფორუმის მონაწილეებმა ერთხმად აირჩიეს საქართველოს შვიდგზის ფალავანი, ცნობილი ახმეტელი ძიუდოისტი **ალექსი დავითაშვილი.**

**ლექსო ცინცაძე.**

კალათბურთი

# კვარტეტი კვარტეტად დარჩა

**კალათბურთელ ვაჟთა ეროვნული თასის III გათამაშების I ეტაპი ისევე უღიმღამოდ დასრულდა, როგორც დაიწყო — დაგვეთანხმებით, ძნელია მთელი დატვირთვით თამაში მოსთხოვო გუნდებს მაშინ, როცა წინასწარაა ცნობილი, რომ ბრძოლას არავინ გამოეთიშება. ვიმედოვნებთ, ასეთი კაზუსი მომავალში აღარ მოხდება.**

რაც შეეხება რუსთავში დამთავრებული რაუნდის დასკვნით მატჩებს, მათი შედეგები ასეთია:



„ავიამშენი“ — თსუ 98:66,

სტუ — „თუჯი“ 93:87.

„ავიამშენი“ — 3, თსუ — 2, სტუ — 1, „თუჯი“ — 0 მოგება.

ეროვნული თასის გათამაშების II ეტაპი მარტში თბილისში გაიმართება.

ჭრელაჭრულა

## როდემდე ელოდოს?

**მსოფლიო ჭადრაკის უცვლელმა ლიდერმა, 2004 წლის რუსეთის ჩემპიონმა გარი კასპაროვმა გაავრცელა ღია წერილი ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციისადმი, რომლითაც იტყობინება, რომ არ აპირებს მეტ მოცდას, როდესაც ფიდე მოაწყობს მის მატჩს ფიდეს ვერსიით 2004 წლის მსოფლიო ჩემპიონთან, უზბეკ რუსტამ კასინჯანოვთან.**



„მე შეჯიბრებებში იქამდე მივიღებ მონაწილეობას, სანამ ჩემს ჩვეულ დონეზე შევძლებ თამაშს, — წერს კასპაროვი, — ვაგრძელებ სამსახურს ჭადრაკთან [illegible] 20 წელი მსოფლიო ჭადრაკის რეიტინგის ლიდერი ვარ [illegible] ლებს საჭადრაკო პოლიტიკის დაფას“. შეგახსენებთ, რომ ჯერ კიდევ 2002 წელს პრაღის „საჭადრაკო სამიტზე“ მიღწეული „გაერთიანების“ დეკლარაციით, რომელსაც ხელს აწერდნენ ფიდეს პრეზიდენტი კირსან ილუმჟინოვი, კლასიკურ ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონი ვლადიმერ კრამნიკი და მსოფლიოს უცვლელი პირველი მოჭადრაკე გარი კასპაროვი, „გვირაბის ბოლოს სინათლე გამოჩნდა“. მაგრამ არც მოჭადრაკეებისა და არც ამ ბრძნული თამაშის თაყვანისმცემლების იმედი არ გამართლდა. ჯერ კარგა ხანს ვერ მოხერხდა კრამნიკილეკოს მატჩის გამართვა. საერთოდ ჩაიშალა კასპაროვ-პონომარიოვის ორთაბრძოლა.

პრაღის „გამაერთიანებელ“ დეკლარაციას ჯვარი დაესვა და, როგორც ჩანს, მსოფლიოს პირველი მოჭადრაკის მოთმინების ფიალაც აივსო.

## დსთ — ფიფას ვარსკვლავები

**რუსეთის ფეხბურთის კავშირმა სთხოვა ფიფას, ნება დართოს მაისის დასაწყისში მოსკოვში დამოუკიდებელი სახელმწიფოების თანამეგობრობისა და ბალტიისპირეთის ქვეყნების ფეხბურთელთა ნაკრების მატჩზე ფიფას ვარსკვლავების ნაკრებთან, რაც მიეძღვნება დიდი სამამულო ომის დამთავრების მე-60 წლისთავს.**

ლაპარაკია იმ გუნდების შეხვედრაზე, რომლებიც შედგება ამჟამად [illegible] ბურთის ფედერაციებიდან, რათა წარმოადგინონ თავიანთი კანდიდატები ნაკრებში“.

## ევროპაში საუკეთესონი

**უეფას საიტზე საბოლოოდ შეჯამდა ევროპის საუკეთესო ფეხბურთელების გამოსავლინებელი გამოკითხვის შედეგები.**

აი, ვინ მიიჩნიეს გულშემატკივრებმა 2004 წლის საუკეთესო ფეხბურთელებად: **ბუფონი** („იუვენტუსი“), **კაფუ** („მილანი“), **რიკარდუ კორვალიუ** („ჩელსი“), **ნესტა** („მილანი“), **კოული** („არსენალი“), **კრიშტიანუ რონალდუ** („მანჩესტერ იუნაიტედი“), **მანიშე** („პორტუ“), **რონალდინიუ** („ბარსელონა“), **ნედვედი** („იუვენტუსი“), **ანრი** („არსენალი“), **შევჩენკო** („მილანი“).

## ლუდი — 60 მილიონად

**ექვსი წლის წინათ საჭესთან მჯდომმა მთვრალმა გულშემატკივარმა იმსხვერპლა პატარა გოგონა — ანტონია, რომელიც სრულიად დადამბლავდა და დაინვალიდდა. გოგონას მშობლებმა რონალდ და ფაზილია ვერნებმა, ბუნებრივია, იჩივლეს — მძღოლი ციხეში ჩასვეს, თავად კი უდიდესი სიმდიდრე მოიპოვეს.**

ლაზარიოს, რომელიც ექვსი კათხა ლუდით გამოთვრა, 5-წლიანი პატიმ[illegible]

## ბრძოლა შეყვარებულთა დღეს ეძღვნება

**ლეგენდარული მოკრივის მუჰამედ ალის ქალიშვილი ლეილა 11 თებერვალს დაიცავს თავის საჩემპიონო ტიტულს, სუპერსაშუალო წონაში WIBA ვერსიით. ეს ბრძოლა, რომელიც ატლანტიკ-სიტიში გაიმართება, შეყვარებულთა დღეს ეძღვნება.**

სხვათა შორის, შარშანწინ, სწორედ ამ დღეს, 2003 წლის 14 თებერვალს ლეილა მერი — ენ ალმაგერს შეხვდა და მეოთხე რაუნდში ტექნიკური ნოკაუტით გაიმარჯვა. ეს მოხდა მამამისის სამშობლოში — ლუისველში.

ლეილა მართლაც რომ ამართლებს დიდი მამის მემკვიდრის სახელს. მან უკვე მოიგო ყველა, ცხრამეტივე ბრძოლა, საიდანაც თექვსმეტში მეტოქე ნოკაუტში „გაგზავნა“.

ალბათ, ასევე მოხდება მომავალ ბრძოლაშიც, რადგან მისი მეტოქე, ყოფილი კალათბურთელი კასანდრა გეიგერი, „შავალმასად“ რომ იცნობენ, დიდი წარმატებებით არ გამოირჩევა.



საქართველოს რესპუბლიკა

№ 15, პარასკევი, 21 იანვარი, 2005 წელი.

## ალბომი

# ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



ლენტეხის სოფელ მექვენის მკვიდრი არტემ ჩუბინიძე და მისი ოჯახის წევრები – მეუღლე ოსანა და შვილი ნოდარ ჩუბინიძეები.
გასული საუკუნის 30-იანი წლები.

მოგვაწოდა შვილთაშვილმა ხატია ჩუბინიძემ.

შეგახსენებთ, რომ სურათების გამოქვეყნება უფასოა.
ტელ: 99-66-10.

## გიხაროდეს!

# ორმოცდათოთხმეტი სიხარული

დილიდანვე რედაქციაში სამშობიარო სახლებიდან გვიკავშირდებიან. გუშინაც „ჩვენმა „მახარობლებმა“ შეგვატყობინეს:

– სამშობიარო სახლ „ბიბიდაში“ (მდებარეობს ქავთარაძის ქუჩაზე) იანვრის პირველი ორი კვირა „უხვმოსავლიანი“ იყო – დაიბადა 23 ბავშვი, – გვაცნობა უფროსმა მედდამ ნანა პავლიაშვილმა.

– 31 ოჯახმა გაიხარა თბილისის მე-2 სამშობიარო სახლში ჯანმრთელი, სრულყოფილი ბავშვის შეძენით, – გვითხრა უფროსმა მედდამ ნინო მულაძემ.



ორ კვირაში ამ სამშობიარო სახლებიდან 54 მოქალაქე შეემატა საქართველოს.

გილოცავთ! იმრავლოს სრულიად საქართველომ!

ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.

## თბილისური ესკიზები

# კაცი, რომელიც ბედნიერ წუთებს აღნუსხავს

– აი, აქ – ანჩისხატის გვერდით დავიბადე, ძველი რკინის ხიდი ხომ გახსოვთ, მუხრანის, იმის კუთხეში. ის რომ დაშალეს, საბურთალოზე, ვაჟაზე მოგვცეს ბინა, – მიყვება სერგო და ფანჯარაში მახედებს, საიდანაც ეს ადგილები მშვენივრად მოჩანს.

***– მოკლედ, ნაღდი თბილისელი ხარ?!***

– მაშ, როგორ!

თბილისის ქორწინების სასახლეში ვართ, ბარათაშვილის ქუჩაზე, ადრე, სანაპიროზე, გრიბოედოვის ძეგლთან რომ „ქორწინების სახლი“ იყო, მაშინ ეს მის ფილიალად იწოდებოდა. ახლა იქ რომელიღაც დაწესებულება შეასახლეს და ფილიალი ცენტრალური გახდა.

ჩემი რესპონდენტი სერგო კურეგიანი ამ სახლის ფოტოხელოვანია.

– ოცდათორმეტი წელია, რაც მექორწილეებს ვიღებ. ბედნიერ და სამახსოვრო წუთებს აღვბეჭდავ. რამდენი ასეთი წყვილი გადამიღია?! – ეღიმება. აი, შარშან, ორი ათას ორას ოთხმოცმა კაცმა მოაწერა აქ ხელი. მართალია ყველა ვერ გადავიღე, მაგრამ უმრავლესობა ხომ „ჩავაკარტიჩკე“?..

***– ესე იგი, ვინც ხელს აწერს ყველა არ იღებს სამახსოვრო ფოტოს?***

– ეგრეა; ზოგი მოდის, პომპეზურობის გარეშე, მოწმეებთან ერთად და უხმაუროდ აწერს ხელს. ზოგი კი გაკრიალებული მანქანებით, სიგნალებით, ნეფე-დედოფალს რომ შეჰფერის საგანგებოდ გამოწყობილები, ახლობელ-მეგობრებთან ერთად. აი, იმათ კი უნდათ ხოლმე ლამაზი წუთების აღბეჭდვა.

ერთი-ორჯერ უკვე ფეხმძიმე ქალბატონი მოვიდა, აბა ის სურათს ხომ არ გადაიღებს. იმას უნდა კანონიერი გახადოს ცოლქმრობა.

***– ადრე სად მუშაობდით?***

– ადრე? ნეტა იმ დროს! რუსთაველის თეატრის გვერდით, რომ ფოტოატელიეა, ვალიკო ქურხულთან – ძველ მსახიობთან. ვის არ შევხვედრივარ, რა სახელოვანი და ცნობილი ადამიანები შემოდიოდნენ ჩვენთან. თეატრის რეპეტიციებსაც ვიღებდით, პრემიერებსაც, მსახიობთა პორტრეტებსაც. ხუთი წელი ვიმუშავე იქ.



მერე ქორწინების სახლში დავიწყე მუშაობა.

საერთოდ, მე არც წვეულებებზე, არც ქორწილებში არ დავდივარ. მარტო ხელმოწერის პროცესს აღვბეჭდავ, თანაც გულით ვლოცავ ახალგაზრდებს, შეიძლება, ზოგიერთი მათგანი ვერ ქმნის მყარ ოჯახს, მაგრამ მე ხომ იმ წუთებს აღვნუსხავ, როდესაც ისინი ბედნიერები არიან.

***– ძირითადად ფერად სურათებს იღებთ, არა?***

– მაშ, მაშ, ფერადებს. ერთხელ სიძეს ვკითხე ფერადი გინდათ ფოტო თუ შავ-თეთრი-მეთქი. შავ-თეთრი – ჩემ მტერსაო – წამეხუმრა. იმის მერე აღარავის ვეკითხები სურათის ფერზე.

***– წასაღებად, ალბათ მეორე დღეს გაკითხავენ.***

– ეგრეა. მე ყოველდღე აქა ვარ. მაგრამ იცით ერთხელ რა მოხდა? წინა დღით ხელმოწერილთა დედა მოვიდა, სიძისა და გაბრაზებული მეუბნება – მე მაგ სურათებს არ წავიღებო! რათა ქალბატონო-მეთქი. რათა და რძალი ქალიშვილი არ გამოდგაო! შევცბი. ასეაო, მომახალა და კარები გაიხურა. მაშ! ასეთებიც ხდება!

გულიანად ვიცინით.

***– სხვა დროსაც ხომ არ ყოფილა მაგდაგვარი შემთხვევა?***

– არა, არა, ღმერთმა დაგვიფაროს!

მართლაც გვაშოროს ავი! სერგოს კი დიდხანს, დიდხანს, მრავალი ბედნიერი წყვილისთვის გადაეღოს მარადსახსოვარი და ცხოვრებაში ულამაზესი წუთების ამსახველი ფოტოკადრები.

**გურამ გომართელი.**

**სურათზე: სამახსოვრო ფოტო დათო ყიფიანთან ერთად.**

## ღვაწლმოსილი

# ასურეთელი მეცხვარე



ეს კაცი რუბენ მიკირტუმაშვილია – თეთრი წყაროს რაიონის სოფელ ასურეთის მკვიდრი, 50 წელი ცხვარში რომ გაატარა და თავისი წვლილი შეიტანა მშობლიური რაიონისა და სოფლის სიძლიერეში.

იყო დრო, როდესაც დარსა და ავდარში 3000 სულ ცხვარ-ბატკანს უვლიდა რუბენი. შემოვლილი აქვს იაღლუჯის, ასპინძის საზღვრისპირა ადგილები, ყაჩაღთა თავდასხმასაც გამკლავებია და მგლის ხროვის შემოსევასაც, მრავალი ახალგაზრდა მეცხვარე აღუზრდია, არც ავტორიტეტი დაჰკლებია და არც მთავრობის ჯილდოები ასურეთის მეურნეობის გამორჩეულ წევრს.

„დღეს აღარც ცხვარი მყავს და აღარც ბატკანი, – ნაღვლიანად ამბობს 73 წლის ვეტერანი მწყემსი, – საერთოდ კვდება მეცხვარეობა, არადა, უამისოდ გაუჭირდება ქართველ კაცს“.

4 შვილს, 13 შვილიშვილს და 5 შვილთაშვილს შეჰხარის რუბენი. მან თავისი კალო გალეწა, კაცურად იცხოვრა და ახლა უნდა, რომ მომავალი ჰყავდეს ბედნიერი.

**თედო ნიკოლაიშვილი.**

**ავტორის ფოტო.**

## ლარის კურსი

**21 იანვრიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები**

| | | |
|---|---|---|
| **ინგლისური გირვ.** | 1 | 3.3948 **ლარი** |
| **აშშ დოლარი** | 1 | 1.8200 **ლარი** |
| **ევრო** | 1 | 2.3633 **ლარი** |
| **რუსული რუბლი** | 1 | 0.0646 **ლარი.** |

## ცოტაც გავიღიმოთ...



– წუხელ არ გაგიგიათ, რამდენს ვაბრახუნებდით თქვენს კედელზე?

– არა უშავს, ამას ხელი არ შეუშლია. ისეთი კარგი დრო გავატარეთ!

* * *

მხოლოდ ჭეშმარიტი რუსი, როდესაც გაიგებს სიტყვას „პოლ-ლიტრა“, არ იკითხავს, რის „პოლ-ლიტრაზეა“ საუბარი.

* * *

– ესე იგი, ახალი საგადასახადოს ინსპექტორი ქრთამს არ აიღებს?

– რა თქმა უნდა, არ აიღებს. იგი უპატიოსნესი ადამიანია. ორი წლის მანძილზე განაგებდა აბანოთა ქსელს და ტანი ერთხელაც არ დაუბანია.

* * *

– ჩემი ცოლი ტყვიასავითაა!

– სწრაფია?

– არა, უჭკუოა...

* * *

– მოგწონთ ბერნარდ შოუ?

– არ ვიცი, მაგრამ რომელი არხით გადის?

* * *

ქმარი, რომელსაც ცოლი ართმევს ხელფასს, სუსტია, ხოლო ვინც თავად აძლევს – ნამდვილი მამაკაცი.

* * *

საინტერესოა, რატომ არის შობა ორჯერ, ნათლისღება კი – ერთხელ?

* * *

– მამაშენი ნაღდად გაჭალარავდება, შენს ნიშნებს რომ ნახავს, – ეუბნება დეკანი მიხოს და ჩათვლის წიგნაკს უბრუნებს.

– არაფერსაც არ გაჭალარავდება.

– რატომ, შენი ნიშნები არ ადარდებს?

– კი ადარდებს, მაგრამ მელოტია.

* * *

– თქვენ აქ მხიარულობთ, მე კი თუთიყუში მომიკვდა.

– მართლა, რეალურად?

– არა, სპეცეფექტებით!

## სხარტულა

# პაზლარში ილეული

დახლებს მივყვები და გულში ვტირი...
ვერ გამიგია, მაინც რა ხდება...
– ოჰ, ღმერთო, ღმერთო, სული ძვირი, ძვირი –
როსღა გვეღირსოს გაიაფება...

**თამაზ ილმელი.**

## ხსოვნა



### გულიკო ჩიმაკაძე

გარდაიცვალა აკად. მ. წინამძღვრიშვილის სახელობის კარდიოლოგიის ინსტიტუტის ფუნქციური დიაგნოსტიკის განყოფილების ყოფილი ხელმძღვანელი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, უმაღლესი კატეგორიის ექიმი, ქალბატონი **გულიკო ჩიმაკაძე.**

ქალბატონი გ. ჩიმაკაძე ჩვენი ქვეყნის კარდიოლოგიის იმ პირველ თაობას წარმოადგენდა, რომელიც ქართულ სამედიცინო საზოგადოებაში აკად. მ. წინამძღვრიშვილის სკოლის მოწაფეების სახელით მოიხსენიება. იგი აქტიურად მონაწილეობდა რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის კარდიოლოგიურ ყრილობებსა და კონფერენციებში. მიუხედავად შრომატევადი მეცნიერული და პრაქტიკული საქმიანობისა, ყოველთვის პოულობდა დროს ახალგაზრდა კოლეგებთან ურთიერთობისათვის.

გ. ჩიმაკაძე გახლდათ მეცნიერი, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოში ელექტროფიზიოლოგთა სკოლის ჩამოყალიბებაში, აღზარდა ათეულობით საუკეთესო სპეციალისტი. იგი მუდმივად უწევდა კონსულტაციას ქ. თბილისისა და რესპუბლიკის რეგიონების ელექტროფიზიოლოგიური და ფუნქციონალური დიაგნოსტიკის კაბინეტების ექიმებს.

ქალბატონ გულიკოს არც ერთი დღე არ უღალატია თავისი საქმისათვის. პაციენტს, მეგობარს თუ უმცროს კოლეგას მუდამ მომღიმარი ხვდებოდა და არ იშურებდა დროს და ენერგიას მისი თანადგომისა და კონსულტაციისათვის.

ქალბატონ გულიკოს გარდაცვალებამ დიდ ნაღველთან ერთად დაგვიტოვა მასთან გატარებული დღეების და წლების საუკეთესო მოგონებები, რომლებიც თავისთავად, ძალდაუტანებლად გასწავლის – როგორ უნდა უყვარდეს ადამიანს უფალი, სამშობლო, ოჯახი და საკუთარი საქმე.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს ამ შესანიშნავი და კეთილშობილი ადამიანის სული.

**აკად. მ. წინამძღვრიშვილის სახ. კარდიოლოგიის ინსტიტუტი**

სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციის პრეზიდენტი გიორგი კერვალიშვილი, ამავე ორგანიზაციის წევრები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი
ბადრი (ვიქტორ) ფხალაძე
და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს, ეროვნულ მოძრაობას.

---

გივი ლომინაძე და თენგიზ კალანდაძე ოჯახებით თანაუგრძნობენ ირაკლი შენგელიას
დედის
გარდაცვალების გამო.

---

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „თბილმეტრომშენის“ თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა „თბილმეტრომშენის“ №2 საგვირაბო რაზმის უბნის უფროსი
მარლენ შალვას ძე წიქარიშვილი
და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

## გამოსათხოვარი

### ვიქტორ (ბადრი) ფხალაძე



გარდაიცვალა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ბადრი ფხალაძე.**

კიდევ ერთი პატრიოტი წავიდა ჩვენგან ვალმოხდილი. იგი ზვიად გამსახურდიას თანამებრძოლი და მისგან მადლცხებული პიროვნება გახლდათ, რომელმაც სიცოცხლის ბოლო წუთამდე ღირსეულად აღასრულა თავისი ვალი. იგი იყო კაცი, რომელიც არასდროს არ გაყიდულა და არ გატეხილა. არათუ არ გატეხილა, ოდნავადაც არ გაღუნულა. წავიდა კაცი, რომელიც დააკლდა ერს, ეროვნულ ხელისუფლებას და ოჯახს. დაგვიტოვა სიცარიელე, რომელიც ალბათ დიდხანს, დიდხანს ვერ შეივსება.

უკომპრომისო ომით განვლო მთელი სიცოცხლე, დასანანია, თავისი ბრძოლის შედეგს რომ ვერ მოესწრო.

ამაყად თავაწეული ივლის შენი შთამომავლობა, ბატონო ბადრი!

**დიდი ეროვნული გაერთიანება, ჰელსინკის კავშირი.**

## გახსენება



### ავთო თაყაიშვილი

10 წელი გავიდა შენი გარდაცვალებიდან. შენმა უეცარმა სიკვდილმა დიდი გულისტკივილი და უდიდესი მწუხარება გამოიწვია ჩვენს სამეგობროში. გულმა გიღალატა, გულმა, რომელიც სიყვარულით და სიკეთით იყო აღსავსე. 25 იანვარი შენი დაბადების დღეა, 70 წელი შეგისრულდებოდა. ქართული ტრადიციული ოჯახი დატოვე. დიდად განიცდიან შენს არყოფნას შენი მოსიყვარულე ძმა ზურო, შენი სათნო მეუღლე ინგა, შენი სასიქადულო შვილები ვასიკო, კობა, ხათუნა, საამაყო რძლები და შვილიშვილები. ღირსეულად და კაცურად იცხოვრე ამ ქვეყანაზე, შენი ცხოვრება, შრომა და მეგობრობა მაგალითი იყო იმათთვის, ვისაც კაცური კაცობის პრეტენზია ჰქონდა. შენი ლამაზი ცხოვრებით იმსახურებდი ხანგრძლივ სიცოცხლეს, მაგრამ... ნაადრევად დაიმკვიდრე უკვდავება.

ქებული იყო შენი სტუმართმასპინძლობა. მეგობარი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად მიგაჩნდა, ნებისმიერი კონფლიქტური სიტუაციის განმუხტველი იყავი. მძიმე განცდაა, რომ შენზე წარსულ დროში მიხდება ლაპარაკი. დრომ ვერ გაანელა ჩვენი ერთად არყოფნით გამოწვეული გულისტკივილი, უფრო მეტად ვგრძნობ გულში სიცარიელეს, რომელსაც ამ ადგილს ვერავინ შეავსებს. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ვაჟკაცური სული.

**შენი მეგობარი ვახტანგ ცქვიტინიძე.**

შვილები მანანა, მაია, შვილიშვილები გიორგი, ირაკლი მახარაშვილები, ელენე ბარამიძე, სიძეები თენგიზ მახარაშვილი, სანდრო ბარამიძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
ზაქარია ზაქარიას ძე ხუროძე
პანაშვიდი 21 I, 16 სთ. გამოსვენება 22 I, 14 სთ. მისამართი: ირაკლი აბაშიძის ქ. 14 ა.

---

გიული, რობიკო, ნანა, თამუნა შოთაძეები, ლია თევზაძე, შოთიკო სულხანიშვილი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა კეთილშობილი პიროვნება
მიშა აროშიძე
დაკრძალვა 22, I, ქ. ოზურგეთში, სულხან-საბას, 51.

**რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.**

**ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.**

## ახალი ნომერი

# დევნილი ჟურნალი აფხაზეთის მართლმსაჯულებაზე მოგვითხრობს

**გამოვიდა „აფხაზეთის მართლმსაჯულების მაცნეს“ მორიგი ნომერი. ჟურნალი გამოდის 2000 წლიდან. მისი დამფუძნებელი და გამომცემელია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლო, რომელიც ცნობილია, როგორც მსოფლიოში უპრეცედენტო დევნილი სასამართლო. ჟურნალის ეს ნომერი სწორედ ამ ფაქტის კონსტატაციით იხსნება. იქვე აღნიშნულია, რომ მსოფლიოში უპრეცედენტო აფხაზეთის დევნილი მართლმსაჯულების იურისდიქცია 5 წლისაა და, რომ მისი მოქმედების არეალი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ვრცელდება. მათ შორის იგი აფხაზეთში – გალის, გულრიფშის რაიონებსა და ზოგ შემთხვევაში გაგრასაც სწვდება, რაც საქართველოში მიმდინარე სასამართლო რეფორმის დამსახურებაც არის. ჟურნალის რედაქტორია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი ვახტანგ თორდია, რომელიც ჟურნალში ვრცლად საუბრობს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მართლმსაჯულების მდგომარეობაზე. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს მოსამართლეთა დისციპლინურ გადაცდომებსა და შესაბამისი ზემოქმედების ღონისძიებებს კონკრეტულად ეხება თავის წერილში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის თავმჯდომარე თეიმურაზ სიხარულიძე.**

ჟურნალში პროფესორი ოთარ გამყრელიძე, როგორც ყოფილი მოსამართლე, მკითხველს თავის „აღსარებას“ უზიარებს. სწორედ ასე – „ყოფილი მოსამართლის აღსარება“ ჰქვია წერილს, რომელშიც იგი საუბრობს საქართველოში ბოლო წლებში გატარებული სასამართლო რეფორმის ავ-კარგზე, კომუნისტური რეჟიმის პერიოდიდან გადმოყოლილ მავნე ტენდენციებზე, რაც სასამართლოს საქმიანობაში უკანონო ანტიკონსტიტუციურ ჩარევას გულისხმობს.

აქვე გამოქვეყნებულია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს მიერ განხილული რამდენიმე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საქმის განაჩენი, რასაც მოსამართლეებისათვის პრაქტიკული დატვირთვა აქვს. მკითხველი გაეცნობა, აგრეთვე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კონსტანტინე კემულარიას დადგენილებას, რომელიც რუსეთის მოქალაქის ი. კ.-ს მიერ საქართველოს სახელმწიფო სახმელეთო საზღვრის ფსოუსთან უკანონოდ გადაკვეთასთან დაკავშირებით აღძრული სისხლის სამართლის საქმის განსჯადობის საკითხს შეეხება. აქვეა გიორგი ხუბუასა და გიორგი გოგიაშვილის რეცენზიაც გიორგი გიორგაძის, ვახტანგ თორდიასა და ვახტანგ ხმალაძის წიგნზე „საქართველოს კონსტიტუციური სამართალი“.

ჟურნალი გვერდს არც აქტუალურ პრობლემებსა და საერთაშორისო ურთიერთობებს უქცევს. ჟურნალისტ ნატო კორსანტიას წერილში „აფხაზეთის



აფხაზეთის მართლმსაჯულების მაცნე

№ 5
2004

სტატუსი ქართული საზოგადოების განსჯის საგანი ხდება“ მოკლედ არის მიმოხილული აფხაზეთის სტატუსის განმსაზღვრელი კონცეფციის შემუშავების წინა პერიოდი.

ჟურნალის ეს ნომერი თავისი წინამორბედებისგან ფერადი ილუსტრაციებით გამოირჩევა. გარდა ამისა, ჟურნალს ერთვის რუსულ და ინგლისურენოვანი სარჩევი, რომელიც არაქართველ მკითხველს გარკვეულ წარმოდგენას უქმნის მის შინაარსსა და ხასიათზე. ამასთანავე, მკითხველს ნათელ წარმოდგენას უქმნის აფხაზეთის სასამართლო ხელისუფლების საქმიანობაზე.

**გურამ სოლომონია.**

საქართველოს რესპუბლიკა
Sakartvelos Respublika
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები
გამომცემელი – შპს „ახალი საუკუნე“
დირექტორი თენგიზ კალანდაძე.

მთავარი რედაქტორი რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი გურამ გოგიაშვილი.

რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი და წაიკითხა!

ინდექსი 66434, მისამართი: 380008, თბილისი,
მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge
ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika